

# სს „ბბ დაზღვევა“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო  
სტანდარტებით მომზადებული  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის  
ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

# სს „ბბ დაზღვევა“

## სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე .....	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....	2-4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება .....	8
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები .....	9-46
1. შესავალი .....	9
2. საოპერაციო გარემო .....	9
3. მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების შესახებ .....	10
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯები ბუღალტრული პოლიტიკების გამოყენების პროცესში .....	18
5. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღება .....	19
6. ახალი გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა 21 .....	21
7. წინა წლის ფინანსური ანგარიშგების გადაფასება .....	21
8. ფული და ფულის ეკვივალენტები .....	23
9. დეპოზიტები ბანკებში .....	24
10. ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში .....	25
11. დაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები და ვალდებულებები .....	25
12. გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები და ვალდებულებები .....	27
13. საინვესტიციო ქონება .....	28
14. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები .....	29
15. სხვა აქტივები .....	29
16. სხვა ფინანსური ვალდებულებები .....	30
17. სხვა ვალდებულებები .....	30
18. კაპიტალი .....	30
19. შემოსავალი დაზღვევიდან .....	31
20. სადაზღვევო მომსახურების ხარჯები .....	31
21. ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი .....	32
22. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი .....	32
23. ხელფასები და დაქირავებულ პირთა სხვა ბენეფიტები .....	32
24. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები .....	33
25. სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა .....	33
26. მოგების გადასახადის ხარჯი .....	33
27. კაპიტალის მართვა .....	35
28. დაზღვევის რისკის მართვა .....	36
29. რეალური ღირებულებები და რისკის მართვა .....	39
30. გაუთვალისწინებელი გარემოებები .....	44
31. დაკავშირებული მხარეები .....	45
32. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ .....	46
მმართველობითი ანგარიში .....	47

## სს „ბბ დაზღვევა“

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

სს „ბბ დაზღვევის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „ბბ დაზღვევის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და ამავე თარიღით დასრულებული წლის შესაბამისი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სათანადო ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე; და
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის განმარტებაზე; და
- მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ისე, რომ ის თანმიმდევრულად შეესაბამებოდეს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებასა; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება კომპანიის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 2 მაისს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი  
კონსტანტინე სულამანიძე  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
ვანო ბალოშვილი  
თბილისი, საქართველო

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ბბ დაზღვევის“ აქციონერსა და სამეთვალყურეო საბჭოს

### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ბბ დაზღვევის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მოკლე მონახაზის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”*. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი *“პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი”* (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტისათვის დადგენილი მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

### მნიშვნელოვანი გარემოებები

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ფინანსური ანგარიშგების მე-7 შენიშვნას, რომელშიც აღწერილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შესაბამისი თანხების გადაანგარიშება გადაფასება. ჩვენი დასკვნა ამ საკითხთან მიმართებით მოდიფიცირებული არ არის.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობის ანგარიშში, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის დასკვნას მის თაობაზე.

ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ამ აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ სხვა ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ამ თვალსაზრისით არაფერი გვაქვს მოსახსენებელი.

## **ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები**

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, თვალყური ადევნონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

## **აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში**

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გამოვუშვათ აუდიტორული რეპორტი, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის სამართლიანად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატიყობინებთ აუდიტის დაგეგმვით შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მიგნებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

#### **ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ**

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობის ანგარიში კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ამ კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ გავეცანით მმართველობის ანგარიშს და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ვასკვნით, რომ:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციას; და
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით და შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი

ჯამალ ჰასანოვი (Reg. # SARAS-A-844170)

შპს “დელიტი და ტუმის” სახელით (Reg. # SARAS-F-107265)

2025 წლის 2 მაისი

თბილისი, საქართველო

# სს „ბბ დაზღვევა“

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	მენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)*
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	553,297	1,355,459
დეპოზიტები ბანკებში	9	21,232,133	16,753,880
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	10	929,188	301,782
სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივები	11	82,040	-
გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	12	964,353	74,546,437
საინვესტიციო ქონება	13	1,248,958	1,349,798
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	14	46,652	74,680
სხვა აქტივები	15	519,191	301,870
<b>სულ აქტივები:</b>		<b>25,575,812</b>	<b>94,683,906</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებები	11	2,037,576	76,321,780
გადაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	12	344,912	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	16	570,963	606,466
სხვა ვალდებულებები	17	719,948	461,261
<b>სულ ვალდებულებები:</b>		<b>3,673,399</b>	<b>77,389,507</b>
<b>კაპიტალი</b>			
აქციონერთა კაპიტალი	18	6,000,000	6,000,000
გაუნაწილებელი მოგება		15,902,413	11,294,399
<b>სულ კაპიტალი:</b>		<b>21,902,413</b>	<b>17,294,399</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>25,575,812</b>	<b>94,683,906</b>

\*დამატებითი დეტალები გადაანგარიშების შესახებ განხილულია მე-7 მენიშვნაში.  
გამოსაშვებად დამტკიცებული და მმართველი საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 2 მაისს.

გენერალური დირექტორი  
კონსტანტინე სულამანიძე  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
ვანო ბალოშვილი  
თბილისი, საქართველო

9-46 გვერდებზე მოცემული მენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

**სს „ბბ დაზღვევა“**

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

<i>ქართული ლარი</i>	<b>შენიშვნა</b>	<b>2024</b>	<b>2023 (გადაანგარიშებული)</b>
შემოსავალი დაზღვევიდან	19	25,683,410	18,813,399
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	20	(43,467,630)	(111,923,418)
ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი	21	22,954,031	97,808,859
<b>სადაზღვევო მომსახურების შედეგი</b>		<b>5,169,811</b>	<b>4,698,840</b>
ეფექტური პროცენტის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	22	2,453,239	2,022,820
გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		-	(28,936)
		33,132	7,796
<b>სულ შემოსავალი ინვესტიციებიდან</b>		<b>2,486,371</b>	<b>2,001,680</b>
ხელფასები და დაქირავებულ პირთა სხვა ბენეფიტები	23	(2,075,662)	(1,539,366)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24	(786,960)	(712,735)
სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა	25	(185,546)	(334,276)
<b>მოგება დაბეგრამდე</b>		<b>4,608,014</b>	<b>4,114,143</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	26	-	(576,939)
<b>წლიური მოგება</b>		<b>4,608,014</b>	<b>3,537,204</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>		<b>4,608,014</b>	<b>3,537,204</b>

\*დამატებითი დეტალები გადანგარიშების შესახებ განხილულია მე-7 შენიშვნაში.  
გამოსაშვებად დამტკიცებული და მმართველი საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 2 მაისს.

გენერალური დირექტორი  
კონსტანტინე სულამანიძე  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
ვანო ბალოშვილი  
თბილისი, საქართველო

9-46 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



სს „ბზ დაზღვევა“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ქართული ლარი	2024	2023
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მიღებული დაზღვევის პრემია	18,615,824	9,920,062
გადახდილი დაზღვევის პრემია	(10,073,454)	(2,686,315)
<b>მიღებული დაზღვევის პრემიუმი, წმინდა</b>	<b>8,542,370</b>	<b>7,233,747</b>
გადამზღვევებისგან მიღებული საკომისიო სუბროგაცია და ამოღება	315,133	929,460
ანაზღაურებული მოთხოვნებისთვის მიღებული გადამზღვეველის წილი	176,207	225,829
მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე მიღებული პროცენტი	262,499	1,084,905
ანაზღაურებული სადაზღვევო მოთხოვნები	90,130	73,633
ანაზღაურებული სადაზღვევო მოთხოვნები	(3,720,684)	(3,207,951)
გადახდილი ხელფასები და ბენეფიტები	(2,128,341)	(1,871,562)
გადახდილი აგენტის საფასური	(553,895)	(590,414)
საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისათვის გადახდილი თანხები	(141,220)	(136,435)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(716,362)	(446,840)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადამდე</b>	<b>2,125,837</b>	<b>3,294,372</b>
გადახდილი მოგების გადასახადი	(220,018)	(569,281)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>1,905,819</b>	<b>2,725,091</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
საბანკო დეპოზიტების განთავსება	(10,577,714)	(16,050,000)
საბანკო დეპოზიტების გატანა	7,200,000	12,448,224
მიღებული პროცენტი	1,193,373	1,802,298
ინვესტიცია დაფარვამდე ფლობილ აქტივებში	(600,000)	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(31,484)
საინვესტიციო ქონების რეალიზაცია	68,282	35,148
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(2,716,059)</b>	<b>(1,795,814)</b>
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	8,169	(3,490)
<b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა / (კლება), წმინდა</b>	<b>(802,071)</b>	<b>925,787</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>1,356,090</b>	<b>430,303</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>554,019</b>	<b>1,356,090</b>

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიამ განახორციელა შემდეგი არაფულადი ტრანზაქციები, რომლებიც არაა შესული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში და წარმოდგენილია ცალკე:

ქართული ლარი	2024	2023
თამასუქის გაცვლა იმავე სუბიექტის სხვა თამასუქზე	300,000	300,000

გამოსაშვებად დამტკიცებული და მმართველი საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 2 მაისს.

<p>გენერალური დირექტორი კონსტანტინე სულამანიძე თბილისი, საქართველო</p>	<p>ფინანსური დირექტორი ვანო ბალოშვილი თბილისი, საქართველო</p>
--	---

9-46 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

# სს „ბბ დაზღვევა“

## 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართული ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>6,000,000</b>	<b>7,757,195</b>	<b>13,757,195</b>
2023 წლის მოგება (წინა ანგარიშგებით)	-	3,095,912	3,095,912
<b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (წინა ანგარიშგებით)</b>	<b>6,000,000</b>	<b>10,853,107</b>	<b>16,853,107</b>
გადაანგარიშების ეფექტი მოგებაზე	-	441,292	441,292
<b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)*</b>	<b>6,000,000</b>	<b>11,294,399</b>	<b>17,294,399</b>
2024 წლის მოგება	-	4,608,014	4,608,014
<b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>6,000,000</b>	<b>15,902,413</b>	<b>21,902,413</b>

\* ინფორმაცია გადაანგარიშებული მონაცემების შესახებ განხილულია მე-7 შენიშვნაში.

გამოსაშვებად დამტკიცებული და მმართველი საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 2 მაისს.

გენერალური დირექტორი  
კონსტანტინე სულამანიძე  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
ვანო ბალოშვილი  
თბილისი, საქართველო

9-46 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. შესავალი

სს „ბბ დაზღვევა“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2017 წლის 11 დეკემბერს და საქმიანობს საქართველოში, საქართველოს შემოსავლების სამსახურში რეგისტრირებული საგადასახადო კოდით 406232214. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ქუთაისი რაიონის გამზ. 1, თბილისი 0103, საქართველო. კომპანია არის აქციებით მუშაობის სააქციო საზოგადოება და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო დამფუძნებელია სს „ბაზისბანკი“, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში 1993 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გაცემული საბანკო ლიცენზიით. სს „ბაზისბანკი“ ფლობს სამ მთავარ შვილობილ საწარმოს: სს „ბბ დაზღვევა“, სს „ბბ ლიზინგი“ და შპს „ბაზის ესეტ მენეჯმენტ ჰოლდინგი“, რომელთაგან თითოეულში ფლობს 100%-იან წილს (ერთობლივად „ჯგუფი“).

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო აქციონერები იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დაფუძნებული Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd (2024: 91.891% და 2023: 91.548%), ბ-ნი მი ზაიქი (2024: 6.144.% და 2023: 6.461%) და უმცირესობის წილის სხვა მფლობელები (2024: 1.965% და 2023: 1.991%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბოლოო ბენეფიციარები, იყვნენ ბ-ნი მი ზაიქი (პირდაპირ და ირიბად ფლობს აქციების 56.266%) და მი ენჰუა (აქციების 41.752%) Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd-ის გავლით.

ინფორმაცია ჯგუფის Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd მფლობელობის სტრუქტურის შესახებ:

აქციონერები	ფლობილი წილი (%) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
„ჰუალინგ გრუპ ინვესტმენტ ჰოლდინგი“ (xinjiang) Co.	54.545%
(100% ფლობს მი ზაიქი)	
მი ენჰუა	45.436%
უმცირესობის წილის სხვა მფლობელები	0.018%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში სადაზღვევო ბიზნესის წარმოება. კომპანია ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2017 წლის 27 დეკემბერს გაცემულ სიცოცხლისა და არა-სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიებს.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, კომპანიაზე მოქმედებს საქართველოს ფინანსურ ბაზარზე არსებული ეკონომიკური და ბიზნეს-გარემოსა და გამოწვევებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავაც ვითარდება, რაც დადებითად ზემოქმედებს ქვეყნის მთლიან საინვესტიციო კლიმატზე და ამცირებს აქ ბიზნესის კეთების რისკს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია კომპანიის ოპერაციებისა და ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს-გარემოს ზეგავლენის მენეჯმენტისეული შეფასება. მომავალი ბიზნეს-გარემო შეიძლება მენეჯმენტის აღქმებისგან განსხვავებული აღმოჩნდეს.

2023 წლის რეალური მშპ-ის 7.8%-იანი ზრდის შემდეგ, წინასწარი შეფასებებით, 2024 წელს საქართველომ რეალური მშპ-ის 9.4%-იანი ზრდა უჩვენა. საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორები კვლავაც მძლავრია და ამას ხელს უწყობს ძლიერი მთავრობისა და ფისკალური პოლიტიკები, გაზრდილი მოხმარება და მდგრადი ფინანსური სექტორი. 2025 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდი 6.0%-იან ზრდას ვარაუდობს.

საქართველოში რუსეთიდან მომავალი რისკები კვლავ მაღალია. ევროპისა და შუა აზიის რეგიონული პროგნოზების ჩამოყალიბებაში უკრაინაზე რუსეთის თავდასხმა კვლავაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. გლობალური გარემო ძლიერ არაპროგნოზირებადია, ხოლო პერსპექტივა დღეს მნიშვნელოვანი გაუარესების რისკის ქვეშ.

საქართველოში 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მკვეთრად გაიზარდა პოლიტიკური და სოციალური პოლარიზაცია. თუმცა, პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდა კვლავ მაღალია.

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

საქართველოს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს მომსახურების სექტორის (კერძოდ, ტურიზმი და ინფორმაციებისა და კომუნიკაციის ტექნოლოგია) კარგი მუშაობა, მშენებლობა და მძლავრი ექსპორტი და, შედეგად, ზრდამ მრავალი შოკის მიმართ გამძლეობა გამოავლინა.

მონეტარული პოლიტიკის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის წინდახედული დამოკიდებულება ქვეყანაში დაბალ და სტაბილურ ინფლაციას ინარჩუნებს მიზნობრივი 3%-ის ქვემოთ, რაც 2025 წელსაც, მოსალოდნელია, შენარჩუნდეს. სებ-ი 2024 წლის მკაცრი მონეტარული პოლიტიკიდან თანდათანობითი გამოსვლის პოლიტიკას ატარებს. ამის გამო, მან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.5%-დან 8%-მდე შეამცირა და მონეტარული პოლიტიკის ნელი ნორმალიზების გზას მიჰყვება.

ბაზრის საერთო მდგომარეობა და სტაბილურობა უზრუნველყოფს სექტორის ზრდას. იმის მიუხედავად, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მთლიანი გამოწერილი პროდუქტი (GWP) თანაბრად იზრდება, სადაზღვევო ბაზარი მცირეა. თუმცა, კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები და მოსახლეობასა და ბიზნესებში ცნობიერების ამაღლება უხარობა და ხელს უწყობს ბაზრის ზრდას.

**3. მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების შესახებ**

**მომზადების საფუძველი**

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS-ფასს") შესაბამისად, ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად, რომელიც შეცვლილია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საწყისი აღიარებისა და შენობების გადაფასების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ.

**ფუნქციონირებადი საწარმო**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ მოსაზრებით, რომ კომპანია უწყვეტად ფუნქციონირებს და აგრძელებს ფუნქციონირებას უახლოეს მომავალში. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დროს მენეჯმენტს ჰქონდა საფუძველი ჩათვალა, რომ კომპანიას გააჩნდა საკმარისი რესურსები, რათა განეგრძო საქმიანობა უახლოეს მომავალში. როგორც ასეთი, ისინი აგრძელებენ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებას.

**ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა**

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და ის ვალუტა, რომელშიც წარმოდგენილია ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

**სავალუტო ოპერაციები**

უცხოურ ვალუტაში მიმდინარე ტრანზაქციები კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში კონვერტირდება ტრანზაქციის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსებით.

საანგარიშო დღეს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ფუნქციონალურ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს მოქმედი კურსით. ფულად ერთეულებზე მიღებული საკურსო მოგება ან ზარალი არის სხვაობა ერთი მხრივ ეფექტური პროცენტით, გაუფასურებითა და იმ პერიოდის გადანდებით კორექტირებულ, პერიოდის დასაწყისში ფუნქციონალურ ვალუტაში დაფიქსირებულ ამორტიზებულ კურსსა და, მეორე მხრივ, უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ, საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოქმედი კურსით კონვერტირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების პრინციპით ფასდება, კონვერტირდება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

კონვერტაციისას წარმომობილი სავალუტო სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**სადაზღვევო კონტრაქტები**

ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4-ს სადაზღვევო ხელშეკრულებებს 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანია ნერგავს ფასს 17 სტანდარტს სრულად რეტროსპექტიული მიდგომით, „პრემიის განაწილების მიდგომის“ (PAA) გამოყენებით.

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

**სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებების კლასიფიკაცია.** სადაზღვევო ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე (მზღვეველი) მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს იღებს სხვა მხარის (დამზღვევეი) ნაცვლად და ამისათვის, თანხმდება, ანაზღაურება გასცეს დაზღვეულზე, თუ კონკრეტული გაურკვეველი მომავალი მოვლენა (დაზღვეული მოვლენა) დაზღვეულზე უარყოფითად აისახა.

გადაზღვევის ხელშეკრულება არის ერთი პირის (გადამზღვევის) მიერ გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულება, რომლითაც ის კისრულობს, აუნაზღაუროს სხვა პირს ისეთი პრეტენზიები, რომლებიც წარმოშობილია იმ სხვა პირის მიერ გაფორმებული ერთი ან მეტი ხელშეკრულებით (პირველადი ხელშეკრულებები). კომპანია ფლობს სავალდებულო გადაზღვევის ხელშეკრულებებსა და გადაზღვევის სხვა ხელშეკრულებებს, რომელთა შედეგად ხდება მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკის გადაცემა. კომპანიის მიერ სადაზღვევო რისკის გადაზღვევით სხვა პირისათვის გადაცემა ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობის ნაწილია.

**სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვა**

(i) **კომპონენტების გამოცალკევება სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან.** კომპანია აფასებს სადაზღვევო ხელშეკრულებას იმის დასადგენად, ხომ არ შეიცავს ის ისეთ მკაფიო კომპონენტებს, რომლის გამო მისი შეფასება არა ფასს 17 სტანდარტით, არამედ სხვა ფასს სტანდარტით უნდა მოხდეს. ამგვარი მკაფიო კომპონენტების გამოცალკევების შემდეგ პირველადი სადაზღვევო ხელშეკრულების ყველა დანარჩენ კომპონენტზე ვრცელდება ფასს 17. ამჟამად კომპანიის ხელშეკრულებები არ შეიცავს ისეთ მკაფიო კომპონენტებს, რომლებიც დანარჩენი ხელშეკრულებიდან უნდა გამოცალკევდეს.

(ii) **აგრეგაციის დონე.** ფასს 17 მოითხოვს, განისაზღვროს აგრეგირების დონე მისი მოთხოვნების შესაბამისად. აგრეგირების დონე პირველ რიგში განისაზღვრება დაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელზე და დაყოფით. პორტფელები შედგება მსგავსი რისკის მქონე ხელშეკრულებების ჯგუფებისგან, რომლებიც იმართება ერთად. ფასს 17 ასევე მოითხოვს, რომ, აგრეგირების მიზნებისთვის, არცერთი ჯგუფი არ მოიცავდეს ხელშეკრულებებს, რომელთა გაფორმების თარიღებს შორის ინტერვალი აღემატება ერთ წელს. ჯგუფები დგება ანდერრაიტინგის წელიწადის მიხედვით (წლიური კოპორტები). ამდენად, გამოშვების წლის განმავლობაში ხელშეკრულებათა პორტფელები იყოფა სამ ჯგუფად, შემდეგი სახით:

- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წაგებიანია.
- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელსაც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წაგებიანი, ასეთის არსებობისას; და
- პორტფელში შემავალი დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი.

(iii) **აღიარება.** კომპანია აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფს, რომელსაც თვითონ გამოსცემს, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

- ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი;
- თარიღი, როდესაც ხელშეკრულებების შესაბამის ჯგუფში უნდა განხორციელდეს რომელიმე პოლისის მფლობელისგან პირველი გადახდა ან თარიღი, როდესაც უნდა მოხდეს პირველი გადახდის მიღება, თუ არ არის გადახდის თარიღი დადგენილი; და
- წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ ჯგუფი წაგებიანია.

კომპანია აღიარებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფს, რომელსაც თვითონ ფლობს, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

- ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღი. თუმცა, კომპანია გადადებს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების იმ ჯგუფის აღიარებას, რომელიც პროპორციულ სადაზღვევო დაფარვას უზრუნველყოფს, ნებისმიერი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულების თავდაპირველი აღიარების თარიღამდე, თუ ეს თარიღი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღის შემდგომი თარიღია; და
- თარიღი, როდესაც ჯგუფი აღიარებს საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს, იმ შემთხვევაში, თუ ფლობილი გადაზღვევის შესაბამისი გადაზღვევის ხელშეკრულება კომპანიამ დალო ამ თარიღისთვის ან უფრო ადრე.

(iv) **ხელშეკრულების ფარგლები.** სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს ყველანაირ მომავალ ფულად ნაკადს, რომელიც განეკუთვნება ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების ფარგლებს. ფულადი ნაკადები სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს განეკუთვნება, თუ ისინი წარმოიშობა იმ საანგარიშგებო

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

პერიოდში არსებული რეალური უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლის განმავლობაშიც კომპანიას შეუძლია პოლისის მფლობელს დაავალდებულოს პრემიების გადახდა, ან კომპანიას აქვს რეალური ვალდებულება, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს პოლისის მფლობელს.

არ აღიარდება ვალდებულება ან აქტივი, რომელიც დაკავშირებულია იმ მოსალოდნელ პრემიებთან ან მოსალოდნელ სადაზღვევო შემთხვევებთან, რომლებიც არ განეკუთვნება სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს. ამგვარი თანხები დაკავშირებულია მომავლის სადაზღვევო ხელშეკრულებებთან.

**(v) შეფასება - პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა PAA.** კომპანია იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას (PAA) ყველა იმ სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის, რომელსაც ის გამოსცემს და აკუთვნებს მის მიერ ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს, თუ:

- ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების სადაზღვევო პერიოდი არის ერთი წელი ან უფრო ნაკლები, მათ შორის, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების, რომლებიც წარმოიშობა ყველა პრემიიდან, რომელიც შედის ხელშეკრულების ფარგლებში; ან
- ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის ხელშეკრულებებისთვის, კომპანია ვარაუდობს, რომ PAA მეთოდით შეფასებულ ჯგუფში შემავალი ხელშეკრულებების დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება (LFRC) არსებითად არ განსხვავდება იმ შეფასების შედეგისგან, რომელიც ძირითადი შეფასების მეთოდის (GMM) გამოყენების შედეგად დადგებოდა. საანგარიშო და შესადარი პერიოდების განმავლობაში, კომპანიას ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის ხელშეკრულებები არ ჰქონია.

**სადაზღვევო ხელშეკრულებები - თავდაპირველი შეფასება.** იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისათვის, რომელიც არ არის წაგებიანი თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია აფასებს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას (LFRC), როგორც საწყისი აღიარებისას მიღებულ პრემიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ ხელშეკრულებები წაგებიან საწყისი აღიარებისას, კომპანია ატარებს დამატებით ანალიზს, რათა განსაზღვროს მოსალოდნელია თუ არა ნეტო გადინება ხელშეკრულებიდან. ასეთი წაგებიანი ხელშეკრულებები ჯგუფდება განცალკევებით სხვა ხელშეკრულებებისაგან და კომპანია აღიარებს ზარალს მოგებაში ან ზარალში ნეტო გადინებასთან მიმართებით, რის შედეგადაც ამ ჯგუფთან დაკავშირებული ვალდებულების საბალანსო ღირებულება გაუტოლდება გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. კომპანია განსაზღვრავს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების ზარალის კომპონენტს ნებისმიერი ასეთი წაგებიანი ჯგუფისთვის, რომელიც ასახავს აღიარებულ ზარალს.

**გადაზღვევის ხელშეკრულებები - საწყისი აღიარება**

კომპანია აფასებს გადაზღვევის აქტივებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, რომელსაც იგი ფლობს, იმგვარადვე როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომლებსაც თვითონ გამოსცემს. თუმცა ახდენს მათ კორექტირებას, რათა ასახოს ის გადაზღვევის ხელშეკრულების მახასიათებლები, რომელიც განსხვავდება გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებისაგან, მაგალითად, ხარჯების წარმოშობა ან ხარჯების შემცირება ამონაგების აღიარების ნაცვლად.

სადაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს ზარალს დაკავშირებულ სადაზღვევო ხელშეკრულების წაგებიან ჯგუფთან მიმართებით ან როდესაც შემდგომი დაკავშირებული სადაზღვევო ხელშეკრულებები ემატება ჯგუფში, კომპანია განსაზღვრავს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივისთვის ზარალის კომპენსაციის კომპონენტს, რომელიც ასახავს აღიარებული ზარალის ანაზღაურებას.

**სადაზღვევო ხელშეკრულებები - შემდგომი შეფასება**

კომპანია შემდგომად აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას:

- საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას; დამატებული
- პერიოდის განმავლობაში მიღებული პრემია; მინუს
- თანხა, რომელიც აღიარებულია სადაზღვევო ამონაგების სახით მოცემული პერიოდის განმავლობაში გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

კომპანია არ ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირებას ფულის დროითი ღირებულებისა და ფინანსური რისკის გავლენის ასახვის მიზნით, თუ თავდაპირველი აღიარების მომენტში ვარაუდობს, რომ მომსახურების თითოეული ნაწილის გაწევისა და დაკავშირებული პრემიის გადახდის თარიღს შორის დროის პერიოდი არ აღემატება ერთ წელს.

კომპანია აფასებს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას, როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომელიც უკავშირდება დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს. გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მიუკერძოებლად თვალისწინებს მიზანშეწონილი

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველანაირ დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ეხება ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობას, მათი წარმოშობის დროსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობას; ისინი ასახავს კომპანიის მიმდინარე შეფასებებს და მოიცავს არა-ფინანსური რისკის კორექტირებას (რისკის კორექტირება).

კომპანია აკორექტირებს მომავალ ფულად ნაკადებს ფულის დროითი ღირებულებით და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეფასებას ფინანსური რისკის ეფექტით, გარდა იმ ფულადი ნაკადებისა რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თარიღიდან ერთ წელიწადში. კომპანია მომავალი ფულადი ნაკადების კორექტირებას არ ახდენს ფულის დროითი ღირებულებით და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეფასებას ფინანსური რისკის ეფექტით, იმ შემთხვევაში, თუ ამ ფულადი ნაკადების დაფარვა ან მიღება მოსალოდნელია სადაზღვევო შემთხვევების დადგომის თარიღიდან ერთ წელიწადში ან უფრო ნაკლებ ვადაში.

**ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები - შემდგომი შეფასება.** კომპანია მის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შემდგომ შეფასებას ახდენს იგივე პრინციპით როგორც მის მიერ გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებისა გადაზღვევასთან დაკავშირებული გარკვეული მახასიათებლების გათვალისწინებით ადაპტირებით.

**ფულადი ნაკადები გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებების დაზღვევის შესყიდვიდან.** ყველა ფულადი ნაკადი დაზღვევის შესყიდვიდან აღიარდება ხარჯებში მათი გაწვევისთანავე. ეს მოიცავს მცირე რაოდენობის ხელშეკრულებებს, სადაც სადაზღვევო პერიოდი აღემატება თორმეტ თვეს და აღნიშნულ ხელშეკრულებებთან მიმართებით არ ფიქსირდება არსებითი შესყიდვის ხარჯები. აღნიშნული მიდგომა განსხვავდება კომპანიის წინა სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გულისხმობდა შესყიდვის ხარჯების განაწილებას სადაზღვევო პერიოდზე. სააღრიცხვო პოლიტიკის ამ ცვლილებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი ზეგავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**სადაზღვევო ხელშეკრულებები - მოდიფიკაცია და აღიარების შეწყვეტა.** კომპანია წყვეტს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებას, როდესაც:

- როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებასა და ვალდებულება გაუქმდება (ანუ ვადა გაუვა, დაიფარება ან გაუქმდება); ან
- სადაზღვევო ხელშეკრულება მოდიფიცირდება ისე, რომ იწვევს შეფასების მოდელში ცვლილებას ან როდესაც შესაბამის სტანდარტი, რომელიც ხელშეკრულების კომპონენტის შეფასებისთვის გამოიყენება, მნიშვნელოვნად ცვლის ხელშეკრულების ფარგლებს ან მოითხოვს მოდიფიცირებული ხელშეკრულების სხვა ჯგუფში ჩართვას. ასეთ შემთხვევაში კომპანია წყვეტს თავდაპირველი ხელშეკრულების აღიარებას და აღიარებს მოდიფიცირებულ ხელშეკრულებას როგორც ახალ ხელშეკრულებას.

როდესაც მოდიფიკაცია არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის პირობებს, კომპანია ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად მიღებულ ან გადახდილ თანხებს ასახავს როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებების ცვლილებას.

**(vi) წარდგენა.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალ-ცალკე წარადგენს მის მიერ გამოშვებული ისეთი სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს, მის მიერ გამოშვებული ისეთი სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელს, რომლებიც წარმოადგენს ვალდებულებებს; ისეთი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს და ისეთი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელს, რომლებიც წარმოადგენს ვალდებულებებს.

კომპანია ცალცალკე წარმოადგენს მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულ მთლიან თანხებსა და გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგს, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებსა და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს და სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს.

კომპანია არ ახდენს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხის ცვლილების დეზაგრეგირებას ფინანსურ და არაფინანსურ ნაწილებს შორის და მთლიან ცვლილებას ასახავს როგორც სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილს.

ჯგუფი ერთი თანხის სახით წარადგენს ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებულ შემოსავალს ან ხარჯებს, რომელიც არ მოიცავს სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს.

**სადაზღვევო ამონაგები.** პერიოდის სადაზღვევო ამონაგები წარმოადგენს მოსალოდნელი მისაღები პრემიის თანხას (არ მოიცავს საინვესტიციო კომპონენტს და შესწორებულია საკრედიტო რისკით), რომელიც მიკუთვნებულია მოცემულ პერიოდზე. შესაბამისად, ფასს 17-ის მოდელი სადაზღვევო ამონაგების აღიარებასთან მიმართებით ასახავს დაზღვეულების მიერ პრემიის გადაუხდელობის რისკს. კომპანია მოსალოდნელ მისაღებ პრემიას

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

სადაზღვევო ხელშეკრულების მომსახურებას თითოეულ პერიოდზე ანაწილებს დროის გასვლის პროპორციულად. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რისკისგან განთავისუფლების მოსალოდნელი სქემა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ სქემისგან, რომელიც ასახავს დროის გასვლას, მაშინ მისაღები პრემია ნაწილდება სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების წარმოშობის მოსალოდნელი დროის საფუძველზე. დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების დისკონტირება არ ხდება.

**სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი და ხარჯები.** სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის საბალანსო ღირებულების ისეთ ცვლილებას, გარდა იმ ხელშეკრულებებისა რომელთა გადახდაც მოსალოდნელია წარმოშობიდან ერთ წელიწადში, რომელიც წარმოიშობა:

- ფულის დროითი ღირებულებისა და მისი ცვლილებების გავლენის შედეგად; და
- ფინანსური რისკისა და მისი ცვლილებების გავლენის შედეგად.

**წმინდა შემოსავალი ან ხარჯები ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან.** კომპანია წარადგენს მოგებაში ან ზარალში ერთი თანხის სახით გადაზღვეველის მიერ მოსალოდნელ ასანაზღაურებელ თანხებს და გადახდილი გადაზღვევის პრემიების განაწილების თანხებს.

**ფული და ფულის ეკვივალენტები** - ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად ნაშთებს და მოთხოვნამდე დეპოზიტებს შექმნის დღიდან სამი თვის ან ნაკლები ვადით, რომლებიც ექვემდებარება მათი რეალური ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

**ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და საწყისი შეფასება** - სავაჭრო მოთხოვნები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარებულია მათი წარმოშობისთანავე. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ეს არ არის სავაჭრო დებიტორული დავალიანება მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით, პლუს, არა FVTPL-ით არ შეფასებული ერთეულის შემთხვევაში, ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება მის შექმნას ან გამომშვებას. სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება ტრანზაქციის ფასით.

**ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება.** თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც შეფასებული: ამორტიზებული ღირებულებით; FVOCI – სავალო ინვესტიცია; FVOCI – კაპიტალის ინვესტიციები; ან FVTPL.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება მათი პირველი აღიარების შემდეგ არ ხდება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს, ამ შემთხვევაში, ყველა შემოქმედების ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირდება ბიზნეს-მოდელის ცვლილების შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველ დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ იგი აკმაყოფილებს ორივე ქვემოთ მოცემულ პირობას და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL:

- იმართება ისეთი ბიზნეს-მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვით; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს მითითებულ თარიღებში ისეთი ფულადი ნაკადების წარმოშობას, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ვალის ძირისა და ძირის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

სასესხო ინვესტიციები ფასდება რეალური ღირებულებით FVOCI სხვა მთლიანი შემოსავლის მეშვეობით, თუ ისინი აკმაყოფილებენ ორივე ქვემოთ მოცემულ პირობას და არ განისაზღვრება როგორც FVTPL:

- იმართება ისეთი ბიზნეს-მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვით; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს მითითებულ თარიღებში ისეთი ფულადი ნაკადების წარმოშობას, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ვალის ძირისა და ძირის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.



**მნიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელსაც კომპანია არ ფლობს სავაჭროდ, კომპანიას შეუძლია შეუქცევადად აირჩიოს ინვესტიციის რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილებები სხვა მთლიან შემოსავალში. ეს შერჩევა ხდება ინვესტიციის საფუძველზე თითოეული ინვესტიციისთვის. ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტირებული ღირებულებით შეფასებული ან ზემოთ აღწერილი FVOCI, შეფასებულია FVTPL-ით. ეს მოიცავს ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივს. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუძლია შეუქცევადად განსაზღვროს სხვაგვარად კვალიფიციური ფინანსური აქტივი, რომელიც უნდა შეფასდეს ამორტირებული ღირებულებით ან FVOCI, როგორც FVTPL, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც შეფასებული ამორტირებული ღირებულებით.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები** - კომპანია აღიარებს მსუ ანარიცხებს ამორტირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე;

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება არის დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის შემთხვევაში განცდილი ზარალის (ანუ ზარალის ოდენობა თუ დეფოლტი დადგა) და დეფოლტის რისკის ქვეშ თანხების ფუნქცია. დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტის შემთხვევაში განცდილი ზარალის შეფასება ეფუძნება წარსულ მონაცემებს, რომლებიც ზემოთ აღწერილი ფორვარდული ინფორმაციით კორექტირდება. რაც შეეხება დეფოლტის რისკის ქვეშ თანხებს, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი წარმოდგენილია საანგარიშგებო დღეს აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებით.

ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება როგორც სხვაობა კომპანიის მიერ ხელშეკრულებით მისაღებ ყველა ფულად ნაკადსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს, რაც შემდგომში დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კომპანია აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს სიცოცხლის განმავლობაში მსუ-ის ტოლი ოდენობით, გარდა შემდეგისა, რომელიც იზომება 12-თვიანი მსუ-ით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების თარიღისთვის; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლებისთვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში დეფოლტის რისკი) მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

სავაჭრო დებიტორებთან და სახელმეკრულებო აქტივებთან დაკავშირებული დანაკარგების რეზერვები ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც ECL სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია.

იმის დასადგენად, გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი საგრძნობლად თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ECL-ის შეფასებისას, კომპანია განიხილავს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც არის შესაბამისი და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას და ანალიზს, რომელიც ეფუძნება კომპანიის ისტორიულ გამოცდილებას და გონივრულ საკრედიტო შეფასებას, ასევე მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

კომპანია ვარაუდობს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუ იგი ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში.

კომპანია მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, როდესაც:

- ნაკლებად სავარაუდოა, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს კომპანიის წინაშე სასესხო ვალდებულებებს, თუ კომპანია არ გამოიყენებს ზომებს, როგორცაა გირაოს გაყიდვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტით. უვადო მსუ არის ის მსუ, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში ყველა შესაძლო დეფოლტისგან.

12-თვიანი მსუ არის მსუ-ის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება დეფოლტის მოვლენებისგან, რომლებიც შესაძლებელია ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (ან უფრო მოკლე პერიოდს, თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მსუ-ის შეფასებისას გათვალისწინებული მაქსიმალური პერიოდი არის მაქსიმალური სახელმეკრულებო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

**კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები** - კომპანია ყოველი ანგარიშგების თარიღზე აფასებს, არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და FVOCI-ში სავალო ფასიანი ქაღალდები კრედიტით გაუფასურებული. ფინანსური აქტივი არის კრედიტით გაუფასურებული, როდესაც მოხდა ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც აქვს მავნე გავლენა ფინანსური აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივი კრედიტით არის გაუფასურებული, მოიცავს შემდეგ ხილულ მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, როგორცაა დეფოლტი ან დაგვიანება 90 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში;
- კომპანიის მიერ სესხის ან ავანსის რესტრუქტურირება იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვაგვარად არ განიხილავდა;
- არსებობს შესაძლებლობა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრება ან განხორციელდეს სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები გამოიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

**ფინანსური აქტივები - ჩამოწერა** - ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივის სრული ან ნაწილის ანაზღაურების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური კლიენტებისთვის კომპანიას აქვს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა, როდესაც ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულია 365 დღე, მსგავსი აქტივების აღდგენის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. კორპორატიული კლიენტებისთვის, კომპანია აკეთებს ინდივიდუალურ შეფასებას ჩამოწერის ვადებსა და ოდენობასთან დაკავშირებით, იმის მიხედვით, არის თუ არა ანაზღაურების გონივრული მოლოდინი. კომპანია არ ელის ჩამოწერილი თანხის მატერიალურ დაბრუნებას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კვლავ ექვემდებარებოდეს აღსრულებას, რათა შეესაბამებოდეს კომპანიის პროცედურებს დავალიანების გამოთხოვა-ამოღების შესახებ.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა** - კომპანია წყვეტს ფინანსურ აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან ფულად ნაკადებზე სახელმძღვანელო უფლებები იწურება, ან გადასცემს უფლებებს სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების მიღებაზე გარიგებაში, რომელიც გადასცემს არსებითად ყველა რისკს და სარგებელს საკუთრებაში. ფინანსური აქტივი, ან რომელშიც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრების არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

კომპანია ატარებს ოპერაციებს, რომლითაც იგი გადასცემს აქტივებს, რომლებიც აღიარებულია მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემული აქტივების ყველა ან არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ამ შემთხვევაში, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება.

**ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და მოგება-ზარალი.** ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან FVTPL. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც FVTPL, თუ ის კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ შენახული, არის წარმოებული ან ასეთია მითითებული თავდაპირველი აღიარებისას. FVTPL: ფინანსური ვალდებულებები ფასდება რეალური ღირებულებით, ხოლო წმინდა მოგება-ზარალი, მათ შორის ნებისმიერი საპროცენტო ხარჯი, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯები და სავალუტო მოგება-ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

**ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა.** კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულებას, როდესაც მისი სახელმძღვანელო ვალდებულებები სრულდება, გაუქმებულია ან ვადა ამოიწურება. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსურ ვალდებულებას, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებულია, ამ შემთხვევაში ახალი ფინანსური ვალდებულება შეცვლილი პირობების საფუძველზე აღიარებულია რეალური ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების გაუქმებისას, სხვაობა გადახდილ საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების ან აღებული ვალდებულებების ჩათვლით) აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

**საინვესტიციო ქონება.** საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის აფასების ან ორივე მიზნით და რომელსაც ჯგუფი არ იკავებს. საინვესტიციო ქონებაში შედის საინვესტიციო ქონებად მომავალი გამოყენებისთვის მშენებარე აქტივები.

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და აუცილებლობის შემთხვევაში, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

საინვესტიციო ქონების ცვეთა გამოითვლება წრფივად, 50 წლიანი მოსალოდნელი სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში.

**ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, სადაც ეს აუცილებელია.

მცირე რემონტი და ყოველდღიური ტექნიკური ხარჯები ირიცხება წარმოებისას. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არის თუ არა რაიმე მითითება ძირითადი საშუალებების გაუფასურების შესახებ. თუ ასეთი მითითებები არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის რეალური ღირებულების გამოკლებით გაყიდვის ხარჯები და მისი გამოყენების ღირებულება.

საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგებაში ან ზარალში, რამდენადაც იგი აღემატება წინა გადაფასების ზედმეტ კაპიტალს. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიცვლება, თუ შეიცვლება შეფასებებში, რომლებიც გამოიყენება აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების გამოკლებით გაყიდვის დანახარჯების დასადგენად.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულების შედარებით, აღიარებულია წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავლებში ან ხარჯებში).

**ცვეთა.** ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა გადანაწილდეს მათი ღირებულება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში:

**სასარგებლო მოხმარების ვადა, წელი**

ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5
საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა ამჟამად აქტივის რეალიზაციით, გაყიდვის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივმა უკვე მიაღწია ასაკსა და მდგომარეობას, რომელიც მოსალოდნელი იყო მისი სასარგებლო ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო ვადები გადაიხედება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

**არამატერიალური აქტივები.** კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს. შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და დანერგვისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე. კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გარე კონტრაქტორების მიერ შესრულებული პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სერვისების ხარჯებს. პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი, როგორცაა ტექნიკური მომსახურება, ირიცხება წარმომობისას.

კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა ფუნქციონალური ვადის გარეშე ამორტიზირებულია წრფივი მეთოდით მისი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში 7 წლის განმავლობაში.

**მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადის გადასახდელების აღიარება ხდება ვალდებულებად დივიდენდების განაწილებაზე და ხარჯად აღირიცხება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში. ეს იმის მიუხედავად ხდება, თუ რომელ პერიოდზე გამოცხადდა ეს დივიდენდები და რომელ პერიოდში მოხდა მათი გადახდა. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზისებს შორის არ არსებობს ისეთი სხვაობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების გაჩენა.

**საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები** - მათი აღიარება ხდება დარიცხვისას მოგებაში ან ზარალში, აქტივის ან ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით. საპროცენტო შემოსავალსა და ხარჯში შედის დისკონტები, პრემიუმები და პროცენტიანი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებასა და დაფარვის ვადის გასვლისას დაფიქსირებული ოდენობის ნებისმიერი სხვა სხვაობა, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

იანგარიშება. სესხის აღების საკომისიოები, სესხის მომსახურების საკომისიოები და სხვა საკომისიოები, რაც ითვლება სესხის მთლიანი რენტაბელობის განუყოფელ ნაწილად, გვერდით პირდაპირ ხარჯებთან ერთად, გადავადდება და ამორტიზდება საპროცენტო შემოსავლამდე ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, ექვეტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**სხვა საკომისიო შემოსავალი და სხვა საოპერაციო ხარჯები.** მათი აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

**4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯები ბუღალტრული პოლიტიკების გამოყენების პროცესში**

სტანდარტის ფასს 17 მიღების შედეგად, კომპანიას გაუჩნდა დამატებითი სააღრიცხვო განსჯების გამოყენების აუცილებლობა და შეფასების განუსაზღვრელობის წყაროები:

**აგრეირების დონე - სააღრიცხვო განსჯა.** კომპანია პორტფელს განსაზღვრავს როგორც ისეთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი რისკები და იმართება ერთად. ერთი პროდუქტის ხაზის ფარგლებში მოქცეული ხელშეკრულებები არის ერთი და იმავე პორტფელში, რადგან აქვთ მსგავსი რისკები და იმართება ერთად. იმის შეფასება, თუ რომელი რისკებია მსგავსი და როგორ იმართება ხელშეკრულებები, მოითხოვს განსჯას.

**წაგებიანი ხელშეკრულებები - განუსაზღვრელობის შეფასების წყარო.** კომპანია მიიჩნევს, რომ საწყისი აღიარებისას არც ერთი ხელშეკრულება არ არის წაგებიანი, მანამ სანამ ფაქტები და გარემოებები არ მიუთითებს სხვაგვარად. ეს ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას, რაც შეიძლება განუსაზღვრელი იყოს მათი დროის, ზომის და ალბათობის გამო. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, ნებისმიერ დროს ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია, კომპანია ადგენს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების ზარალის კომპონენტს როგორც ამ ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებასთან დაკავშირებულ გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადაჭარბებას დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების მთლიანი საბალანსო ღირებულება /პირვანდელი ღირებულებასთან ფარდობასთან. შესაბამისად, სადაზღვევო პერიოდის ბოლოს სადაზღვევო ხელშეკრულებების ზარალის კომპონენტი ნულის ტოლი იქნება. როდესაც კომპანია საწყისად აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს ან როცა შემდგომში ემატება წაგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიანი ჯგუფი, და კომპანია ფლობს მოკორესპონდენტო გადაზღვევის ხელშეკრულებას, ის განსაზღვრავს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივისთვის ზარალის კომპენსაციის კომპონენტს, რომელიც ასახავს აღიარებული ზარალის ანაზღაურებას.

**მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები - განუსაზღვრელობის შეფასების წყარო.** მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, კომპანია მიუკერძოებლად ითვალისწინებს მიზანშეწონილი დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველანაირ დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას საანგარიშგებო თარიღისთვის. ეს ინფორმაცია მოიცავს ზარალებთან და სხვა ხარჯებთან დაკავშირებით როგორც შიდა ასევე გარე ისტორიულ, განახლებულ მონაცემებს, რათა ასახოს მომავალი მოვლენების შესახებ მიმდინარე მოლოდინები. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები ასახავს კომპანიის ხედვას მიმდინარე მოვლენებზე საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა უზრუნველყოს შესაბამისი საბაზრო ცვლადების შეფასებების შესაბამისობა ამ ცვლადი სიდიდეების დაკვირვებად საბაზრო ფასებთან, თუმცა აღნიშნული ფულადი ნაკადები არსებითად განუსაზღვრელია მათი ზომის, დროის მიხედვით და დაფუძნებულია ალბათობებით შეწონილი საშუალო მნიშვნელობის მოლოდინებზე.

**რისკის კორექტირება - განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები.** რისკის კორექტირება არა-ფინანსური რისკისთვის განისაზღვრება ისე, რომ გაითვალისწინოს კომპენსაცია, რომელიც კომპანიას ესაჭიროება არა-ფინანსური რისკის აღებისთვის და რისკის ის დონე, რომელსაც კომპანია არ იღებს თავის თავზე. აღნიშნული განისაზღვრება პორტფელის დონეზე და მიეკუთვნება ხელშეკრულებების ჯგუფს მათი რეზერვის ზომის შესაბამისად. კომპანია არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების სიდიდის განსაზღვრისთვის იყენებს სანდოობის ინტერვალის ტექნიკას.

კომპანია აფასებს კონტრაქტებიდან მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელი მიმდინარე ღირებულების ალბათობის განაწილებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და გამოთვლის რისკის კორექტირებას არაფინანსური რისკისთვის ნდობის ინტერვალის ტექნიკის გამოყენებით. ნდობის ინტერვალის გულისხმობს ალბათობას, რომ პოპულაციის პარამეტრი დაეცემა მნიშვნელობებს შორის გარკვეული პროპორციით. იმ სიტუაციაში, როდესაც ზემოაღნიშნული მეთოდების განაწილების დაშვებები გაურკვეველია ან დარღვეულია, ხელახალი შერჩევის მეთოდები იძლევა სანდო ინტერვალის ან პროგნოზირების ინტერვალის აგებას.

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

ნდობის ინტერვალის ტექნიკის გამოყენებით, რისკის კორექტირება გამოითვლება როგორც ზღვარი არასასურველი გადახრის ალბათობებით შეწონილი მოსალოდნელი მნიშვნელობიდან, არჩეული ნდობის დონის გამოყენებით. რისკის კორექტირება არის მანძილი ალბათობით შეწონილ მოსალოდნელ მნიშვნელობას (საშუალოს შეფასება მთელ განაწილებაზე) და შერჩეული ნდობის დონის მიღმა ფულადი სახსრების ნაკადების ალბათობით შეწონილ მოსალოდნელ მნიშვნელობას შორის. ჯგუფი არაფინანსურ რისკს ანგარიშობს 80%-იანი დონით.

**5. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღება**

მიმდინარე წლის განმავლობაში კომპანიამ გამოიყენა ფასს სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული შემდეგი შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ ძალაში შესულ პერიოდებზე. ამ შესწორებების მიღებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი ეფექტი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე ან აქ გაკეთებულ განმარტებებზე.

შესწორებები სტანდარტში ბასს 1 – „ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად“

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დაწერა ბასს 1 სტანდარტის 2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული შესწორებები.

ეს შესწორებები ეხება მხოლოდ ვალდებულებების წარმოდგენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარედ ან გრძელვადიანად და არა რომელიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯების ოდენობასა თუ აღიარების დროს ან ამ მუხლების შესახებ განმარტებულ ინფორმაციას.

შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებს, აკონკრეტებს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს მოლოდინი, გამოიყენებს თუ არა პირი უფლებას, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა, განმარტავს, რომ უფლებები არსებობს, თუ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დათქმები კმაყოფილდება და იმის ასახსნელად, რომ დაფარვა ნიშნავს კონტრაჰენტისათვის ფულის, კაპიტალის ინსტრუმენტების, სხვა აქტივების გადაცემას ან მომსახურების გაწევას, შემოაქვს დაფარვის კონკრეტული განსაზღვრება.

შესწორებები სტანდარტში ბასს 1 - გრძელვადიანი ვალდებულებები დათქმებით

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად გამოიყენა ბასს 1 სტანდარტის 2022 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული შესწორებები.

შესწორებები აკონკრეტებს, რომ პირის უფლებაზე, ვალდებულების დაფარვა გადაავადოს საანგარიშო თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვით, მოქმედებს მხოლოდ ის დათქმები, რომელთა შესრულება პირს ევალება საანგარიშო პერიოდის ბოლო დღეს ან ბოლომდე (და ამდენად, უნდა მხედველობაში იქნეს მიღებული ვალდებულების მიმდინარედ ან გრძელვადიანად კლასიფიკაციისას). ამგვარი დათქმები განსაზღვრავს, არსებობს თუ არა უფლება საანგარიშო პერიოდის ბოლოს მაშინაც კი, როდესაც დათქმის შესრულების სტატუსის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ საანგარიშო პერიოდის შემდეგ (მაგალითად, საანგარიშო დღეს ფინანსურ მდგომარეობაზე დაფუძნებული დათქმა, რომლის შესრულება ფასდება მხოლოდ საანგარიშო დღის შემდეგ).

ბასსს აგრეთვე აკონკრეტებს, რომ საანგარიშო თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვით ვალდებულების დაფარვის გადავადების უფლებაზე არ მოქმედებს ის ფაქტი, რომ პირს დათქმის შესრულება მხოლოდ საანგარიშო პერიოდის შემდეგ ევალება. თუმცა, თუ პირის უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა დამოკიდებულია საანგარიშო პერიოდის გასვლიდან თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშო შესრულებაზე, მაშინ პირმა უნდა განმარტოს ის ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, გააცნობიერონ იმის რისკი, რომ ვალდებულებების დაფარვა სავალდებულო ხდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან

თორმეტი თვის განმავლობაში. ამაში შედის ინფორმაცია დათქმების (მათ შორის, დათქმების ბუნების თაობაზე და იმის შესახებ, თუ როდის ხდება სავალდებულო მათი შესრულება), შესაბამისი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებისა და ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რაც მიუთითებს, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს ამ დათქმების შესრულების სირთულე.

შესწორებები სტანდარტებში ბასს 7 „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: მიმწოდებლის ფინანსური გარიგებების განმარტებები“

ჯგუფმა მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტებში ბასს 7 „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: მიმწოდებლის ფინანსური გარიგებებით დასათაურებული განმარტებები“. ამ შესწორებებით ბასს 7 სტანდარტს ემატება განმარტება, რომელიც ამბობს, რომ პირი ვალდებულია, განმარტოს ინფორმაცია მიმწოდებლის ფინანსურ გარიგებებთან დაკავშირებით, თუ ეს ინფორმაცია ეხმარება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს იმ ეფექტის შეფასებაში, რაც ამ გარიგებებს აქვს პირის ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე. გარდა ამისა, შეიცვალა ფასს 7 და მას დაემატა მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები, როგორც ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციის შესახებ ინფორმაციის განმარტების მოთხოვნის მაგალითი.

შესწორებები სტანდარტში ფასს 16 - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის შემთხვევებში

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტში ფასს 16.

ამ შესწორებით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებს, რომლებიც ფასს 15 სტანდარტით „მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი“ აკმაყოფილებს გაყიდვის კრიტერიუმებს, დაემატა შემდგომი შეფასების მოთხოვნა. ამ შესწორებებით, გამყიდველი-მოიჯარე ვალდებულია, „საიჯარო გადახდები“ ან „კორექტირებული საიჯარო გადახდები“ იჯარის დაწყების შემდეგ იმგვარად დაადგინოს, რომ მან არ აღიაროს მოგება ან ზარალი, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას.

შესწორებები არ მოქმედებს გამყიდველი-მოიჯარის მიერ აღიარებულ მოგებასა თუ ზარალზე, რომელიც უკავშირდება იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას. ამ ახალი მოთხოვნების გარეშე, გამყიდველ-მოიჯარეს შეიძლება ეღიარებინა მოგება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებაზე მხოლოდ საიჯარო ვალდებულების გადაფასების გამო, რაც ფასს 16 სტანდარტის ზოგადი მოთხოვნა იყო (ეს შეიძლება მომხდარიყო, მაგალითად, იჯარის მოდიფიკაციის ან იჯარის პირობების ცვლილების შედეგად). ეს, კერძოდ, ხდება ისეთ უკუიჯარაში, რომელიც მოიცავს ცვლად საიჯარო გადახდებს, რაც ინდექსზე ან განაკვეთზე არ არის დამოკიდებული.

შესწორებების ფარგლებში, ბასსს საბჭომ აგრეთვე შეცვალა ფასს 16 სტანდარტში მოცემული საილუსტრაციო მაგალითი და დაამატა ახალი, რომელიც გვიჩვენებს აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების შემდგომ გადაფასებას გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქციაში, სადაც საიჯარო გადახდები ცვლიდა და არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. საილუსტრაციო მაგალითები აგრეთვე განმარტავს, რომ ვალდებულება, რომელიც ფასს 15 სტანდარტით გაყიდვად კვალიფიცირებული გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქცია არის საიჯარო ვალდებულება.

გამყიდველი-მოიჯარე შესწორებებს იყენებს რეტროსპექტიულად, ბასს 8 სტანდარტის მიხედვით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც გაფორმდა თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ. ეს უკანასკნელი კი განიმარტება, როგორც ფასს 16 სტანდარტის გამოყენების წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისი.

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

**6. ახალი გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ფასს 1 „მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის განმარტების ზოგადი მოთხოვნები“	მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის განმარტება
ფასს S2 - კლიმატთან დაკავშირებული განმარტებები მდგრადობის აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (მასს) სტანდარტების შესწორებები შესწორება სტანდარტში ბასს 21	კლიმატთან დაკავშირებული განმარტებები (მასს) სტანდარტების შესწორებები, რომლებიც საერთაშორისო დონეზე გამოყენებას უწყობს ხელს ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მასში მოცემული განმარტებები
ფასს 18	მვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებები
ფასს 19	

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

**7. წინა წლის ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება**

2024 წელს კომპანიის ხელმძღვანელობამ რამდენიმე ცვლილება შეიტანა დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულების ბუღალტრული დამუშავების წესში. ცვლილებები რეტროსპექტიულად აისახა და წინა წლის ფინანსური შედეგები დაკორექტირდა სტანდარტის ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკები, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება და შეცდომები“ შესაბამისად.

ქვემოთ მოცემული ცხრილები და განმარტებები მოკლედ განმარტავს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას 1-5 პუნქტებში და წინა წლის არასწორ ინტერპრეტაციას მე-6 პუნქტში, აგრეთვე კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების ეფექტს:

- 1) ფასს 17 სტანდარტით შეფასების მეთოდის ცვლილება.** კომპანიამ გადახედა არაფინანსური რისკის კორექტირების შეფასების მეთოდს და გადააფასა წინა წლის ეფექტი. ამ ცვლილების მიზეზი ისაა, რომ კომპანიის აზრით, ახალი მეთოდი გამოთვლის უფრო ეფექტურ გზას იძლევა. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოხდა სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებების შეფასება 327,987 ლარით მეტი და სადაზღვევო მომსახურების ხარჯების შეფასება 327,987 ლარით მეტით. იმავე თარიღის მდგომარეობით მოხდა გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივების შეფასება 190,028 ლარით მეტი და გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებული შედეგის შეფასება 190,028 ლარით მეტით.
- 2) წაგებიანი ხელშეკრულებები.** ფასს 17 სტანდარტის მიხედვით, პირმა, რომელზეც პრემიის განაწილების მიდგომა (PAA) ვრცელდება, უნდა დაუშვას, რომ პორტფელში წინასწარი შეფასებისას არც ერთი ხელშეკრულება წაგებიანი არ არის, თუ ამაზე რაიმე ფაქტი და გარემოება არ მიუთითებს. კომპანიამ ხელახლა შეაფასა, ხომ არ აქვთ საწყისი აღიარებით წაგებიანად არაღიარებულ ხელშეკრულებებს შემდგომში ასეთად ქცევის დიდი ალბათობა. შედეგად, ხელახალი შეფასების საფუძველზე, კომპანიამ მანამდე წაგებიანად შეფასებული კონტრაქტები ჩათვალა არაწაგებიანად. წინა წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოხდა დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებების შეფასება 249,985 ლარით მეტი და გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივების შეფასება 124,546 ლარით მეტით.
- 3) კომპანიამ შეცვალა გადაზღვევის პრემიებისა და გადამზღვევთაგან ასანაზღაურებელი თანხების განაწილების პრეზენტაცია და ეს თანხები წარმოადგინა ერთ მუხლში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი.**

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

- 4) **სუბროგაციისა და აგენტის საკომისიოს რეკლასიფიკაცია.** კომპანიამ გააკეთა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაზღვევის ხელშეკრულებების ვალდებულებებიდან მისაღები სუბროგაციის რეკლასიფიკაცია სხვა აქტივებში 116,290 ლარის ოდენობით. კომპანიამ გააკეთა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამაზღვევთათვის გადასახდელი სუბროგაციის რეკლასიფიკაცია სხვა ვალდებულებებიდან გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივებში 122,792 ლარის ოდენობით. კომპანიამ გააკეთა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაზღვევის აგენტებისათვის გადასახდელი თანხების რეკლასიფიკაცია სხვა ვალდებულებებში 218,799 ლარის ოდენობით. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები გაიზარდა 195,146 ლარით, ხოლო გადაზღვევის ხელშეკრულებათა ვალდებულებები შემცირდა 23,653 ლარით.
- 5) **უბედური შემთხვევის პოლისების რეკლასიფიკაცია.** კომპანიამ შეცვალა უბედური შემთხვევის პოლისების წარმოდგენის ფორმა და ეს პოლისები ავტო-პოლისებს შეუერთა (CASCO და MTPL). ამ რეკლასიფიკაციის შედეგად, წინა წლის ფინანსური ანგარიშგება შეიცვალა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები და ვალდებულებები შემცირდა 136,189 ლარით, ხოლო გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები და ვალდებულებები შემცირდა 143,829 ლარით
- 6) **რისკის კორექტირება სიცოცხლის დაზღვევაზე.** სტანდარტი ფასს 17 კომპანიას ავალდებულებს, გამოითვალოს სადაზღვევო ხელშეკრულებების რისკის კორექცია. წინა წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიამ არასწორად აღიარა რისკის კორექტირება, რის გამოც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაზღვევის ხელშეკრულებათა ვალდებულებები შეფასდა 578,599 ლარით მეტით, ხოლო გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები შეფასდა 400,705 ლარით მეტით.

<i>ქართული ლარი</i>		<b>ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>გადაფასება</b>	<b>გადაანგარიშებული 2023 წლის 31 დეკემბერი</b>
<b>აქტივები</b>				
დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	5	136,180	(136,180)	-
გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	1, 2, 6, 4, 5	75,333,191	(786,754)	74,546,437
სხვა აქტივები	4	185,580	116,290	301,870
<b>სულ აქტივები:</b>		<b>75,654,951</b>	<b>(806,644)</b>	<b>74,848,307</b>
<b>ვალდებულებები</b>				
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	1, 2, 6, 4, 5	77,498,241	(1,176,461)	76,321,780
გადაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	5	167,482	(167,482)	0
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4	387,667	218,799	606,466
სხვა ვალდებულებები	4	584,053	(122,792)	461,261
<b>სულ ვალდებულებები:</b>		<b>78,637,443</b>	<b>(1,247,936)</b>	<b>77,389,507</b>
<b>კაპიტალი</b>				
გაუნაწილებელი მოგება	1, 2, 6	10,853,107	441,292	11,294,399
<b>სულ კაპიტალი:</b>		<b>16,853,107</b>	<b>441,292</b>	<b>17,294,399</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>95,490,550</b>	<b>(806,644)</b>	<b>94,683,906</b>



სს ბზ დაზღვევა

შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

ქართული ლარი		ანგარიშგება 2023	გადაფასება	გადაანგარიშებული 2023
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	1, 2, 6	(113,079,989)	1,156,571	(111,923,418)
<b>სადაზღვევო მომსახურების შედეგი ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებამდე</b>		<b>(94,266,590)</b>	<b>1,156,571</b>	<b>(93,110,019)</b>
გადაზღვევის პრემიების განაწილება	3	(13,130,248)	13,130,248	-
გადაზღვევისგან მისაღები თანხები	3	111,654,386	(111,654,386)	-
<b>წმინდა შემოსავალი / (ხარჯი) ფლობილი</b>	<b>3</b>	<b>98,524,138</b>	<b>(98,524,138)</b>	<b>-</b>
ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი	1, 2, 6	-	99,363,963	99,363,963
<b>სადაზღვევო მომსახურების შედეგი</b>		<b>4,257,548</b>	<b>441,292</b>	<b>4,698,840</b>
<b>მოგება გადასახადამდე</b>		<b>3,672,851</b>	<b>441,292</b>	<b>4,114,143</b>
<b>წლიური მოგება</b>		<b>3,095,912</b>	<b>441,292</b>	<b>3,537,204</b>
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>3,095,912</b>	<b>441,292</b>	<b>3,537,204</b>

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები	554,019	1,356,090
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(722)	(631)
<b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>553,297</b>	<b>1,355,459</b>

ფულისა და ფულის ეკვივალენტების საკრედიტო რეიტინგებია:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
BB	128,750	51,587
B+	223,479	1,166,037
B	201,068	-
ურეიტინგო	-	137,835
<b>სულ</b>	<b>553,297</b>	<b>1,355,459</b>

წლის განმავლობაში კომპანიის ფულადი ნაკადები 0.8 მილიონი ლარით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო ვადიან დეპოზიტებზე თავისუფალი ფულის განთავსებით. ამ კლების მიუხედავად, 2024 წლის განმავლობაში და წლის ბოლოს მდგომარეობით, ნაღდი ფულის მოცულობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა კომპანიისათვის კომფორტული საოპერაციო ლიკვიდობისათვის აუცილებელ თანხას.

დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, კომპანია პერიოდულად აბანდებს დაგროვილ ჭარბ ფულს მაღალი უკუგების საბანკო ვადიან დეპოზიტებში. 2024 წლის განმავლობაში ვადიან დეპოზიტებზე განთავსებული სახსრების მოცულობა 4.5 მილიონი ლარით გაიზარდა (იხ. მე-9 შენიშვნა - დეპოზიტები ბანკებში).

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 9. დეპოზიტები ბანკებში

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სს „კრედიტ ბანკი“	14,561,435	12,451,886
სს „ფაშა-ბანკ ჯორჯია“	6,334,279	4,194,208
სს „ბაზისბანკი“	438,539	161,294
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(102,120)	(53,508)
<b>სულ დეპოზიტები ბანკებში</b>	<b>21,232,133</b>	<b>16,753,880</b>

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო დეპოზიტებზე განთავსებული მთლიანი თანხიდან 7,200,000 ლარი ეკუთვნის საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას.

ბანკებში განთავსებულ თანხებზე საკრედიტო რეიტინგებია:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
B+	436,801	160,401
B	20,795,332	-
Not Rated	-	16,593,479
<b>სულ</b>	<b>21,232,133</b>	<b>16,753,880</b>

საბანკო დეპოზიტების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. საბანკო დეპოზიტები წარმოდგენილია ქართულ ლარში, ქართულ კომერციულ ბანკებში განთავსებული თანხებით. დაკავშირებულ მხარესთან (სს „ბაზისბანკი“) განთავსებულ საბანკო დეპოზიტს ერიცხება საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 11.4% (2023: 11.5%). იხილეთ 30-ე შენიშვნა.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დეპოზიტების დარჩენილი ვადები და საშუალო საპროცენტო განაკვეთებია:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	საშუალო %	თანხა	საშუალო %	თანხა
1-6 თვე	12.7%	2,055,634	13.0%	1,332,664
6-12 თვე	13.7%	10,204,437	13.3%	6,638,114
12-24 თვე	12.0%	8,972,062	14.0%	8,783,102
<b>სულ</b>	<b>12.9%</b>	<b>21,232,133</b>	<b>13.5%</b>	<b>16,753,880</b>

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელ კომპანიაში (სს „ბაზისბანკი“) განთავსებული დეპოზიტებიდან 402,896 ლარი გამოყენებული იყო მშობელი კომპანიისგან მიღებული საგარანტიო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად. იხილეთ 30-ე შენიშვნა.

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 10. ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სს „მსო კრისტალის“ თამასუქები	632,541	-
სს „მსო სვის კაპიტალის“ თამასუქები	300,115	303,567
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(3,468)	(1,785)
<b>სულ ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში</b>	<b>929,188</b>	<b>301,782</b>

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „მსო კრისტალის“ რეიტინგი იყო B, ხოლო სს „მსო სვის კაპიტალისა“ – B- (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „სვის კაპიტალის“ რეიტინგი იყო B-).

2025 წლის 12 თებერვალს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მიკრობანკების რეგულირების წესის თანახმად, სს „კრისტალს“ მისცა მიკრობანკის ლიცენზია.

#### 11. დაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები და ვალდებულებები

ცხრილში მოცემულია მოძრაობა დაზღვევის ხელშეკრულებების აქტივებსა და ვალდებულებებში:

ქართული ლარი	ვალდებულებები დარჩენილ ვადაზე		მიღებული პრეტენზიების ვალდებულებები		სულ
	ზარალის კომპონენტის გამოკლება	ზარალის კომპონენტი **	მიღებული პრეტენზია	არაფინანსური რისკის კორექტირება	
დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	-	-	-	-	-
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	(1,261,632)	-	(1,923,321)	(128,221)	(3,313,174)
<b>31.12.2022</b>	<b>(1,261,632)</b>	<b>-</b>	<b>(1,923,321)</b>	<b>(128,221)</b>	<b>(3,313,174)</b>
შემოსავალი დაზღვევიდან	18,813,399	-	-	-	18,813,399
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	-	-	-	-
მიღებული პრეტენზიები *	-	-	(110,926,926)	(92,790)	(111,019,716)
პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	-	-	(406,081)	-	(406,081)
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - LfIC ცვლილება	-	-	264,818	81,121	345,939
ზარალი წაგებიან ხელშეკრულებებზე და ზარალის გაუქმება	-	-	-	-	-
წმინდა სავალუტო შემოსავალი / (ხარჯი)	31,935	-	-	-	31,935
<b>სულ ცვლილება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>18,845,334</b>	<b>-</b>	<b>(111,068,189)</b>	<b>(11,669)</b>	<b>(92,234,524)</b>
ფულადი ნაკადები	-	-	-	-	-
მიღებული პრემიები	(18,985,493)	-	-	-	(18,985,493)
ანაზღაურებული პრეტენზიები	-	-	38,211,411	-	38,211,411
გაწეული პირდაპირ მიკუთვნებული ხარჯები	-	-	-	-	-
<b>31.12.2023 (გადაანგარიშებული)</b>	<b>(1,401,791)</b>	<b>-</b>	<b>(74,780,099)</b>	<b>(139,890)</b>	<b>(76,321,780)</b>

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	-	-	-	-
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	(1,401,791)	-	(74,780,099)	(139,890)
<b>31.12.2023 (გადაანგარიშებული)</b>	<b>(1,401,791)</b>	<b>-</b>	<b>(74,780,099)</b>	<b>(139,890)</b>
შემოსავალი დაზღვევიდან	(25,683,410)	-	-	-
<b>სადაზღვევო მომსახურების ხარჯები</b>	<b>(25,683,410)</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>(25,683,410)</b>
მიღებული პრემიები *	-	-	(4,775,772)	(122,478)
პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	-	-	(490,176)	-
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - LfC ცვლილება	-	-	(37,948,769)	122,324
ზარალი წაგებიან ხელშეკრულებებზე და ზარალის გაუქმება	-	-	-	-
წმინდა სავალუტო შემოსავალი / (ხარჯი)	11,498	-	-	-
<b>სულ ცვლილება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>(25,671,912)</b>	<b>-</b>	<b>(43,214,717)</b>	<b>(154)</b>
<i>ფულადი ნაკადები</i>				
მიღებული პრემიები	28,272,725	-	-	-
ანაზღაურებული პრემიები	-	-	114,512,975	-
გაწეული პირდაპირ მიკუთვნებული ხარჯები	-	-	467,327	-
<b>31.12.2024</b>	<b>1,199,022</b>	<b>-</b>	<b>(3,014,514)</b>	<b>(140,044)</b>
დაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები	1,902,862	-	(1,820,822)	-
დაზღვევის ხელშეკრულებების ვალდებულებები	(703,840)	-	(1,193,692)	(140,044)

\* შარშან კომპანიამ ანაზღაურა 34,362,900 ლარის ოდენობის პრემია ავიაციის ხელშეკრულებიდან. თუმცა, აღნიშნული პრემია არა ანაზღაურებულ პრემიებში შევიდა, არამედ მუხლში „ცვლილება მიღებული პრემიების ვალდებულებაში“. 2023 წლის წარმოდგენილი ფორმით, ჯგუფმა გადაწყვიტა, ეს თანხა, გადაიტანოს „ანაზღაურებულ პრემიებში“, აღნიშნულს მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე არ ჰქონია, რადგან ორივე ანგარიში შედის „სადაზღვევო მომსახურების ხარჯებში“. ეს შესწორება მხოლოდ წინა წლის განმარტებებს ეხება.

\*\* გარდა ამისა, 2023 წელს წარმოდგენილი, 35,666,899 ლარის ოდენობის წაგებიანი ხელშეკრულება არასწორად ჩაითვალია წაგებიანად. შედეგად, მენეჯმენტმა გადაწყვიტა, დაეკორექტირებინა წინა წლის მაჩვენებელი და გამოანგარიშებული რეზერვი გადაიტანა „ზარალის კომპონენტიდან“ „მიღებული პრემიების ვალდებულებაში“. სადაზღვევო ვალდებულებების საბოლოო ნაშთზე ამას ნულოვანი ზეგავლენა ჰქონდა. ეს შესწორება მხოლოდ წინა წლის განმარტებებს ეხება.

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 12. გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები და ვალდებულებები

ცხრილში მოცემულია მოძრაობა გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივებსა და ვალდებულებებში:

	აქტივი / (ვალდებულება) მოქმედების ვადის ბოლომდე		მიღებული მოთხოვნის აქტივი / (ვალდებულება)		სულ
	ზარალი- ანაზღაურების კომპონენტის გამოკლებით	ზარალი- ანაზღაურების კომპონენტი **	გადაზღვევის წილი მიღებულ მოთხოვნაში	არაფინანსური რისკის კორექტირება	
<i>ქართული ლარი</i>					
გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები	(220,311)	-	2,605,600	76,184	<b>2,461,473</b>
გადაზღვევის ხელშეკრულებათა ვალდებულებები	(26,289)	-	18,942	-	<b>(7,347)</b>
<b>31.12.2022</b>	<b>(246,600)</b>	<b>-</b>	<b>2,624,542</b>	<b>76,184</b>	<b>2,454,126</b>
გადაზღვევის ხარჯები	(11,830,782)	-	-	-	<b>(11,830,782)</b>
<b>ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი</b>					
გადაზღვევის წილი მიღებულ მოთხოვნაში *	-	-	109,811,077	53,403	<b>109,864,480</b>
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - AfC კორექტირება	-	-	(168,534)	(56,305)	<b>(224,839)</b>
ზარალის წაგებიან ხელშეკრულებაზე და ზარალის გაუქმება	-	-	-	-	-
წმინდა სავალუტო შემოსავალი / (ხარჯი)	(50,722)	-	(39,266)	-	<b>(89,988)</b>
<b>სულ ცვლილება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>(11,881,504)</b>	<b>-</b>	<b>109,603,277</b>	<b>(2,902)</b>	<b>97,718,871</b>
გადახდილი გადაზღვევის პრემიები	11,108,920	-	-	-	<b>11,108,920</b>
გადაზღვევის წილი გადახდილ მიღებულ მოთხოვნებში	-	-	(36,735,480)	-	<b>(36,735,480)</b>
გადაზღვევის წილი სუბროგაციასა და ქონების გადარჩენაში	-	-	-	-	-
<b>31.12.2023 (გადაანგარიშებული)</b>	<b>(1,019,184)</b>	<b>-</b>	<b>75,492,339</b>	<b>73,282</b>	<b>74,546,437</b>
გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები	(1,019,184)	-	75,492,339	73,282	<b>74,546,437</b>
გადაზღვევის ხელშეკრულებათა ვალდებულებები	-	-	-	-	-
<b>31.12.2023 (გადაანგარიშებული)</b>	<b>(1,019,184)</b>	<b>-</b>	<b>75,492,339</b>	<b>73,282</b>	<b>74,546,437</b>
გადაზღვევის ხარჯები	(17,617,233)	-	-	-	<b>(17,617,233)</b>
<b>ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი</b>					
გადაზღვევის წილი მიღებულ მოთხოვნაში	-	-	2,567,344	68,697	<b>2,636,041</b>
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - AfC კორექტირება	-	-	37,999,701	(64,478)	<b>37,935,223</b>
ზარალის კომპონენტი წაგებიან ხელშეკრულებაში	-	-	-	-	-
წმინდა სავალუტო შემოსავალი / (ხარჯი)	(19,137)	-	-	-	<b>(19,137)</b>
<b>სულ ცვლილება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>(17,636,370)</b>	<b>-</b>	<b>39,851,766</b>	<b>4,219</b>	<b>22,219,615</b>
გადახდილი გადაზღვევის პრემიები	16,800,633	-	-	-	<b>16,800,633</b>

## სს ბბ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

გადაზღვევის წილი გადახდილ მიღებულ მოთხოვნებში	-	-	(113,662,523)	-	(113,662,523)
გადაზღვევის წილი სუბროგაციასა და ქონების გადარჩენაში	-	-	-	-	-
<b>31.12.2024</b>					
	(1,854,921)	-	2,396,861	77,501	619,441
გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები	(1,257,532)	-	2,144,384	77,501	964,353
გადაზღვევის ხელშეკრულებათა ვალდებულებები	(597,389)	-	252,477	-	(344,912)

### 13. საინვესტიციო ქონება

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
<b>ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>1,414,970</b>	<b>1,657,459</b>
რეალიზაცია	(68,638)	(242,489)
<b>ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,346,332</b>	<b>1,414,970</b>
<b>დაგროვილი ცვეთა 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>(65,172)</b>	<b>(33,149)</b>
ცვეთის ხარჯი	(32,202)	(32,023)
<b>დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(97,374)</b>	<b>(65,172)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,248,958</b>	<b>1,349,798</b>

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებაა 1,346,141 ლარი (2023: 2,339,778 ლარი). ეს თანხა დადგინდა კომპანიის შიდა შემფასებლების მიერ საბაზრო მიდგომით ჩატარებული შეფასების საფუძველზე.

## სს ბზ დაზღვევა

შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

### 14. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

<i>ქართული ლარი</i>	ავეჯი და აღჭურვილობა	ავტო- სატრანსპორტ ო საშუალებები	არამატერიალუ რი აქტივები	სულ
<b>თვითღირებულება</b>				
<b>31.12.2022</b>	<b>73,771</b>	<b>19,200</b>	<b>100,133</b>	<b>193,104</b>
დამატება 2023 წელს	2,580	-	28,904	31,484
<b>31.12.2023</b>	<b>76,351</b>	<b>19,200</b>	<b>129,037</b>	<b>224,588</b>
დამატება 2024 წელს	356	-	-	356
<b>31.12.2024</b>	<b>76,707</b>	<b>19,200</b>	<b>129,037</b>	<b>224,944</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>				
<b>31.12.2022</b>	<b>47,683</b>	<b>16,591</b>	<b>48,680</b>	<b>112,955</b>
ცვეთის ხარჯი 2023 წელს	15,250	2,609	19,094	36,953
<b>31.12.2023</b>	<b>62,934</b>	<b>19,200</b>	<b>67,774</b>	<b>149,908</b>
ცვეთის ხარჯი 2024 წელს	8,975	-	19,409	28,384
<b>31.12.2024</b>	<b>71,909</b>	<b>19,200</b>	<b>87,183</b>	<b>178,292</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>				
<b>31.12.2023</b>	<b>13,417</b>	<b>-</b>	<b>61,263</b>	<b>74,680</b>
<b>31.12.2024</b>	<b>4,798</b>	<b>-</b>	<b>41,854</b>	<b>46,652</b>

### 15. სხვა აქტივები

<i>ქართული ლარი</i>	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებუ ლი)
გადარჩენილი ქონება	97,910	117,229
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები	207,708	34,413
მოთხოვნები რეგრესიდან	121,670	116,290
სავალდებულო დაზღვევის ცენტრისთვის წინასწარ გადახდილი ავანსები	23,528	23,529
გადახდილი ავანსები	66,604	10,409
სხვა აქტივები	1,771	-
<b>სულ სხვა აქტივები</b>	<b>519,191</b>	<b>301,870</b>

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 16. სხვა ფინანსური ვალდებულებები

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
გადასახდლები საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიმართ	254,473	188,134
გადასახდლები პროფესიულ მომსახურებაზე	192,097	184,063
გადასახდლები აგენტების მიმართ	68,335	218,799
სხვა კრედიტორები	56,058	15,470
<b>სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>570,963</b>	<b>606,466</b>

#### 17. სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
დარიცხული დაქირავებულ პირთა ანაზღაურება	548,097	391,007
გადასახდლები მოგების გადასახადზე	-	28,958
მიღებული ავანსები	170,705	21,346
სხვა ვალდებულებები	1,146	19,950
<b>სულ სხვა ვალდებულებები</b>	<b>719,948</b>	<b>461,261</b>

#### 18. კაპიტალი

	გამოშვებული აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,000,000	6,000,000	6,000,000
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,000,000	6,000,000	6,000,000
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,000,000	6,000,000	6,000,000

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვეულებრივი აქციების გამოცხადებული საერთო რაოდენობაა 6,000,000 (2022: 6,000,000), თითო აქციის ღირებულებაა 1 ლარი (2021: 1 ლარი თითო აქციაზე). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვეულებრივი აქციების ემიტირებული რაოდენობაა 6,000,000 (2022: 6,000,000 აქცია). ყველა ემიტირებული ჩვეულებრივი აქცია სრულად არის დაფარული. თითო ჩვეულებრივი აქცია ატარებს ერთი ხმის უფლებას.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ დრო და დრო გამოცხადებული დივიდენდები და აქციონერთა კრებაზე უფლებამოსილნი აქვთ თითო ხმა.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შემოიფარგლება ადგილობრივი მარეგულირებელი სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ კომპანიის ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით.

2024 და 2023 წლებში დივიდენდების დეკლარირება ან გადახდა არ მომხდარა.



## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 19. შემოსავალი დაზღვევიდან

ქართული ლარი	2024	2023
Casco	3,533,582	2,190,874
სიცოცხლის	2,755,674	2,070,760
ქონების	2,184,402	850,380
საავიაციო	13,816,203	9,717,192
მესამე მხარის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	2,484,587	2,674,588
სხვა	908,962	1,309,605
<b>სულ შემოსავალი დაზღვევიდან</b>	<b>25,683,410</b>	<b>18,813,399</b>

2024 წელს დაზღვევიდან მიღებული შემოსავალი 37%-ით (6.9 მილიონი ლარი). მათ შორის, საავიაციო დაზღვევის შემოსავალი გაიზარდა 42%-ით (4.1 მილიონი ლარი), ქონების დაზღვევიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 157%-ით (1.3 მილიონი ლარი) და CASCO დაზღვევიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 61%-ით (1.3 მილიონი ლარი).

ზრდა გამოწვეულია აქტიური ბიზნეს-პროცესით, რომელმაც შედეგად მოიტანა როგორც ახალი კლიენტების ბაზის გაფართოება, აგრეთვე არსებული კლიენტების ბიზნესის მატება.

#### 20. სადაზღვევო მომსახურების ხარჯები

ქართული ლარი	2024	2023 (გადაანგარიშებული)
მიღებული მოთხოვნები - საავიაციო	-	(108,179,679)
მიღებული მოთხოვნები - საავიაციოს გამოკლებით	(4,898,250)	(2,840,037)
პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	(490,176)	(406,081)
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - LfIC- საავიაციოს კორექტირება	(38,223,966)	-
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - LfIC- საავიაციოს გამოკლებით კორექტირება	397,521	345,939
ზარალი წაგებიან ხელშეკრულებებზე და ზარალის გაუქმება	-	-
აკვიზიციის ხარჯი	(449,162)	(1,143,389)
სუბროგაცია და გადარჩენილი ქონება	196,403	299,829
<b>სულ სადაზღვევო მომსახურების ხარჯები</b>	<b>(43,467,630)</b>	<b>(111,923,418)</b>

სადაზღვევო ხარჯების მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოწვეულია 2023 წლის ავიაციის პორტფელში შემავალი 4 სადაზღვევო საქმით, რომლებზეც მთლიანი ზარალი, 108.2 მილიონი ლარის ოდენობით, აისახა 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

აღნიშნულ სადაზღვევო საქმეებში 2023 და 2024 წელს იქნა ანაზღაურებული 3 ზარალი სულ 144.6 მილიონი ლარის ოდენობით, რამაც 2024 წელს გამოიწვია დამატებით 38.2 მილიონი ლარის ოდენობის ზარალი. 2024 წლის ბოლოსთვის ბალანსის უწყისში დარჩა 1.8 მილიონი ლარის ოდენობის 1 გადაუწყვეტელი ზარალი.

აღსანიშნავია, რომ ყველა საავიაციო ხელშეკრულება წარმოადგენს ფრონტინგის კონტრაქტებს, რაც ნიშნავს, რომ რისკის 100% გადადის გადამზღვეველზე. თავად კომპანია არ იხდის დაზღვეული მომხმარებლების პრეტენზიებს. ფასს 17 სტანდარტის შესაბამისად, ეს ხარჯები წარმოდგენილია სადაზღვევო მომსახურების ხარჯების ფარგლებში. სტანდარტის მოთხოვნაა, სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებმა ერთმანეთი არ გადაფაროს და წარმოდგენილი იქნეს ინდივიდუალურად.

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 21. ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი

<u>ქართული ლარი</u>	<u>2024</u>	<u>2023</u> (გადაანგარიშებული)
გადაზღვევის ხარჯები	(17,617,233)	(11,830,782)
გადაზღვევის წილი მიღებულ პრეტენზიებში - ავიაცია	-	107,464,400
გადაზღვევის წილი მიღებულ პრეტენზიებში - ავიაციის გარეშე	2,636,041	2,400,080
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - AfIC კორექტირება - ავიაცია	38,223,966	-
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - AfIC კორექტირება - ავიაციის გარეშე	(288,743)	(224,839)
<b>სულ გადაზღვევის მომსახურების ხარჯები</b>	<b>22,954,031</b>	<b>97,808,859</b>

#### 22. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი

<u>ქართული ლარი</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
საპროცენტო შემოსავალი ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან	2,378,583	1,980,820
საპროცენტო შემოსავალი სავალო ფასიანი ქაღალდებიდან	74,656	42,000
<b>სულ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>2,453,239</b>	<b>2,022,820</b>

#### 23. ხელფასები და დაქირავებულ პირთა სხვა ბენეფიტები

<u>ქართული ლარი</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
ხელფასები	1,423,994	968,123
პრემიები	625,917	549,453
დაზღვევა და სხვა ბენეფიტები	25,751	21,790
<b>სულ ხელფასები და დაქირავებულ პირთა სხვა ბენეფიტები</b>	<b>2,075,662</b>	<b>1,539,366</b>

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 24. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

<b>ქართული ლარი</b>	<b>2024</b>	<b>2023</b>
აუდიტი და კონსულტაცია	202,040	221,556
ზედამხედველობის საფასური	254,473	188,134
ქირა	88,948	65,940
ფოსტა, ტელეკომუნიკაცია და კომუნალურები	34,952	37,715
მარკეტინგი	51,413	33,554
პროგრამული უზრუნველყოფა	33,205	24,000
ამორტიზაცია	16,924	19,094
ცვეთა	36,472	49,882
მივლინებები	21,244	15,904
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	9,654	9,446
საბანკო და სხვა საკომისიოები	12,035	6,779
სხვა ადმინისტრაციული დანახარჯები	25,600	40,731
<b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>786,960</b>	<b>712,735</b>

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად აუდიტორების / აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტორული მომსახურების საფასურმა შეადგინა 192,097 ლარი (2023: 221,556 ლარი).

#### 25. სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა

<b>ქართული ლარი</b>	<b>2024</b>	<b>2023</b>
სდც მმართველობის საფასური *	238,830	282,742
ქონების გადასახადის ხარჯი	13,888	13,997
სხვა საოპერაციო შემოსავალი	(87,739)	(33,526)
სხვა ხარჯები	20,567	71,063
<b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა</b>	<b>185,546</b>	<b>334,276</b>

\*სდც – სავალდებულო დაზღვევის ცენტრი

#### 26. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს შემდეგს:

<b>ქართული ლარი</b>	<b>2024</b>	<b>2023</b>
მიმდინარე გადასახადის დარიცხვა	-	(546,187)
გადავადებული გადასახადის დარიცხვა	-	(30,752)
<b>წლის მოგების გადასახადი</b>	<b>-</b>	<b>(576,939)</b>

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

---

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ კანონპროექტი (ასევე ცნობილი როგორც ესტონური ბიზნეს გადასახადების მოდელი), რომელსაც ძირითადად გადააქვს დაბეგრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღების მომენტიდან მოგების განაწილების დრომდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის ყველა სუბიექტისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონის ძალაში შესვლა იგეგმებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან.

2018 წლის 28 დეკემბერს კანონში დამატებითი ცვლილებები შევიდა. საფინანსო ინსტიტუტების ახალ საგადასახადო სისტემაზე გადასვლა 2019 წლის 1 იანვრის ნაცვლად 2023 წლის 1 იანვრიდან იგეგმებოდა, თუმცა, 2022 წლის დეკემბერში კვლავ გადაიდო. ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული ფინანსური ინსტიტუტები არ დაექვემდებარებიან საშემოსავლო გადასახადს, რომელიც უნება პერიოდის მოგებას (დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმების სახით განაწილებამდე) 2024 წლის 1 იანვრიდან და ამიტომ არ წარმოიქმნება გადავადებული აქტივები ან საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებები

საბოლოო ცვლილების ამოქმედების შემდეგ, კომპანიამ ხელახლა აჩვენა გადავადებული საგადასახადო აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გააუქმა გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდებისთვის და შესაბამისად აღიარა გადავადებული გადასახადის ხარჯი 2023 წლის მოგებაში. როგორც ამას მოითხოვს სტანდარტი ბასს 12 „მოგების გადასახადები“, კომპანიამ გამოიყენა გადასახადის განაკვეთი 0%-ის ოდენობით, რომელიც გამოიყენება გაუნაწილებელ მოგებაზე იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომლებიც მოსალოდნელია რეალიზებული ან დაფარული იქნეს იმ პერიოდებში, როდესაც ახალი დებულება ძალაში შედის.

**27. კაპიტალის მართვა**

**(a) მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა**

კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია მუდმივი მონიტორინგი და კაპიტალის შესაბამისი დონის შენარჩუნება, რომელიც შეესაბამება კომპანიის რისკის პროფილს. კომპანიის კაპიტალის მართვას აქვს შემდეგი მიზნები:

- საქართველოს სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- ფინანსური ძალის შენარჩუნება ახალი ბიზნესის ზრდის მხარდასაჭერად და დაკმაყოფილოს დაზღვევულების, მარეგულირებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები;
- სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის შენარჩუნება დაფარვის ვადის დადგომისას და მარეგულირებელი მოთხოვნების გადაჭარბებით შესრულება; და
- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება დაზღვევულის უსაფრთხოების გარკვეული ხარისხი.

კომპანიის ინტერესებშია შეინარჩუნოს ადეკვატური კაპიტალის რესურსები და შეესაბამებოდეს მოქმედი მინიმალური მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნებს ნებისმიერ დროს. კომპანიის მიერ გამოყენებული კაპიტალის ძირითადი წყარო ფინანსდება აქციების ემისიის გზით. სამომავლოდ ჯანსაღი კაპიტალის ბაზის შენარჩუნებას კომპანიისთვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, იმისთვის, რომ კომპანიამ ისარგებლოს როგორც მომგებიანი ზრდის შესაძლებლობებით, ასევე შეამსუბუქოს მნიშვნელოვანი ზარალის მომტანი მოვლენების გავლენა.

კაპიტალის მონიტორინგისა და მართვის პროცესის ფარგლებში, კომპანიამ დანერგა კონტროლი აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის შესაბამისობაზე, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას, მუდმივად შეინარჩუნოს წამყვან ქართულ ბანკებში განთავსებული სახსრების მინიმალური დონე.

სადაზღვევო სექტორის საქართველოში არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური („სდსზ“). სდსზს ადგენს სადაზღვევო კომპანიების კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები დადგენილია საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჯის უზრუნველსაყოფად.

სდსზს ადგენს მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნებს საქართველოში. სდსზს-ის მოთხოვნაა კაპიტალის შენარჩუნება 7,200 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც 100% უნდა ინახებოდეს საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში.

სს „ბბ დაზღვევა“ 2024 და 2023 წლებში აკმაყოფილებდა სდსზს-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნებს.

**(b) მარეგულირებელი მოთხოვნები**

2015 წლის 20 აპრილს დამტკიცებული სდსზს №04 დირექტივის მიხედვით, კაპიტალის მინიმალური ოდენობა მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2,200 ათას ლარს და კომპანიამ მუდმივად უნდა შეინარჩუნოს მითითებული მთლიანი თანხა ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების სახით ან საბანკო ანგარიშებზე. 2021 წლის დეკემბრიდან მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა 7,200 ათას ლარამდე გაიზარდა.

კომპანია აკმაყოფილებდა გარე კაპიტალის მოთხოვნებს 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2016 წლის 16 სექტემბერს სდსზს-მ გამოსცა დირექტივები №15 და №16 მარეგულირებელი გადახდისუნარიანობის მარჯის („მგმ“) და მარეგულირებელი კაპიტალის განსაზღვრის შესახებ. კანონმდებლობა ასევე ადგენს მგმ-თან შედარებით მინიმალური მარეგულირებელი კაპიტალის შენარჩუნების მოთხოვნებს.

2018 წლის 31 დეკემბრიდან მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი შეადგენდა 100% მგმ ან 4,200 ათასს ლარს, იმის მიხედვით, რომელი თანხა უფრო მეტია. 2021 წლის 31 დეკემბრიდან მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი შეადგენს 100% მგმ ან 7,200 ათასს ლარს, ამ ორში რომელი თანხაც უფრო მეტია.

მარეგულირებელი კაპიტალი განისაზღვრება ფასს კაპიტალის საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გარკვეული გამოქვითვებით, როგორცაა ინვესტიციები შვილობილ და ასოცირებულ საწარმოებში, არაუზრუნველყოფილი კრედიტები და სესხები და ა.შ., როგორც დადგენილია სდსზს №16 დირექტივით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია სრულად აკმაყოფილებდა მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნილ დონეს.

**28. დაზღვევის რისკის მართვა**

**(a) რისკის მართვის მიზნები და სადაზღვევო რისკის შემცირების პოლიტიკა**

კომპანიის პირველადი სადაზღვევო საქმიანობა მოიცავს ზარალის რისკს იმ პირების ან ორგანიზაციებისგან, რომლებიც უშუალოდ განიცდიან რისკს. ასეთი რისკები ძირითადად დაკავშირებულია სიცოცხლესთან, ავტომანქანებთან და არა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვა სეგმენტებთან, როგორცაა ქონება, პასუხისმგებლობა, ტვირთი, მოგზაურობა ან სხვა საფრთხეები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სადაზღვევო შემთხვევის შედეგად. აქედან გამომდინარე, კომპანია ექვემდებარება გაურკვევლობას, რომელიც დაკავშირებულია სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზარალის ვადასა და სიმძიმესთან. მთავარი რისკი ის არის, რომ პრეტენზიების სიხშირე და სიმძიმე მოსალოდნელზე მეტია. სადაზღვევო მოვლენები შემთხვევითი ხასიათისაა და მოვლენების ფაქტობრივი რაოდენობა და ზომა ნებისმიერ წელიწადში შეიძლება განსხვავდებოდეს დადგენილი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით შეფასებულისგან.

კომპანია ასევე ექვემდებარება საბაზრო რისკს თავისი სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობით. კომპანია მართავს სადაზღვევო რისკს რისკის კონცენტრაციის გადაზღვევის, ანდერაიტის ლიმიტების, ტრანზაქციის დამტკიცების პროცედურებისა და წარმომობილი საკითხების მონიტორინგის მეშვეობით.

**i. ანდერაიტინგის სტრატეგია**

კომპანიის ანდერაიტინგის სტრატეგია მიიწრაფვის მრავალფეროვნებისაკენ, რათა კომპანიის პორტფელი ყოველთვის მოიცავდეს არაკორელაციური რისკების რამდენიმე კლასს და რომ ყოველი რისკის კლასი, თავის მხრივ, განაწილდეს პოლისების დიდ რაოდენობაზე. მენეჯმენტის აზრით, ეს მიდგომა ამცირებს შედეგების ცვალებადობას.

ანდერაიტინგის სტრატეგია ჩამოყალიბებულია კომპანიის სადაზღვევო რისკის მართვის პოლიტიკაში. სტრატეგია ხორციელდება ანდერაიტინგის გაიდლაინებით, რომელიც განსაზღვრავს დეტალურ ანდერაიტინგის წესებს თითოეული პროდუქტის ტიპისთვის. სახელმძღვანელო შეიცავს სადაზღვევო კონცეფციებსა და პროცედურებს, თანდაყოლილი რისკის აღწერას, პირობებს, უფლებებსა და მოვალეობებს, დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხელშეკრულების/პოლიტიკის ნიმუშებს, მოქმედი განაკვეთების დასაბუთებას და ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მოქმედ ტარიფზე. ტარიფის გამოთვლები ეფუძნება ალბათობას და ვარიაციებს.

ანდერაიტინგის წესების დაცვას მუდმივად აკონტროლებს გენერალური დირექტორის მოადგილე, დირექტორთა საბჭო ასევე რეგულარულად აკვირდება ბიზნესის ზარალის კოეფიციენტისა და მოგებიანობის ტენდენციებს. რეგულარული ანალიზი ხელს უწყობს BOD-ს, შესაბამისი რეაგირება მოახდინოს და შეიტანოს ცვლილებები პროდუქტის ფასებში/სპეციფიკაციებში, რათა შეინარჩუნოს ზარალის სასურველი კოეფიციენტი.

**ii. გადაზღვევის სტრატეგია**

კომპანია გადაზღვევს რისკების ნაწილს, რომელსაც ახორციელებს ზარალის შემოქმედების კონტროლისა და კაპიტალური რესურსების დასაცავად. კომპანია ყიდულობს გადაზღვევას სადაზღვევო კონტრაქტების მიხედვით ბიზნესის, სიცოცხლის, სრული, ტვირთის, GTPL (ზოგადი მესამე მხარის პასუხისმგებლობის დაზღვევა) და ქონების, და ასევე სურვილისამებრ გადაზღვევს თითოეულ რისკს შემოსხმულ პროდუქტებში, რომლებიც სცილდება გადაზღვევის ლიმიტებს სადაზღვევო კონტრაქტების მიხედვით.

გადაცემული დაზღვევაზე მოქმედებს საკრედიტო რისკი და ასეთი ანაზღაურებადი გადაზღვევა მოხსენებულია ცნობილი გადახდისუნარიანობისა და უიმედო გამოქვითვის შემდეგ. კომპანია მუდმივად აკონტროლებს გადაზღვეველთა ფინანსურ მდგომარეობას და პერიოდულად განიხილავს გადაზღვევის ხელშეკრულებებს და გადაზღვეველთა საერთაშორისო რეიტინგებს.

**(b) სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობები და დაფარული რისკების ბუნება**

სადაზღვევო კონტრაქტების პირობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმომობილი მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე, ვადებსა და გაურკვევლობაზე, ჩამოთვლილია ქვემოთ. გარდა ამისა, ქვემოთ მოცემულია კომპანიის ძირითადი პროდუქტების შეფასება და როგორ მართავს ის მათთან დაკავშირებულ რისკებს.

**(i) ავტოდაზღვევა**

**პროდუქტის მახასიათებლები**

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ორ სახეს: სრული ყოვლისმომცველი დაზღვევა (Casco) და მესამე მხარის პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL). Casco-ს ხელშეკრულებების თანახმად, იურიდიული და ფიზიკური პირები იღებენ კომპენსაციას მათი ავტომანქანებისთვის მიყენებული ნებისმიერი დანაკარგის ან დაზიანებისთვის. MTPL კონტრაქტები უზრუნველყოფს ავტომობილის მფლობელს სადაზღვევო დაფარვას მესამე პირებისთვის ქონებრივი ზიანის, სიკვდილის ან პირადი დაზიანებისათვის გადახდილი

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

კომპენსაციისგან. ავტოდაზღვევა მოიცავს „short-tail“ დაფარვას. პრეტენზიები, რომლებიც, როგორც წესი, სწრაფად ფორმდება არის ის, რომელიც ანაზღაურებს პოლისის მფლობელისთვის ფიზიკურ ზიანს ან ავტომანქანის დაკარგვას. პრეტენზიები, რომლების ანაზღაურებას უფრო მეტი დრო სჭირდება და უფრო რთული შესაფასებელია, განეკუთვნება ფიზიკური დაზიანების პრეტენზიებს.

საქართველოში ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას საზღვრის კვეთისას (BMTPL) ახორციელებს სავალდებულო დაზღვევის ცენტრი (სდც). სდც არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად 2018 წლის იანვარში და მისი ძირითადი ფუნქციები და მოვალეობებია კლიენტებისთვის ავტოპასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სერვისის მიწოდება, სადაზღვევო პოლისების რეალიზაცია და ზარალის რეგულირება. საქართველოს ადმინისტრაციული კანონის შესაბამისად, რომელიც ავალდებულებს უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს/მძღოლს დააზღვიოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა საქართველოში ყოფნის მთელი ვადით საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე. სავალდებულო დაზღვევა ფარავს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიღებულ ზარალს, რომელიც გამოწვეულია მითითებული სატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით ან მასთან დაკავშირებული მიზეზების გამო.

სდც დაარსდა თანადაზღვევის სისტემაში მონაწილე მწვევლების მიერ სავალდებულო დაზღვევის მართვის მიზნით, ეს არის 18 ქართული სადაზღვევო კომპანია, მათ შორის „კომპანია“. ცენტრი მართავს პოლისების გაყიდვას, მართავს პრეტენზიებს და თანაბრად ანაწილებს მის მოგებას და/ან მიღებულ ზარალს საბჭოს წევრ კომპანიებს შორის.

**რისკის მართვა**

ზოგადად, ანგარიშგებაში ავტოდაზღვევის პრეტენზიების შეფერხებები მცირეა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიების სირთულე შედარებით დაბალია. საერთო ჯამში, პრეტენზიები ბიზნესის ამ მიმართულებით წარმოადგენს ზომიერ შეფასების რისკს. კომპანია მონიტორინგს უწევს და რეაგირებას ახდენს ტენდენციებზე სარემონტო ხარჯების, ტრავმის კომპენსაციისა და ქურდობისა და უბედური შემთხვევის პრეტენზიების სიხშირეზე.

პრეტენზიების სიხშირე დამოკიდებულია არასასურველი ამინდის პირობებზე, ხოლო პრეტენზიების მოცულობა უფრო მაღალია ზამთრის თვეებში. მანქანის დაზღვევა ხორციელდება კომპანიის მიმდინარე გამოცდილებიდან გამომდინარე.

**(ii) ქონების დაზღვევა**

**პროდუქტის მახასიათებლები**

კომპანია დაკავებულია ქონების დაზღვევით. ეს უკანასკნელი შედგება კორპორატიული და საცალო ქონების დაზღვევისგან. ქონების დაზღვევა ანაზღაურებს დაზღვეულს, ნებისმიერი შეზღუდვის ან გადაჭარბების გათვალისწინებით, საკუთარი მატერიალური ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევებისგან.

მოვლენა, რომელიც იწვევს შენობების ან ქონების დაზიანების პრეტენზიას, ჩვეულებრივ ხდება მოულოდნელად (როგორცაა ხანძარი და ქურდობა) და მისი მიზეზი ადვილად დგინდება. ამგვარად, პრეტენზია დაუყოვნებლივ იქნება გაფორმებული და განიხილება დაუყოვნებლად. აქედან გამომდინარე, უძრავი ქონების ქეისები კლასიფიცირდება როგორც მოკლე ვადიანი (short-tail) შემთხვევები.

**რისკის მართვა**

ამ პროდუქტთან დაკავშირებული ძირითადი რისკებია ანდერაიტის რისკი, კონკურენტული რისკი და ზარალის რისკი (სტიქიური უბედურებების ცვლადი სიხშირის ჩათვლით). კომპანია ასევე განიცდის განმცხადებლების მხრიდან გაზვიადების და არაკეთილსინდისიერების რისკს.

ანდერაიტინგის რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია არ იღებს სადაზღვევო პრემიებს მის მიერ დაზღვეული სხვადასხვა ქონების შესაბამისად. კომერციული უძრავი ქონების მრავალი ჩამონათვალი მოიცავს ადგილმდებარეობის, ბიზნესის ტიპისა და უსაფრთხოების ზომების უნიკალურ კომბინაციას. რისკის პრემიის გამოთვლა ამ პოლისებისთვის იქნება სუბიექტური და შესაბამისად სარისკო.

ამ რისკების მართვა ძირითადად ხდება ფასთა წარმოებით და გადაზღვევის პროცესების მეშვეობით. კომპანია იყენებს ანდერაიტინგის მკაცრ კრიტერიუმებს, რათა უზრუნველყოს ზარალის რისკი კომპანიისთვის მისაღები. კომპანია გადააზღვევს თავის ქონებრივ რისკებს ჭარბი ზარალის (Excess of loss), ჭარბი (Surplus) და ბუნებრივი კატაკლიზმების (Nat Cat) კონტრაქტების მეშვეობით.

**(iii) სიცოცხლის დაზღვევა**

**პროდუქტის მახასიათებლები**

კომპანია აფორმებს სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებს, რომლებშიც მოთხოვნის მიზეზი არის ბენეფიციარის გარდაცვალება ან მუდმივი ინვალიდობა, ხოლო დამზღვევი დაზღვეულია ფინანსური ინსტიტუტისთვის სესხის დარჩენილი ნაწილისთვის წინასწარ განსაზღვრული ოდენობით.

**რისკის მართვა**

კომპანიის ანდერაიტინგის სტრატეგია წარმოადგენს რისკების კარგი დივერსიფიცირების უზრუნველყოფას ინდუსტრიებსა და გეოგრაფიების დარგებში. კომპანია ასევე უფლება აქვს უარი თქვას გადახდაზე თაღლითური პრეტენზიის აღმოჩენის შემთხვევაში. კომპანია იყენებს გადაზღვევის ხელშეკრულებებს სიცოცხლის დაზღვევის ყველა რისკისთვის და რისკისადმი მიდრეკილება შემოიფარგლება ზარალის მთლიანი თანხის 10%-მდე. ამ პროდუქტთან დაკავშირებული ერთ-ერთი ძირითადი რისკია შეფერხება უბელური შემთხვევის თარიღსა და მოთხოვნის გაფორმების თარიღს შორის. ამ რისკის გამო, სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის იქმნება წარმომობილი, მაგრამ არ განცხადებული ზარალის რეზერვი, რომელიც გამოითვლება ჯაჭური სტატისტიკური მეთოდოლოგიით.

**(iv) ავია დაზღვევა**

**პროდუქტის მახასიათებლები**

კომპანია აფორმებს ავია-დაზღვევის ხელშეკრულებებს. დაზღვევით მოცული რისკებია საჰაერო ხომალდის კორპუსისთვის მიყენებული ზიანი, თვითმფრინავის მგზავრებისა და ეკიპაჟისთვის მიყენებული ზიანი, მესამე პირებისთვის და მათი ქონების მიყენებული ზიანი ან ზარალი.

**რისკის მართვა**

ყველა საავიაციო კონტრაქტი წარმოადგენს ფრონტინგის კონტრაქტებს, რაც ნიშნავს, რომ რისკის 100% გადადის გადამზღვეველზე. თავად კომპანია არ იხდის დაზღვეული მომხმარებლების პრეტენზიებს. ხელმოწერილი/დადებული GWP-ის 100% გადაეცემა გადამზღვეველებს, ხოლო კომპანია იღებს საკომისიოს შემოსავალს გადამზღვევისაგან.

**(c) (ა) სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია**

სადაზღვევო რისკის ძირითადი ასპექტი, რომელსაც კომპანია აწყდება, არის სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის ხარისხი, რომელიც შეიძლება არსებობდეს, როდესაც კონკრეტულ მოვლენას ან მოვლენათა სერიას შეუძლია არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაციები შეიძლება წარმოიშვას ერთი სადაზღვევო ხელშეკრულებიდან ან რიგი დაკავშირებული კონტრაქტებიდან მსგავსი რისკის მახასიათებლებით და მოიცავდეს გარემოებებს, რომლებიც შეიძლება გამოიწვიონ მნიშვნელოვანი ვალდებულებები. სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ ის შეიძლება წარმოიშვას რისკების დაგროვების შედეგად ხელშეკრულებათა სხვადასხვა კლასებში ან ტრანშებში.

რისკის კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას როგორც მაღალი სიმძიმის და დაბალი სიხშირის მოვლენებში, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, ასევე იმ სიტუაციებში, როდესაც ანდერაიტინგი მიკერძოებულად განიხილავს კონკრეტულ კომპანიას, მაგალითად, კონკრეტული გეოგრაფიიდან გამომდინარე.

ამ რისკების მართვის კომპანიის ძირითადი მეთოდები ორმხრივია. პირველ რიგში, რისკი იმართება შესაბამისი ანდერაიტინგის მეშვეობით. ანდერაიტერებს არ აქვთ უფლება, დააზღვიონ რისკები, თუ მოსალოდნელი შემოსავალი არ შეესაბამება აღებულ რისკებს. მეორეც, რისკი იმართება გადაზღვევის გამოყენებით. კომპანია ყიდულობს გადაზღვევის დაფარვას მისი ავტო, სიცოცხლისა და ქონების სხვადასხვა კლასის დაზღვევისთვის. კომპანია მუდმივად აფასებს მის გადაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და სარგებელს.

**(d) გადაზღვევის რისკი**

კომპანია გადასცემს დაზღვევის რისკს, რათა შეამციროს ანდერაიტინგის ზარალის მოცულობა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში, რომლებიც მოიცავს ინდივიდუალურ და პორტფელურ რისკებს. გადაზღვევის ხელშეკრულებებით რისკი გადანაწილდება და მინიმუმამდე დაიყვანება ზარალის ეფექტი. თითოეული შენარჩუნებული რისკის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს კომპანია ამ კონკრეტულ რისკს. გადაზღვევის



**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

ხელშეკრულებების პირობებით, გადამზღვეველი თანხმდება, რომ ანაზღაუროს გადაცემული თანხა ზარალის დაფარვის შემთხვევაში. თუმცა, კომპანიას რჩება ვალდებულება თავისი პოლისების მფლობელების მიმართ გადაცემულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, თუ გადამზღვეველი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. გადამზღვეველის შერჩევისას კომპანია ითვალისწინებს მის კრედიტუნარიანობას, რაც განისაზღვრება საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით.

**29. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა**

**(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება**

კომპანიის მთელი რიგი სააღრიცხვო პოლიტიკები და განმარტებები მოითხოვს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა განმარტების მიზნებს ემსახურება.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას კომპანია მაქსიმალურად იყენებს ბაზარზე არსებულ მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულების კატეგორიები სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე ყალიბდება, იმის მიხედვით, თუ რა ამოსავალ მონაცემებს იყენებს შეფასების მეთოდი:

- დონე 1: იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2 : პირველ დონეზე კლასიფიცირებული კოტირებული ფასების გარდა სხვა ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულების შესახებ, პირდაპირ (ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ფასებიდან მიღებული) და
- დონე 3 : აქტივის ან ვალდებულების ამოსავალი მონაცემები, რომლებიც არ ეყრდნობა ბაზარზე არსებულ მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების კატეგორიზაცია შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების კატეგორიზაცია მთლიანად ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეზე, რომელზეც მთლიანი შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის მონაცემი.

**(ii) აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება ნაჩვენებია:**

	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			საბალანსო ღირებულება
	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	
<b>ქართული ლარი</b>				
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	553,297	-	-	553,297
ბანკებში განთავსებული დეპოზიტები	-	21,232,133	-	21,232,133
ინვესტიციები დაფარვამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებში	-	929,188	-	929,188
<b>არაფინანსური აქტივები</b>				
საინვესტიციო ქონება	-	-	1,346,141	1,346,141
<b>სულ აქტივები</b>	<b>553,297</b>	<b>22,161,321</b>	<b>1,346,141</b>	<b>24,060,759</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	570,963	570,963
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>570,963</b>	<b>570,963</b>

**სს ბზ დაზღვევა**

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

<b>ქართული ლარი</b>	<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>			<b>საბალანსო ღირებულება</b>
	<b>1-ელი დონე</b>	<b>მე-2 დონე</b>	<b>მე-3 დონე</b>	
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,355,459	-	-	<b>1,355,459</b>
ბანკებში განთავსებული დეპოზიტები	-	16,753,880	-	<b>16,753,880</b>
ინვესტიციები დაფარვამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებში	-	301,782	-	<b>301,782</b>
<b>არაფინანსური აქტივები</b>				
საინვესტიციო ქონება	-	-	2,339,778	<b>2,339,778</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>1,355,459</b>	<b>17,055,662</b>	<b>2,339,778</b>	<b>20,750,899</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სხვა ფინანსური ვალდებულებები (გადაანგარიშებული)	-	-	606,466	<b>606,466</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>606,466</b>	<b>606,466</b>

ყველა ფინანსური ინსტრუმენტი აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

მენეჯმენტის რწმენით, კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების უმეტესობის მოკლე ვადების გამო. საპროცენტო განაკვეთები დაფარვამდე შენახულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე მიბმულია საქართველოს ეროვნული ბანკის განაკვეთებთან, ამიტომ საბალანსო ღირებულება უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

შეფასების მეთოდოლოგია, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები და მასთან დაკავშირებული სენსიტიურობა ამ მონაცემების გონივრული შესაძლო ცვლილებების მიმართ წარმოდგენილია ქვემოთ:

<b>ქართული ლარი</b>	<b>რეალური ღირებულება 31 დეკემბერს</b>		<b>შეფასების ტექნიკა</b>	<b>ამოსავალი მონაცემები</b>	<b>არადაკვირვებადი მონაცემების კავშირი რეალურ ღირებულებასთან</b>
	<b>2024</b>	<b>2023</b>			
<b>აქტივები</b>					
<b>არაფინანსური აქტივები</b>					
- საინვესტიციო ქონება	1,346,141	2,339,778	საბაზრო შედარების მეთოდი	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	რაც უფრო მაღალია ერთი კვადრატული მეტრი ფართობის ფასი, მით უფრო მაღალია რეალური ღირებულება

**(b) ფინანსური რისკების მართვა**

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო კომპანიას პოზიცია აქვს შემდეგ რისკებზე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

ამ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია რისკების თითოეულ ამ ტიპზე კომპანიის პოზიციის შესახებ, ასევე ინფორმაცია რისკების შეფასების და მართვისთვის საჭირო ამოცანების, პოლიტიკის და პროცესების შესახებ. შემდგომი რიცხვობრივი განმარტებები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაშია მოცემული.

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

**(i) რისკების მართვის სისტემა**

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო მენეჯმენტთან ერთად პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის სისტემის შექმნასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის შექმნასა და მონიტორინგზე და მისი საქმიანობის შესახებ აქციონერებისთვის რეგულარულად ანგარიშის წარდგენაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და ანალიზი, შესაბამისი რისკების ლიმიტების და კონტროლების დაწესება, რისკების მონიტორინგი და ლიმიტების დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულ შემოწმებას გადის და მათზე აისახება საბაზრო პირობებსა და კომპანიის საქმიანობაში მომხდარი ცვლილებები. ტრენინგის და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით კომპანია მიზნად ისახავს შექმნას კონტროლის გამართული და კონსტრუქციული გარემო, რომელშიც ყველა თანამშრომელს გათავისებული აქვს საკუთარი ფუნქციები და პასუხისმგებლობა.

სამეთვალყურეო საბჭო მეთვალყურეობას უწევს კომპანიის მენეჯმენტის მიერ კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის და პროცედურების დაცვას და ამოწმებს რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

**(ii) საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეასრულებს მის მოვალეობებს, რითაც ფინანსურ ზარალს გამოიწვევს მეორე მხარისთვის.

კომპანიის საკრედიტო რისკის ოდენობა მუდმივად კონტროლდება.

**საკრედიტო რისკის ოდენობა**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის კომპონენტების საკრედიტო რისკის მაქსიმალურ პოზიციას.

<b>ქართული ლარი</b>	<b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>
ბანკებში განთავსებული დეპოზიტები	21,232,133	16,753,880
ფული და ფულის ეკვივალენტები	553,297	1,355,459
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	929,188	301,782
<b>სულ საკრედიტო რისკის პოზიცია</b>	<b>22,714,618</b>	<b>18,411,121</b>

365 დღის ვადაგადაცილების შემდეგ მენეჯმენტი, როგორც წესი, სრულად არეზერვებს დაზღვევიდან მისაღებ გაუფასურებულ შემოსავლებს.

**(iii) ლიკვიდობის რისკი**

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია სირთულეებს წააწყდება თავისი ვალდებულებების დასაფარად საჭირო სახსრების მობილიზებაში. ლიკვიდობის რისკს ადგილი აქვს, როცა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის და საპროცენტო განაკვეთების დამთხვევა და/ან კონტროლირებული დაუმთხვევლობა ფინანსური ინსტიტუტების, და მათ შორის კომპანიის, მართვის ძირეული პრინციპია. ვადების სრული დამთხვევა უჩვეულოა ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რადგან, ტრანზაქციებს ხშირად დაუდგენელი ვადა აქვს და სხვადასხვა ტიპისაა. დაუმთხვეველმა პოზიციამ შესაძლოა გაზარდოს მომგებიანობა, მაგრამ ასევე გაზარდოს ზარალის რისკი.

ლიკვიდობის მართვისას, კომპანიის ამოცანაა, უზრუნველყოს, რომ ყოველთვის ექნება სახსრები ფულად ნაკადებთან დაკავშირებით ვადადამდგარი ვალდებულებების გასასტუმრებლად. კომპანიის ლიკვიდობის პოზიციებს მენეჯმენტი ყოველთვიურად ამოწმებს.

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### ვადიანობის პროფილები

კომპანია ლიკვიდობის რისკებს ვადიანობის ანალიზის საშუალებით მართავს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების უმეტესობას ხელშეკრულების მიხედვით ვადა უდგება ანგარიშგების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ. მენეჯმენტის წინასწარი შეფასებით, სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებებიდან გამომდინარე ფულადი ნაკადების გადინების გრაფიკი არ აჭარბებს ერთ წელს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
ქართული ლარი	მოთხოვნამდე და ერთ თვემდე	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	სულ
<b>აქტივები</b>					
ფული და ფულის ეკვივალენტები	553,297	-	-	-	553,297
საბანკო დეპოზიტები	675,969	1,379,665	10,204,437	8,972,062	21,232,133
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	-	-	929,188	-	929,188
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>1,229,266</b>	<b>1,379,665</b>	<b>11,133,625</b>	<b>8,972,062</b>	<b>22,714,618</b>
<b>ვალდებულებები</b>					
სხვა ფინანსური ვალდებულებები	570,963	-	-	-	570,963
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>570,963</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>570,963</b>
<b>წმინდა ლიკვიდობის დეფიციტი</b>	<b>658,303</b>	<b>1,379,665</b>	<b>11,133,625</b>	<b>8,972,062</b>	<b>22,143,655</b>
<b>ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი</b>	<b>658,303</b>	<b>2,037,968</b>	<b>13,171,593</b>	<b>22,143,655</b>	
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
ქართული ლარი	მოთხოვნამდე და ერთ თვემდე	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	სულ
<b>აქტივები</b>					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,355,459	-	-	-	1,355,459
საბანკო დეპოზიტები	338,723	993,941	6,336,332	9,084,884	16,753,880
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	-	-	301,782	-	301,782
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>1,694,182</b>	<b>993,941</b>	<b>6,638,114</b>	<b>9,084,884</b>	<b>18,411,121</b>
<b>ვალდებულებები</b>					
სხვა ფინანსური ვალდებულებები	606,466	-	-	-	606,466
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>606,466</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>606,466</b>
<b>წმინდა ლიკვიდობის დეფიციტი</b>	<b>1,087,716</b>	<b>993,941</b>	<b>6,638,114</b>	<b>9,084,884</b>	<b>17,804,655</b>
<b>ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი</b>	<b>1,087,716</b>	<b>2,081,657</b>	<b>8,719,771</b>	<b>17,804,655</b>	

#### (iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო ცვალებადი იქნება. კომპანიის პოლიტიკა და პროცედურები ხელს უწყობს კომპანიის საბაზრო რისკის პოზიციის შემცირებას და საშუალებას აძლევს დააწესოს და აკონტროლოს აქტივების განაწილება და პორტფელის ლიმიტების სტრუქტურები.

#### (v) სავალუტო რისკი

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

კომპანიის აქტივები და ვალდებულებები ერთზე მეტ ვალუტაშია დენომინირებული. თუ ერთი ვალუტის აქტივები და ვალდებულებები არ ემთხვევა, კომპანიას აქვს ღია სავალუტო პოზიცია ("OCP") და გაცვლითი კურსის არასასწარბილო ცვლილებების ზეგავლენის ქვეშ შეიძლება მოექცეს.

მენეჯმენტი პასუხს აგებს გაცვლითი კურსის და სავალუტო ბაზრების განვითარების მუდმივ მონიტორინგზე. კომპანია აპირებს, დახუროს სავალუტო პოზიციები და უზრუნველყოფს, რომ ღია სავალუტო პოზიცია ყველა დროს ლიმიტების ფარგლებში იყოს მოქცეული.

კომპანია სავალუტო რისკის წინაშე დგას ძირითადად დაზღვევიდან მისაღები შემოსავლების და გადასახდელი ხარჯების ნაწილში, რომლებიც აშშ დოლარსა და ევროშია დენომინირებული. კომპანიის სავალუტო რისკის პოზიცია ასეთი იყო.

ქართული ლარი	31.12.2024		31.12.2023	
	USD	EUR	USD	EUR
ფული და ფულის ეკვივალენტები	210,978	6,451	20,858	-
გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები	632,408	17,039	-	-
გადაზღვევის ხელშეკრულებათა ვალდებულებები	(344,912)	-	(1,775,343)	-
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>498,474</b>	<b>23,490</b>	<b>(1,754,485)</b>	<b>-</b>

გამოყენებული იქნა შემდეგი ძირითადი ვალუტის გაცვლის კურსები

ლარი	საშუალო კურსი	სპოტური კურსი
	2024	საანგარიშგებო თარიღში 2024 წლის 31 დეკემბერი
USD	2.7208	2.8068
EUR	2.9440	2.9306

ლარი	საშუალო კურსი	სპოტური კურსი
	2023	2023 წლის 31 დეკემბერი
USD	2.6278	2.6894
EUR	2.8416	2.9753

#### სენსიტიურობის ანალიზი

ლარის გონივრული გამყარება (გაუფასურება) აშშ დოლარის და ევროს მიმართ 31 დეკემბერს, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე მოახდენდა გავლენას და ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით იმოქმედებდა კაპიტალსა და დაბეგვრისმემდგომ მოგება-ზარალზე. ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია.

ქართული ლარი	გამყარება	გაუფასურება
	მოგება / (ზარალი) და კაპიტალი	მოგება / (ზარალი) და კაპიტალი
<b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>		
USD (20% მოძრაობა)	(99,695)	99,695
EUR (20% მოძრაობა)	(4,698)	4,698
<b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>		
USD (20% მოძრაობა)	350,897	(350,897)
EUR (20% მოძრაობა)	-	-

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

**(vi) საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ფინანსურ მდგომარეობაზე და კომპანიის ოპერაციების შედეგებზე.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია მცურავი განაკვეთის ინსტრუმენტების ზემოქმედება, ამიტომ ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანია არ ექვემდებარება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკს.

**30. გაუთვალისწინებელი გარემოებები**

**(a) სასამართლო დავები**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია გამოდიოდა მოპასუხედ ერთ ფიზიკურ პირთან 36,370 ლარის ოდენობის ერთ სარჩელზე. დავა კომპანიის სასარგებლოდ დასრულდა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოში. მოსარჩელემ გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და საკითხი დახურული არ არის

კომპანიას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ თვლის, რომ ამ სარჩელის შედეგად ადგილი ექნება რაიმე ეკონომიკური სარგებლის გადინებას. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს აღიარებული რაიმე რეზერვი ამ დავასთან მიმართებაში.

**(b) გაუთვალისწინებელი საგადასახადო ვალდებულებები**

საქართველოს საგადასახადო სისტემა, რომელიც იყო შემოღებული ან შევიდა ძალაში საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის კომპანიის ოპერაციების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, მენეჯმენტის მიერ დაკავებული საგადასახადო პოზიციები და საგადასახადო პოზიციების მხარდამჭერი ოფიციალური დოკუმენტაცია შეიძლება გახდეს საგადასახადოსთან დავის საფუძველი. საგადასახადო წელი კვლავ დიახ ხელისუფლების მიერ გადასახადების კუთხით შემოწმებისათვის სამი კალენდარული წლით ადრე განმავლობაში, შემოწმების გადაწყვეტილების თარიღამდე. გარკვეულ ვითარებაში მიმოხილვები შეიძლება მოიცავდეს უფრო ხანგრძლივ პერიოდებს.

საქართველოს სატრანსფერო ფასების კანონმდებლობის მიხედვით, არსებობს ანგარიშგების და დოკუმენტაციის მოთხოვნები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ შეაფასონ დამატებითი საგადასახადო შეფასებები გარკვეულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ მეკავშირე მხარეებთან ტრანზაქციებზე, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ტრანზაქციის ფასები არ არის შეფასებული საბაზრო პირობებით.

კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ შეაფასონ დამატებითი საგადასახადო გადასახადები გარკვეულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებზე, თუ მათ მიაჩნიათ, რომ ტრანზაქციები არ არის შეფასებული საბაზრო („გამლილი მკლავის“) პირობებით.

კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენება და ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით სატრანსფერო ფასებთან და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებთან დაკავშირებით, რჩება გაურკვევლობის საგანი და მომავალში შესაძლოა მოხდეს საგადასახადო ვალდებულებების მნიშვნელოვანი კორექტირება. მენეჯმენტმა გამოიტანა გარკვეული განსჯა და ინტერპრეტაცია ყველა მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობასთან და გაურკვეველი საგადასახადო მუხლების აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად. მენეჯმენტი თვლის, რომ მიღებული მსჯელობები და ინტერპრეტაციები სამართლიანია ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ყველა შესაბამისი ფაქტის განხილვის შემდეგ.

## სს ბბ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 31. დაკავშირებული მხარეები

##### (a) უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი ხელმძღვანელობა მოიცავს დირექტორებს.

	2024		2023	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულებ	ხარჯი	დარიცხული ვალდებულებ
ხელფასები და პრემიები დაზღვევა	1,005,626 2,311	337,585 -	984,631 2,150	301,969 -
<b>სულ უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება</b>	<b>1,007,937</b>	<b>337,585</b>	<b>986,781</b>	<b>301,969</b>

##### (b) ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები და დაკავშირებული ხარჯები და შემოსავალი შემდეგია:

ქართული ლარი	2024			2023		
	პირები ერთობლივი კონტროლი მშობელი		სხვა *	პირები ერთობლივი კონტროლი მშობელი		სხვა *
	კონტროლი ქვემ *	კომპანია		კონტროლი ქვემ *	კომპანია	
<b>აქტივები</b>						
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	273,649	-	-	1,166,484	-
საბანკო დეპოზიტები	-	436,800	-	-	161,294	-
სადაზღვევო ხელშეკრულებათა აქტივები	1,170,294	206,847	28,506	741,825	182,354	15,510
<b>სულ აქტივები</b>	<b>1,170,294</b>	<b>917,296</b>	<b>28,506</b>	<b>741,825</b>	<b>1,510,132</b>	<b>15,510</b>
<b>ვალდებულებები</b>						
სადაზღვევო ვალდებულებები ხელშეკრულებათა	1,295,871	727,894	241,532	692,282	242,741	177,117
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>1,295,871</b>	<b>727,894</b>	<b>241,532</b>	<b>692,282</b>	<b>242,741</b>	<b>177,117</b>
<i>არასაბალანსო; მიღებული გარანტია</i>		365,226			35,000	

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მიღებული ჰქონდა 35,000 ლარის ოდენობის გარანტია, რომელიც გაცემული იყო სს „ბაზისბანკის“ მიერ სავალდებულო დაზღვევის ცენტრის (სდც) სასარგებლოდ. გარანტიის მიზანია იმ პრეტენზიებისა და ვალდებულებების დაფარვა, რაც „ბბ დაზღვევამ“ შეიძლება მიიღოს ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში.

2024 წელს კომპანიის მიერ მიღებული გარანტიების პორტფელი გაიზარდა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული გარანტიების დარჩენილი ნაწილი (330,226 ლარი) გაცემული იქნა წარმატებული სატენდერო განაცხადების მეშვეობით „ბბ დაზღვევის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების დასაფარად. გარანტია გაცემულია „ბაზისბანკის“ მიერ

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

სხვადასხვა ბენეფიციარის სასარგებლოდ, რომელთა შორისაა საქართველოს სახელმწიფო უწყებები და სახელმწიფოს კონტროლქვეშ მოქმედი პირები.

ქართული ლარი	2024			2023		
	პირები ერთობლივ კონტროლქ ვემ *	მშობელი კომპანია	სხვა *	პირები ერთობლივ კონტროლქ ვემ *	მშობელი კომპანია	სხვა *
<b>შემოსავლის ანგარიშგება</b>						
შემოსავალი დაზღვევიდან	1,770,086	2,754,511	364,630	914,869	2,263,628	291,708
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(1,289,863)	(807,411)	(13,350)	(417,327)	(677,472)	-
საპროცენტო შემოსავალი	-	60,609	-	-	51,148	-
<b>სულ</b>	<b>480,223</b>	<b>2,007,709</b>	<b>351,280</b>	<b>497,542</b>	<b>1,637,304</b>	<b>291,708</b>

დაკავშირებულ მხარეებთან განთავსებულ საბანკო დეპოზიტებს ერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი 11.4% (2023: 11.5%).

\* საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ბიზნეს-ერთეულები გულისხმობს სს „ბაზისბანკის“ შვილობილ კომპანიებს. სხვა დაკავშირებულ მხარეებს ძირითადად შეადგენს „ჰუალინგ ჯგუფის“ (საბოლოო აქციონერის შვილობილი კომპანიები და ა.შ.) კომპანიის ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.

### 32. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.



# სს „ბბ დაზღვევა“

## 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში

### მმართველობის ანგარიში

#### გენერალური დირექტორის წერილი

#### ძვირფასო მომხმარებლებო და აქციონერებო,

კიდევ ერთი შესანიშნავი წლის დასრულებასთან ერთად სიამაყით გიზიარებთ „ბბ დაზღვევის“ 2024 წლის გამორჩეულ მიღწევებს. ჩვენმა ურყევმა ერთგულებამ სრულყოფილებისადმი, ინოვაციისა და ფინანსური სიმტკიცისადმი წინ გვიბიძგა და გავიმყარა ჩვენი, როგორც სადაზღვევო ბაზარზე ღირსი და წამყვანი მოთამაშის პოზიცია.

2024 წელი „ბბ დაზღვევისთვის“ უპრეცედენტო ზრდის წელი იყო. ჩვენი მთლიანი მოზიდული პრემია (GWP) 59%-ზე მეტით გაიზარდა და 33 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო ჩვენმა წმინდა მოგებამ 4.6 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც 30%-იან შთამბეჭდავ ზრდას წარმოადგენს. ეს შედეგები ასახავს არა მხოლოდ ჩვენს მყარ ფინანსურ მარკეტებს, არამედ ჩვენს უნარს, მოვერგოთ ბაზრის მოთხოვნებს და გამოვიყენოთ ახალი შესაძლებლობები.

2024 წლის ერთ-ერთი მთავარი ეტაპი იყო „ბბ ჯგუფის“ შვილობილი კომპანიების სტრატეგიული გადაწყობა. ორგანიზაციული სტრუქტურების ჰარმონიზაციის წყალობით, ჩვენ შევქმენით ერთობლივი მართვის ბიზნეს-მოდელი, რამაც გააძლიერა ჯგუფის მასშტაბით სინერგია, გააუმჯობესა სტრატეგიული კოორდინაცია და გახსნა ახალი ჯვარედინი გაყიდვების შესაძლებლობები. ამ ტრანსფორმაციამ ასევე გამოიწვია მნიშვნელოვანი ხარჯების ეფექტურობა, განსაკუთრებით ადამიანური რესურსების მიმართულებით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ოპერატიულ ეფექტიანობას.

მომხმარებელზე ორიენტირებულობა კვლავ ჩვენი სტრატეგიის გულია. 2024 წელს, ჩვენ კვლავ დავადასტურეთ ჩვენი ერთგულება სწრაფი და ეფექტური ზარალების დარეგულირების მიმართ. აღსანიშნავია, რომ წარმატებით დავარეგულირეთ საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ავიაციის კორპუსის ზარალი, რომლის ანაზღაურებამაც 110 მილიონი ლარი შეადგინა. ეს მიღწევა არა მხოლოდ ხაზს უსვამს ჩვენს უნარს, სწრაფად ვიმოქმედოთ ზარალის შემთხვევაში, არამედ აჩვენებს „ბბ დაზღვევის“ ფინანსურ მდგრადობას და ჩვენი რეპუტაციული A-რეიტინგის მქონე გადამზღვევების მყარ მხარდაჭერას. მათმა მტკიცე დახმარებამ და სწრაფმა რეაგირებამ საშუალება მოგვცა, ერთობლივად განგვეხორციელებინა ქვეყანაში ოდესმე დაფიქსირებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ავიაციის ზარალის ანაზღაურება.

ვიყურებით რა მომავალში, ჩვენ ვალდებულები ვართ, შევინარჩუნოთ სწრაფი ზრდის ტრაექტორია და კვლავაც გადავაჭარბოთ მოლოდინებს. ჩვენ გავაფართოვებთ პროდუქტების პორტფელს, შემოვიტანთ ინოვაციურ სადაზღვევო გადაწყვეტილებებს და გავაუმჯობესებთ მომსახურების არხებს, რათა ჩვენი მომხმარებლები უზრუნველყოთ კიდევ უფრო შეუფერხებელი გამოცდილებით. ციფრული ტრანსფორმაციისა და მომხმარებელზე ორიენტირებული ინოვაციების საშუალებით, ჩვენი ვცდილობთ, დავადგინოთ ინდუსტრიის ახალი სტანდარტები და ხელახლა განვსაზღვროთ სადაზღვევო სრულყოფილება. გპირდებით, რომ გაგაოცებთ ახალი შეთავაზებებითა და პერსონალიზებული გადაწყვეტილებებით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ „ბბ დაზღვევა“ დარჩება თქვენს სანდო პარტნიორად მომავალი წლების განმავლობაში.

ვდგებით რა ამ საინტერესო გზაზე, ჩვენ მტკიცედ ვრჩებით ჩვენი მისიის გზაზე, რაც გულისხმობს მდგრად ზრდას და მომხმარებლებისთვის და დაინტერესებული მხარეებისათვის გამორჩეული ღირებულების გაზიარებას. საუკეთესო ჯერ კიდევ წინაა.

მადლობა თქვენი ნდობისა და მხარდაჭერისთვის.

#### კეთილი სურვილებით,

კონსტანტინე სულამანიძე  
გენერალური დირექტორი  
2025 წლის 2 მაისი  
საქართველო, თბილისი

# სს „ბბ დაზღვევა“

## 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში (გაგრძელება)

### კომპანიის სტრატეგია და მისია

ჩვენი მისიაა, მარტივი და გამჭვირვალე მომსახურების წყალობით, გავხდეთ მომხმარებლის ფავორიტი ფინანსური მომსახურების მომწოდებელი საქართველოში.

ჩვენი მისიაა, გავხადოთ სადაზღვევო ბიზნესი ყველასთვის მარტივი და ხელმისაწვდომი.

ჩვენი ღირებულებებია - სიმარტივე, გამჭვირვალობა და ინოვაცია.

ჩვენი სტრატეგიული ამოცანებია მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის სტაბილურ და სანდო პარტნიორად თავის დამკვიდრება.

კომპანიის უპირველესი პრიორიტეტი გამჭვირვალე ურთიერთობაა, ჩვენს კლიენტებთან და პარტნიორებთან ბიზნესის წამოებისას ჩვენ ვიცავთ ამ პრინციპს, რათა პატივი ვცეთ კომპანიის და „ბბ ჯგუფის“ ხედვასა და ღირებულებებს.

### განვითარების სტრატეგია

ჩვენი კომპანია, „ბბ დაზღვევა“ უბრალოდ კი არ ვითარდება - ის ცვლის დაზღვევის მთლიან ლანდშაფტს. კომპანია სს „ბაზისბანკის“ ძლიერ ფუნდამენტზეა დაშენებული და სრულად იყენებს „ბბ ჯგუფის“ (დაზღვევა, ბანკი და ლიზინგი) ხელთ არსებულ ძალას. ჩვენ შევქმენით ინტეგრირებული ფინანსური ეკოსისტემა, რაც გვაცემს კონკურენციის წინა ხაზზე. სხვა ბაზრის მოთამაშეებისგან განსხვავებით, ჩვენ მხოლოდ არ ვფუნქციონირებთ ჯგუფის ფარგლებში — ჩვენ მაქსიმალურად ვიყენებთ მის პოტენციალს ჩვენი BIM მოდელის საშუალებით. ეს სტრატეგიული უპირატესობა საშუალებას გვაძლევს უზრუნველყოთ შეუფერხებელი, ეფექტური და მომხმარებელზე ორიენტირებული ფინანსური გადაწყვეტილებები, რაც ამდლებს ინდუსტრიის სტანდარტებს და უზრუნველყოფს გრძელვადიან მდგრად ზრდას. ჩვენი უნარი, სრულად გამოვიყენოთ „ბბ ჯგუფის“ სინერგიები, საშუალებას გვაძლევს, მომხმარებელს შევთავაზოთ უპრეცედენტო კომფორტი, კონკურენტული ფასები და უნიკალურად მასზე ორიენტირებული მომსახურების მიდგომა, რაც გვანსხვავებს ტრადიციული სადაზღვევო პროვაიდერებისგან.

კორპორატიული კლიენტები ჩვენი სტრატეგიის ბირთვია. ბიზნესები ჩვენზე დამოკიდებულნი არიან არა მხოლოდ როგორც მზღვეველზე, არამედ როგორც რისკების მართვაში სანდო პარტნიორზე. ჩვენ გვესმის როგორ სჭირდებათ მათ მყარი, ყოვლისმომცველი დაზღვევა, რაც უზრუნველყოფს შეუფერხებელ ოპერაციებს, ფინანსურ სტაბილურობასა და გრძელვადიან უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომ შევიმუშავეთ კორპორატიული დაზღვევის გადაწყვეტილებების მრავალფეროვანი და დინამიური პორტფელი, მათ შორის ტვირთის, ბიზნესის შეწყვეტის, ზოგადი მესამე პირის პასუხისმგებლობის, საბანკო ბლანკეტური ობლიგაციისა და ავიაციასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევა. ჩვენმა ექსპერტიზამ ამ სპეციალიზებულ სფეროებში „ბბ დაზღვევა“ პოზიციონირებს როგორც კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესებს იმ გარანტიით, რაც მათ სჭირდებათ თავდაჯერებულად ფუნქციონირებისთვის.

ამავდროულად, ჩვენი საცალო სეგმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაფართოების სტრატეგიაში. ფიზიკურ პირებსა და მცირე ბიზნესებს სჭირდებათ სადაზღვევო გადაწყვეტილებები, რომლებიც მარტივი, ხელმისაწვდომი და მათ საჭიროებებზე ადაპტირებულია. მარტივი, გამჭვირვალე და ადვილად გასაგები სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზებით, ჩვენ ვაძლიერებთ მომხმარებლის ნდობას და ლოიალურობას. ჩვენი მომხმარებლისთვის მეგობრული ციფრული გადაწყვეტილებები, პერსონალიზებული მომსახურების მიდგომა და კონკურენტული ფასები უზრუნველყოფს, რომ ჩვენ ვრჩებით პირველ არჩევანად სხვადასხვა საცალო მომხმარებლისთვის, რომელიც ეძებს ფინანსურ დაცვას.

2024 წელი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო „ბბ დაზღვევისთვის“, რადგან ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით წინ ჩვენი შვილობილი კომპანიების რესტრუქტურისთვის ერთობლივი მართვის მოდელის ქვეშ. ამ სტრატეგიულმა ტრანსფორმაციამ არა მხოლოდ გაამარტივა ოპერაციები, არამედ ოპტიმიზაცია გაუკეთა „ბბ დაზღვევას“, „ბაზისბანკსა“ და „ბბ ლიზინგს“ შორის კოორდინაციას. ამ სინერგიამ გახსნა ახალი ჯვარედინი გაყიდვების შესაძლებლობები ჯგუფის მიგნით, რაც საშუალებას გვაძლევს, კლიენტები უზრუნველყოთ შეუფერხებელი და სრულად ინტეგრირებული გამოცდილებით.

ამ ტრანსფორმაციის შედეგად, ჩვენ მივადწიეთ მნიშვნელოვანი ეფექტურობის გაუმჯობესებას და ხარჯების შემცირებას, განსაკუთრებით ადამიანური რესურსების მართვაში. გადასვლამ ერთიან ბიზნეს-მოდელზე გაუმჯობესა ჯგუფის მასშტაბით სტრატეგიული აზროვნება, რაც საშუალებას გვაძლევს დახვდეთ ჩვენი შეთავაზებები, გავაფართოოთ

# სს „ბბ დაზღვევა“

## 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში (გაგრძელება)

კლიენტების ბაზა და გაზარდოთ ოპერაციული ეფექტურობა, ამავდროულად შევინარჩუნოთ ძლიერი ფოკუსი მომხმარებლის კმაყოფილებაზე. ამ წინსვლებმა „ბბ დაზღვევა“ კიდევ უფრო ძლიერ ფინანსურ მოთამაშედ აქცია.

ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის დონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ამ აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ სხვა ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ამ თვალსაზრისით არაფერი გვაქვს მოსახსენებელი.

## ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, თვალყური ადევნონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

## აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გამოვუშვათ აუდიტებული რეპორტი, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მამინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის სამართლიანად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მიგნებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

#### **ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ**

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობის ანგარიში კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თადღითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ამ კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ გავცანით მმართველობის ანგარიშს და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ვასკვნით, რომ:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციას; და
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით და შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი

ჯამალ ჰასანოვი (Reg. # SARAS-A-844170)

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით (Reg. # SARAS-F-107265)

2025 წლის 2 მაისი

თბილისი, საქართველო

*Handwritten signature in blue ink: Jamal Hasanov*

**სს „ბბ დაზღვევა“**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

ქართული ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)*
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	553,297	1,355,459
დეპოზიტები ბანკებში	9	21,232,133	16,753,880
ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	10	929,188	301,782
სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივები	11	82,040	-
გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	12	964,353	74,546,437
საინვესტიციო ქონება	13	1,248,958	1,349,798
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	14	46,652	74,680
სხვა აქტივები	15	519,191	301,870
<b>სულ აქტივები:</b>		<b>25,575,812</b>	<b>94,683,906</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებები	11	2,037,576	76,321,780
გადაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	12	344,912	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	16	570,963	606,466
სხვა ვალდებულებები	17	719,948	461,261
<b>სულ ვალდებულებები:</b>		<b>3,673,399</b>	<b>77,389,507</b>
<b>კაპიტალი</b>			
აქციონერთა კაპიტალი	18	6,000,000	6,000,000
გაუნაწილებელი მოგება		15,902,413	11,294,399
<b>სულ კაპიტალი:</b>		<b>21,902,413</b>	<b>17,294,399</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>25,575,812</b>	<b>94,683,906</b>

\*დამატებითი დეტალები გადაანგარიშების შესახებ განხილულია მე-7 შენიშვნაში.  
გამოსაშვებად დამტკიცებული და მმართველი საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 2 მაისს.

გენერალური დირექტორი  
კონსტანტინე სულამანიძე  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
ვანო ბალოშვილი  
თბილისი, საქართველო

9-46 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

**სს „ბბ დაზღვევა“**

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი დაზღვევიდან	19	25,683,410	18,813,399
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	20	(43,467,630)	(111,923,418)
ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი	21	22,954,031	97,808,859
<b>სადაზღვევო მომსახურების შედეგი</b>		<b>5,169,811</b>	<b>4,698,840</b>
ეფექტური პროცენტის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	22	2,453,239	2,022,820
გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		- 33,132	(28,936) 7,796
<b>სულ შემოსავალი ინვესტიციებიდან</b>		<b>2,486,371</b>	<b>2,001,680</b>
ხელფასები და დაქირავებულ პირთა სხვა ბენეფიტები	23	(2,075,662)	(1,539,366)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24	(786,960)	(712,735)
სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა	25	(185,546)	(334,276)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>4,608,014</b>	<b>4,114,143</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	26	-	(576,939)
<b>წლიური მოგება</b>		<b>4,608,014</b>	<b>3,537,204</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>		<b>4,608,014</b>	<b>3,537,204</b>

\*დამატებითი დეტალები გადაანგარიშების შესახებ განხილულია მე-7 შენიშვნაში.  
გამოსაშვებად დამტკიცებული და მმართველი საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 2 მაისს.

გენერალური დირექტორი  
კონსტანტინე სულამანიძე  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
ვანო ბალოშვილი  
თბილისი, საქართველო

9-46 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

*Handwritten signature in blue ink.*

**სს „ბბ დაზღვევა“**

**2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

<i>ქართული ლარი</i>	<b>2024</b>	<b>2023</b>
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მიღებული დაზღვევის პრემია	18,615,824	9,920,062
გადახდილი დაზღვევის პრემია	(10,073,454)	(2,686,315)
<b>მიღებული დაზღვევის პრემიები, წმინდა</b>	<b>8,542,370</b>	<b>7,233,747</b>
გადაზღვევებისგან მიღებული საკომისიო სუბროგაცია და ამოღება	315,133	929,460
ანაზღაურებული მოთხოვნებისთვის მიღებული გადამზღვეველის წილი	176,207	225,829
ანაზღაურებული მოთხოვნებისთვის მიღებული გადამზღვეველის წილი	262,499	1,084,905
მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე მიღებული პროცენტი	90,130	73,633
ანაზღაურებული სადაზღვევო მოთხოვნები	(3,720,684)	(3,207,951)
გადახდილი ხელფასები და ბენეფიტები	(2,128,341)	(1,871,562)
გადახდილი აგენტის საფასური	(553,895)	(590,414)
საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისათვის გადახდილი თანხები	(141,220)	(136,435)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(716,362)	(446,840)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადამდე</b>	<b>2,125,837</b>	<b>3,294,372</b>
გადახდილი მოგების გადასახადი	(220,018)	(569,281)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>1,905,819</b>	<b>2,725,091</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
საბანკო დეპოზიტების განთავსება	(10,577,714)	(16,050,000)
საბანკო დეპოზიტების გატანა	7,200,000	12,448,224
მიღებული პროცენტი	1,193,373	1,802,298
ინვესტიცია დაფარვამდე ფლობილ აქტივებში	(600,000)	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(31,484)
საინვესტიციო ქონების რეალიზაცია	68,282	35,148
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(2,716,059)</b>	<b>(1,795,814)</b>
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	8,169	(3,490)
<b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა / (კლება), წმინდა</b>	<b>(802,071)</b>	<b>925,787</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>1,356,090</b>	<b>430,303</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>554,019</b>	<b>1,356,090</b>

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიამ განახორციელა შემდეგი არაფულადი ტრანზაქციები, რომლებიც არაა შესული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში და წარმოდგენილია ცალკე:

<i>ქართული ლარი</i>	<b>2024</b>	<b>2023</b>
თამასუქის გაცვლა იმავე სუბიექტის სხვა თამასუქზე	300,000	300,000

გამოსაშვებად დამტკიცებული და მმართველი საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 2 მაისს.

გენერალური დირექტორი  
კონსტანტინე სულამანიძე  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
ვანო ბალოშვილი  
თბილისი, საქართველო

9-46 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

# სს „ბბ დაზღვევა“

## 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართული ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,000,000	7,757,195	13,757,195
2023 წლის მოგება (წინა ანგარიშგებით)	-	3,095,912	3,095,912
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (წინა ანგარიშგებით)	6,000,000	10,853,107	16,853,107
გადაანგარიშების ეფექტი მოგებაზე	-	441,292	441,292
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)*	6,000,000	11,294,399	17,294,399
2024 წლის მოგება	-	4,608,014	4,608,014
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,000,000	15,902,413	21,902,413

\* ინფორმაცია გადაანგარიშებული მონაცემების შესახებ განხილულია მე-7 შენიშვნაში.

გამოსაშვებად დამტკიცებული და მმართველი საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 2 მაისს.

გენერალური დირექტორი  
კონსტანტინე სულამანიძე  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
ვანო ბაღოშვილი  
თბილისი, საქართველო

9-46 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

*Handwritten signature*

# სს ბბ დაზღვევა

## მენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

### 1. შესავალი

სს „ბბ დაზღვევა“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2017 წლის 11 დეკემბერს და საქმიანობს საქართველოში, საქართველოს შემოსავლების სამსახურში რეგისტრირებული საგადასახადო კოდით 406232214. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ქუთაისი რაიონის გამზირი 1, თბილისი 0103, საქართველო. კომპანია არის აქციებით შეზღუდული სააქციო საზოგადოება და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო დამფუძნებელია სს „ბაზისბანკი“, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში 1993 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გაცემული საბანკო ლიცენზიით. სს „ბაზისბანკი“ ფლობს სამ მთავარ შვილობილ საწარმოს: სს „ბბ დაზღვევა“, სს „ბბ ლიზინგი“ და შპს „ბაზის ესეტ მენეჯმენტ ჰოლდინგი“, რომელთაგან თითოეულში ფლობს 100%-იან წილს (ერთობლივად „ჯგუფი“).

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო აქციონერები იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დაფუძნებული Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd (2024: 91.891% და 2023: 91.548%), ბ-ნი მი ზაიქი (2024: 6.144.% და 2023: 6.461%) და უმცირესობის წილის სხვა მფლობელები (2024: 1.965% და 2023: 1.991%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბოლოო ბენეფიციარები, იყვნენ ბ-ნი მი ზაიქი (პირდაპირ და ირიბად ფლობს აქციების 56.266%) და მი ენჰუა (აქციების 41.752%) Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd-ის გავლით.

ინფორმაცია ჯგუფის Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd მფლობელობის სტრუქტურის შესახებ:

აქციონერები	ფლობილი წილი (%) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
„ჰუალინგ გრუპ ინვესტმენტ ჰოლდინგი“ (xinjiang) Co.	54.545%
(100% ფლობს მი ზაიქი)	
მი ენჰუა	45.436%
უმცირესობის წილის სხვა მფლობელები	0.018%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში სადაზღვევო ბიზნესის წარმოება. კომპანია ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2017 წლის 27 დეკემბერს გაცემულ სიცოცხლისა და არა-სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიებს.

### 2. საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, კომპანიაზე მოქმედებს საქართველოს ფინანსურ ბაზარზე არსებული ეკონომიკური და ბიზნეს-გარემოსა და გამოწვევებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავაც ვითარდება, რაც დადებითად ზემოქმედებს ქვეყნის მთლიან საინვესტიციო კლიმატზე და ამცირებს აქ ბიზნესის კეთების რისკს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია კომპანიის ოპერაციებისა და ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს-გარემოს ზეგავლენის მენეჯმენტისეული შეფასება. მომავალი ბიზნეს-გარემო შეიძლება მენეჯმენტის აღქმებისგან განსხვავებული აღმოჩნდეს.

2023 წლის რეალური მშპ-ის 7.8%-იანი ზრდის შემდეგ, წინასწარი შეფასებებით, 2024 წელს საქართველომ რეალური მშპ-ის 9.4%-იანი ზრდა უჩვენა. საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორები კვლავაც მძლავრია და ამას ხელს უწყობს ძლიერი მთავრობისა და ფისკალური პოლიტიკები, გაზრდილი მოხმარება და მდგრადი ფინანსური სექტორი. 2025 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდი 6.0%-იან ზრდას ვარაუდობს.

საქართველოში რუსეთიდან მომავალი რისკები კვლავ მაღალია. ევროპისა და შუა აზიის რეგიონული პროგნოზების ჩამოყალიბებაში უკრაინაზე რუსეთის თავდასხმა კვლავაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. გლობალური გარემო ძლიერ არაპროგნოზირებადია, ხოლო პერსპექტივა დგას მნიშვნელოვანი გაუარესების რისკის ქვეშ.

საქართველოში 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მკვეთრად გაიზარდა პოლიტიკური და სოციალური პოლარიზაცია. თუმცა, პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდა კვლავ მაღალია.

*მისე ახუქიანი - თს 25/24*



**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

საქართველოს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს მომსახურების სექტორის (კერძოდ, ტურიზმი და ინფორმაციებისა და კომუნიკაციის ტექნოლოგია) კარგი მუშაობა, მშენებლობა და მძლავრი ექსპორტი და, შედეგად, ზრდამ მრავალი შოკის მიმართ გამძლეობა გამოავლინა.

მონეტარული პოლიტიკის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის წინდახედული დამოკიდებულება ქვეყანაში დაბალ და სტაბილურ ინფლაციას ინარჩუნებს მიზნობრივი 3%-ის ქვემოთ, რაც 2025 წელსაც, მოსალოდნელია, შენარჩუნდეს. სებ-ი 2024 წლის მკაცრი მონეტარული პოლიტიკიდან თანდათანობითი გამოსვლის პოლიტიკას ატარებს. ამის გამო, მან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.5%-დან 8%-მდე შეამცირა და მონეტარული პოლიტიკის ნელი ნორმალიზების გზას მიჰყვება.

ბაზრის საერთო მდგომარეობა და სტაბილურობა უზრუნველყოფს სექტორის ზრდას. იმის მიუხედავად, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მთლიანი გამოწერილი პროდუქტი (GWP) თანაბრად იზრდება, სადაზღვევო ბაზარი მცირეა. თუმცა, კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები და მოსახლეობასა და ბიზნესებში ცნობიერების ამაღლება ეხმარება და ხელს უწყობს ბაზრის ზრდას.

**3. მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების შესახებ**

**მომზადების საფუძველი**

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS-ფასს") შესაბამისად, ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად, რომელიც შეცვლილია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საწყისი აღიარებისა და შენობების გადაფასების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ.

**ფუნქციონირებადი საწარმო**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ მოსაზრებით, რომ კომპანია უწყვეტად ფუნქციონირებს და აგრძელებს ფუნქციონირებას უახლოეს მომავალში. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დროს მენეჯმენტს ჰქონდა საფუძველი ჩაეთვალია, რომ კომპანიას გააჩნდა საკმარისი რესურსები, რათა განეგრძო საქმიანობა უახლოეს მომავალში. როგორც ასეთი, ისინი აგრძელებენ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებას.

**ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა**

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და ის ვალუტა, რომელშიც წარმოდგენილია ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

**სავალუტო ოპერაციები**

უცხოურ ვალუტაში მიმდინარე ტრანზაქციები კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში კონვერტირდება ტრანზაქციის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსებით.

საანგარიშო დღეს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ფუნქციონალურ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს მოქმედი კურსით. ფულად ერთეულებზე მიღებული საკურსო მოგება ან ზარალი არის სხვაობა ერთი მხრივ ეფექტური პროცენტით, გაუფასურებითა და იმ პერიოდის გადახდებით კორექტირებულ, პერიოდის დასაწყისში ფუნქციონალურ ვალუტაში დაფიქსირებულ ამორტიზებულ კურსსა და, მეორე მხრივ, უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ, საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოქმედი კურსით კონვერტირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების პრინციპით ფასდება, კონვერტირდება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

კონვერტაციისას წარმოშობილი სავალუტო სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**სადაზღვევო კონტრაქტები**

ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4-ს სადაზღვევო ხელშეკრულებებს 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანია ნერგავს ფასს 17 სტანდარტს სრულად რეტროსპექტიული მიდგომით, „პრემიის განაწილების მიდგომის“ (PAA) გამოყენებით.

*Handwritten signature in blue ink.*

## სს ბზ დაზღვევა

### მენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებების კლასიფიკაცია. სადაზღვევო ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე (მზღვეველი) მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს იღებს სხვა მხარის (დამზღვევი) ნაცვლად და ამისათვის, თანხმდება, ანაზღაურება გასცეს დაზღვეულზე, თუ კონკრეტული გაურკვეველი მომავალი მოვლენა (დაზღვეული მოვლენა) დაზღვეულზე უარყოფითად აისახა.

გადაზღვევის ხელშეკრულება არის ერთი პირის (გადამზღვევის) მიერ გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულება, რომლითაც ის კისრულობს, აუნაზღაუროს სხვა პირს ისეთი პრეტენზიები, რომლებიც წარმოშობილია იმ სხვა პირის მიერ გაფორმებული ერთი ან მეტი ხელშეკრულებით (პირველადი ხელშეკრულებები). კომპანია ფლობს სავალდებულო გადაზღვევის ხელშეკრულებებსა და გადაზღვევის სხვა ხელშეკრულებებს, რომელთა შედეგად ხდება მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკის გადაცემა. კომპანიის მიერ სადაზღვევო რისკის გადაზღვევით სხვა პირისათვის გადაცემა ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობის ნაწილია.

#### სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვა

- (i) კომპონენტების გამოცალკევება სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან. კომპანია აფასებს სადაზღვევო ხელშეკრულებას იმის დასადგენად, ხომ არ შეიცავს ის ისეთ მკაფიო კომპონენტებს, რომლის გამო მისი შეფასება არა ფასს 17 სტანდარტით, არამედ სხვა ფასს სტანდარტით უნდა მოხდეს. ამგვარი მკაფიო კომპონენტების გამოცალკევების შემდეგ პირველადი სადაზღვევო ხელშეკრულების ყველა დანარჩენ კომპონენტზე ვრცელდება ფასს 17. ამჟამად კომპანიის ხელშეკრულებები არ შეიცავს ისეთ მკაფიო კომპონენტებს, რომლებიც დანარჩენი ხელშეკრულებებიდან უნდა გამოცალკევდეს.
- (ii) აგრეგაციის დონე. ფასს 17 მოითხოვს, განისაზღვროს აგრეგირების დონე მისი მოთხოვნების შესაბამისად. აგრეგირების დონე პირველ რიგში განისაზღვრება დაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელზე დაყოფით. პორტფელები შედგება მსგავსი რისკის მქონე ხელშეკრულებების ჯგუფებისგან, რომლებიც იმართება ერთად. ფასს 17 ასევე მოითხოვს, რომ, აგრეგირების მიზნებისთვის, არცერთი ჯგუფი არ მოიცავდეს ხელშეკრულებებს, რომელთა გაფორმების თარიღებს შორის ინტერვალი აღემატება ერთ წელს. ჯგუფები დგება ანდერრაიტინგის წელიწადის მიხედვით (წლიური კოპორტები). ამდენად, გამოშვების წლის განმავლობაში ხელშეკრულებათა პორტფელები იყოფა სამ ჯგუფად, შემდეგი სახით:
- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წაგებიანია.
  - ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელსაც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წაგებიანი, ასეთის არსებობისას; და
  - პორტფელში მემავალი დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი.
- (iii) აღიარება. კომპანია აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფს, რომელსაც თვითონ გამოსცემს, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:
- ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი;
  - თარიღი, როდესაც ხელშეკრულებების შესაბამის ჯგუფში უნდა განხორციელდეს რომელიმე პოლისის მფლობელისგან პირველი გადახდა ან თარიღი, როდესაც უნდა მოხდეს პირველი გადახდის მიღება, თუ არ არის გადახდის თარიღი დადგენილი; და
  - წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ ჯგუფი წაგებიანია.
- კომპანია აღიარებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფს, რომელსაც თვითონ ფლობს, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:
- ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღი. თუმცა, კომპანია გადადებს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების იმ ჯგუფის აღიარებას, რომელიც პროპორციულ სადაზღვევო დაფარვას უზრუნველყოფს, ნებისმიერი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულების თავდაპირველი აღიარების თარიღამდე, თუ ეს თარიღი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღის შემდგომი თარიღია; და
  - თარიღი, როდესაც ჯგუფი აღიარებს საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს, იმ შემთხვევაში, თუ ფლობილი გადაზღვევის შესაბამისი გადაზღვევის ხელშეკრულება კომპანიამ დალო ამ თარიღისთვის ან უფრო ადრე.
- (iv) ხელშეკრულების ფარგლები. სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს ყველანაირ მომავალ ფულად ნაკადს, რომელიც განეკუთვნება ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების ფარგლებს. ფულადი ნაკადები სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს განეკუთვნება, თუ ისინი წარმოიშობა იმ საანგარიშგებო

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

პერიოდში არსებული რეალური უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლის განმავლობაშიც კომპანიას შეუძლია პოლისის მფლობელს დაავალდებულოს პრემიების გადახდა, ან კომპანიას აქვს რეალური ვალდებულება, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს პოლისის მფლობელს.

არ აღიარდება ვალდებულება ან აქტივი, რომელიც დაკავშირებულია იმ მოსალოდნელ პრემიებთან ან მოსალოდნელ სადაზღვევო შემთხვევებთან, რომლებიც არ განეკუთვნება სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს. ამგვარი თანხები დაკავშირებულია მომავლის სადაზღვევო ხელშეკრულებებთან.

(v) **შეფასება - პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა PAA.** კომპანია იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას (PAA) ყველა იმ სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის, რომელსაც ის გამოსცემს და აკუთვნებს მის მიერ ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს, თუ:

- ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების სადაზღვევო პერიოდი არის ერთი წელი ან უფრო ნაკლები, მათ შორის, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების, რომლებიც წარმოიშობა ყველა პრემიიდან, რომელიც შედის ხელშეკრულების ფარგლებში; ან
- ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის ხელშეკრულებებისთვის, კომპანია ვარაუდობს, რომ PAA მეთოდით შეფასებულ ჯგუფში შემავალი ხელშეკრულებების დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება (LFRC) არსებითად არ განსხვავდება იმ შეფასების შედეგისგან, რომელიც ძირითადი შეფასების მეთოდის (GMM) გამოყენების შედეგად დადგებოდა. საანგარიშო და შესადარი პერიოდების განმავლობაში, კომპანიას ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის ხელშეკრულებები არ ჰქონია.

**სადაზღვევო ხელშეკრულებები - თავდაპირველი შეფასება.** იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისათვის, რომელიც არ არის წაგებიანი თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია აფასებს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას (LFRC), როგორც საწყისი აღიარებისას მიღებულ პრემიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ ხელშეკრულებები წაგებიან საწყისი აღიარებისას, კომპანია ატარებს დამატებით ანალიზს, რათა განსაზღვროს მოსალოდნელია თუ არა ნეტო გადინება ხელშეკრულებიდან. ასეთი წაგებიანი ხელშეკრულებები ჯგუფდება განცალკევებით სხვა ხელშეკრულებებისაგან და კომპანია აღიარებს ზარალს მოგებაში ან ზარალში ნეტო გადინებასთან მიმართებით, რის შედეგადაც ამ ჯგუფთან დაკავშირებული ვალდებულების საბალანსო ღირებულება გაუტოლდება გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. კომპანია განსაზღვრავს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების ზარალის კომპონენტს ნებისმიერი ასეთი წაგებიანი ჯგუფისთვის, რომელიც ასახავს აღიარებულ ზარალს.

**გადაზღვევის ხელშეკრულებები - საწყისი აღიარება**

კომპანია აფასებს გადაზღვევის აქტივებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, რომლსაც იგი ფლობს, იმგვარადვე როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელსაც თვითონ გამოსცემს. თუმცა ახდენს მათ კორექტირებას, რათა ასახოს ის გადაზღვევის ხელშეკრულების მახასიათებლები, რომელიც განსხვავდება გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებისაგან, მაგალითად, ხარჯების წარმოშობა ან ხარჯების შემცირება ამონაგების აღიარების ნაცვლად.

სადაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს ზარალს დაკავშირებულ სადაზღვევო ხელშეკრულების წაგებიან ჯგუფთან მიმართებით ან როდესაც შემდგომი დაკავშირებული სადაზღვევო ხელშეკრულებები ემატება ჯგუფში, კომპანია განსაზღვრავს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივისთვის ზარალის კომპენსაციის კომპონენტს, რომელიც ასახავს აღიარებული ზარალის ანაზღაურებას.

**სადაზღვევო ხელშეკრულებები - შემდგომი შეფასება**

კომპანია შემდგომი აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას:

- საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას; დამატებული
- პერიოდის განმავლობაში მიღებული პრემია; მინუს
- თანხა, რომელიც აღიარებულია სადაზღვევო ამონაგების სახით მოცემული პერიოდის განმავლობაში გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

კომპანია არ ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირებას ფულის დროითი ღირებულებისა და ფინანსური რისკის გავლენის ასახვის მიზნით, თუ თავდაპირველი აღიარების მომენტში ვარაუდობს, რომ მომსახურების თითოეული ნაწილის გაწევისა და დაკავშირებული პრემიის გადახდის თარიღს შორის დროის პერიოდი არ აღემატება ერთ წელს.

კომპანია აფასებს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას, როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომელიც უკავშირდება დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს. გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მიუკერძოებლად თვალისწინებს მიზანშეუწონელი

*იხილეთ ანუკრი - თუკის*

**მენიშნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველანაირ დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ეხება ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობას, მათი წარმოშობის დროსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობას; ისინი ასახავს კომპანიის მიმდინარე შეფასებებს და მოიცავს არა-ფინანსური რისკის კორექტირებას (რისკის კორექტირება).

კომპანია აკორექტირებს მომავალ ფულად ნაკადებს ფულის დროითი ღირებულებით და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეფასებას ფინანსური რისკის ეფექტით, გარდა იმ ფულადი ნაკადებისა რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თარიღიდან ერთ წელიწადში. კომპანია მომავალი ფულადი ნაკადების კორექტირებას არ ახდენს ფულის დროითი ღირებულებით და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეფასებას ფინანსური რისკის ეფექტით, იმ შემთხვევაში, თუ ამ ფულადი ნაკადების დაფარვა ან მიღება მოსალოდნელია სადაზღვევო შემთხვევების დადგომის თარიღიდან ერთ წელიწადში ან უფრო ნაკლებ ვადაში.

**ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები - შემდგომი შეფასება.** კომპანია მის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შემდგომ შეფასებას ახდენს იგივე პრინციპით როგორც მის მიერ გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებისა გადაზღვევასთან დაკავშირებული გარკვეული მახასიათებლების გათვალისწინებით ადაპტირებით.

**ფულადი ნაკადები გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებების დაზღვევის შესყიდვიდან.** ყველა ფულადი ნაკადი დაზღვევის შესყიდვიდან აღიარდება ხარჯებში მათი გაწევისთანავე. ეს მოიცავს მცირე რაოდენობის ხელშეკრულებებს, სადაც სადაზღვევო პერიოდი აღემატება თორმეტ თვეს და აღნიშნულ ხელშეკრულებებთან მიმართებით არ ფიქსირდება არსებითი შესყიდვის ხარჯები. აღნიშნული მიდგომა განსხვავდება კომპანიის წინა სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გულისხმობდა შესყიდვის ხარჯების განაწილებას სადაზღვევო პერიოდზე. სააღრიცხვო პოლიტიკის ამ ცვლილებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი ზეგავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**სადაზღვევო ხელშეკრულებები - მოდიფიკაცია და აღიარების შეწყვეტა.** კომპანია წყვეტს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებას, როდესაც:

- როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებასა და ვალდებულება გაუქმდება (ანუ ვადა გაუვა, დაიფარება ან გაუქმდება); ან
- სადაზღვევო ხელშეკრულება მოდიფიცირდება ისე, რომ იწვევს შეფასების მოდელში ცვლილებას ან როდესაც შესაბამის სტანდარტი, რომელიც ხელშეკრულების კომპონენტის შეფასებისთვის გამოიყენება, მნიშვნელოვნად ცვლის ხელშეკრულების ფარგლებს ან მოითხოვს მოდიფიცირებული ხელშეკრულების სხვა ჯგუფში ჩართვას. ასეთ შემთხვევაში კომპანია წყვეტს თავდაპირველი ხელშეკრულების აღიარებას და აღიარებს მოდიფიცირებულ ხელშეკრულებას როგორც ახალ ხელშეკრულებას.

როდესაც მოდიფიკაცია არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის პირობებს, კომპანია ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად მიღებულ ან გადახდილ თანხებს ასახავს როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებების ცვლილებას.

(vi) წარდგენა. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალ-ცალკე წარადგენს მის მიერ გამოშვებული ისეთი სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს, მის მიერ გამოშვებული ისეთი სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელს, რომლებიც წარმოადგენს ვალდებულებებს; ისეთი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს და ისეთი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელს, რომლებიც წარმოადგენს ვალდებულებებს.

კომპანია ცალცალკე წარმოადგენს მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულ მთლიან თანხებსა და გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგს, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებსა და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს და სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს.

კომპანია არ ახდენს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხის ცვლილების დეზაგრეგირებას ფინანსურ და არაფინანსურ ნაწილებს შორის და მთლიან ცვლილებას ასახავს როგორც სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილს.

ჯგუფი ერთი თანხის სახით წარადგენს ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებულ შემოსავალს ან ხარჯებს, რომელიც არ მოიცავს სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს.

**სადაზღვევო ამონაგები.** პერიოდის სადაზღვევო ამონაგები წარმოადგენს მოსალოდნელი მისაღები პრემიის თანხას (არ მოიცავს საინვესტიციო კომპონენტს და შესწორებულია საკრედიტო რისკით), რომელიც მიკუთვნებულია მოცემულ პერიოდზე. შესაბამისად, ფასს 17-ის მოდელი სადაზღვევო ამონაგების აღიარებასთან მიმართებით ასახავს დაზღვეულების მიერ პრემიის გადაუხდელობის რისკს. კომპანია მოსალოდნელ მისაღებ პრემიას

*ახე, ახუციანი - ნიკოლა*

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

სადაზღვევო ხელშეკრულების მომსახურებას თითოეულ პერიოდზე ანაწილებს დროის გასვლის პროპორციულად. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რისკისგან განთავისუფლების მოსალოდნელი სქემა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ სქემისგან, რომელიც ასახავს დროის გასვლას, მაშინ მისაღები პრემია ნაწილდება სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების წარმოშობის მოსალოდნელი დროის საფუძველზე. დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების დისკონტირება არ ხდება.

**სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი და ხარჯები.** სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის საბალანსო ღირებულების ისეთ ცვლილებას, გარდა იმ ხელშეკრულებებისა რომელთა გადახდაც მოსალოდნელია წარმოშობიდან ერთ წელიწადში, რომელიც წარმოიშობა:

- ფულის დროითი ღირებულებისა და მისი ცვლილებების გავლენის შედეგად; და
- ფინანსური რისკისა და მისი ცვლილებების გავლენის შედეგად.

**წმინდა შემოსავალი ან ხარჯები ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებიდან.** კომპანია წარადგენს მოგებაში ან ზარალში ერთი თანხის სახით გადამზღვეველის მიერ მოსალოდნელ ასანაზღაურებელ თანხებს და გადახდილი გადაზღვევის პრემიების განაწილების თანხებს.

**ფული და ფულის ეკვივალენტები** - ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად ნაშთებს და მოთხოვნამდე დეპოზიტებს შეძენის დღიდან სამი თვის ან ნაკლები ვადით, რომლებიც ექვემდებარება მათი რეალური ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

**ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და საწყისი შეფასება** - სავაჭრო მოთხოვნები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარებულია მათი წარმოშობისთანავე. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ეს არ არის სავაჭრო დებიტორული დავალიანება მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით, პლუს, არა FVTPL-ით არ შეფასებული ერთეულის შემთხვევაში, ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება მის შეძენას ან გამოშვებას. სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება ტრანზაქციის ფასით.

**ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება.** თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც შეფასებული: ამორტიზებული ღირებულებით; FVOCI – სავალო ინვესტიცია; FVOCI – კაპიტალის ინვესტიციები; ან FVTPL. ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება მათი პირველი აღიარების შემდეგ არ ხდება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს, ამ შემთხვევაში, ყველა შემოქმედების ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირდება ბიზნეს-მოდელის ცვლილების შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველ დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ იგი აკმაყოფილებს ორივე ქვემოთ მოცემულ პირობას და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL:

- იმართება ისეთი ბიზნეს-მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვით; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს მითითებულ თარიღებში ისეთი ფულადი ნაკადების წარმოშობას, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ვალის ძირისა და ძირის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

სასესხო ინვესტიციები ფასდება რეალური ღირებულებით FVOCI სხვა მთლიანი შემოსავლის მემვეობით, თუ ისინი აკმაყოფილებენ ორივე ქვემოთ მოცემულ პირობას და არ განისაზღვრება როგორც FVTPL:

- იმართება ისეთი ბიზნეს-მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვით; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს მითითებულ თარიღებში ისეთი ფულადი ნაკადების წარმოშობას, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ვალის ძირისა და ძირის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

*იხსნე შუქო-თყუცია*

**მნიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელსაც კომპანია არ ფლობს სავაჭროდ, კომპანიას შეუძლია შეუქცევადად აირჩიოს ინვესტიციის რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილებები სხვა მთლიან შემოსავალში. ეს შერჩევა ხდება ინვესტიციის საფუძველზე თითოეული ინვესტიციისთვის. ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტირებული ღირებულებით შეფასებული ან ზემოთ აღწერილი FVOCI, შეფასებულია FVTPL-ით. ეს მოიცავს ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივს. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუძლია შეუქცევადად განსაზღვროს სხვაგვარად კვალიფიცირი ფინანსური აქტივი, რომელიც უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან FVOCI, როგორც FVTPL, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები** - კომპანია აღიარებს მსზ ანარიცხებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე;

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება არის დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის შემთხვევაში განცდილი ზარალის (ანუ ზარალის ოდენობა თუ დეფოლტი დადგა) და დეფოლტის რისკის ქვეშ თანხების ფუნქცია. დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტის შემთხვევაში განცდილი ზარალის შეფასება ეფუძნება წარსულ მონაცემებს, რომლებიც ზემოთ აღწერილი ფორმულული ინფორმაციით კორექტირდება. რაც შეეხება დეფოლტის რისკის ქვეშ თანხებს, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი წარმოდგენილია საანგარიშგებო დღეს აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებით.

ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება როგორც სხვაობა კომპანიის მიერ ხელშეკრულებით მისაღებ ყველა ფულად ნაკადსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს, რაც შემდგომში დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კომპანია აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს სიცოცხლის განმავლობაში მსზ-ის ტოლი ოდენობით, გარდა შემდგომისა, რომელიც იზომება 12-თვიანი მსზ-ით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების თარიღისთვის; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლებსაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში დეფოლტის რისკი) მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

სავაჭრო დებიტორებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებული დანაკარგების რეზერვები ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც ECL სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია.

იმის დასადგენად, გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი საგრძნობლად თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ECL-ის შეფასებისას, კომპანია განიხილავს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც არის შესაბამისი და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას და ანალიზს, რომელიც ეფუძნება კომპანიის ისტორიულ გამოცდილებას და გონივრულ საკრედიტო შეფასებას, ასევე მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

კომპანია ვარაუდობს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუ იგი ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში.

კომპანია მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, როდესაც:

- ნაკლებად სავარაუდოა, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს კომპანიის წინაშე სასესხო ვალდებულებებს, თუ კომპანია არ გამოიყენებს ზომებს, როგორცაა გირაოს გაყიდვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტით. უვადო მსზ არის ის მსზ, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში ყველა შესაძლო დეფოლტისგან.

12-თვიანი მსზ არის მსზ-ის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება დეფოლტის მოვლენებისგან, რომლებიც შესაძლებელია ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (ან უფრო მოკლე პერიოდს, თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მსზ-ის შეფასებისას გათვალისწინებული მაქსიმალური პერიოდი არის მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

**კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები** - კომპანია ყოველი ანგარიშგების თარიღზე აფასებს, არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და FVOCI-ში სავალლო ფასიანი ქაღალდები კრედიტით გაუფასურებული. ფინანსური აქტივი არის კრედიტით გაუფასურებული, როდესაც მოხდა ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც აქვს მავნე გავლენა ფინანსური აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივი კრედიტით არის გაუფასურებული, მოიცავს შემდეგ ხილულ მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, როგორცაა დაფოლტი ან დაგვიანება 90 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში;
- კომპანიის მიერ სესხის ან ავანსის რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვაგვარად არ განიხილავდა;
- არსებობს შესაძლებლობა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრება ან განხორციელდეს სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები გამოიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

**ფინანსური აქტივები - ჩამოწრა** - ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივის სრული ან ნაწილის ანაზღაურების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური კლიენტებისთვის კომპანიას აქვს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა, როდესაც ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულია 365 დღე, მსგავსი აქტივების აღდგენის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. კორპორატიული კლიენტებისთვის, კომპანია აკეთებს ინდივიდუალურ შეფასებას ჩამოწერის ვადებსა და ოდენობასთან დაკავშირებით, იმის მიხედვით, არის თუ არა ანაზღაურების გონივრული მოლოდინი. კომპანია არ ელის ჩამოწერილი თანხის მატერიალურ დაბრუნებას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კვლავ ექვემდებარებოდეს აღსრულებას, რათა შეესაბამებოდეს კომპანიის პროცედურებს დავალიანების გამოთხოვა-ამოღების შესახებ.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა** - კომპანია წყვეტს ფინანსურ აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები იწურება, ან გადასცემს უფლებებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებაზე გარიგებაში, რომელიც გადასცემს არსებითად ყველა რისკს და სარგებელს საკუთრებაში. ფინანსური აქტივი, ან რომელიმე კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრების არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

კომპანია ატარებს ოპერაციებს, რომლითაც იგი გადასცემს აქტივებს, რომლებიც აღიარებულია მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემული აქტივების ყველა ან არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ამ შემთხვევაში, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება.

**ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და მოგება-ზარალი.** ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან FVTPL. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც FVTPL, თუ ის კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ შენახული, არის წარმოებული ან ასეთია მითითებული თავდაპირველი აღიარებისას. FVTPL: ფინანსური ვალდებულებები ფასდება რეალური ღირებულებით, ხოლო წმინდა მოგება-ზარალი, მათ შორის ნებისმიერი საპროცენტო ხარჯი, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯები და სავალუტო მოგება-ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

**ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა.** კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, გაუქმებულია ან ვადა ამოიწურება. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსურ ვალდებულებას, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებულია, ამ შემთხვევაში ახალი ფინანსური ვალდებულება შეცვლილი პირობების საფუძველზე აღიარებულია რეალური ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების გაუქმებისას, სხვაობა გადახდილ საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების ან აღებული ვალდებულებების ჩათვლით) აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

**საინვესტიციო ქონება.** საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ჩვენი ფლობს საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის აფასების ან ორივე მიზნით და რომელსაც ჩვენი არ იკავებს. საინვესტიციო ქონებაში შედის საინვესტიციო ქონებად მომავალი გამოყენებისთვის მშენებარე აქტივები.

*იხილეთ ანგარიშგება - 07/02/25*

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და აუცილებლობის შემთხვევაში, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

საინვესტიციო ქონების ცვეთა გამოითვლება წრფივად, 50 წლიანი მოსალოდნელი სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში.

**ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, სადაც ეს აუცილებელია.

მცირე რემონტი და ყოველდღიური ტექნიკური ხარჯები ირიცხება წარმოებისას. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არის თუ არა რაიმე მითითება ძირითადი საშუალებების გაუფასურების შესახებ. თუ ასეთი მითითებები არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის რეალური ღირებულების გამოკლებით გაყიდვის ხარჯები და მისი გამოყენების ღირებულება.

საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგებაში ან ზარალში, რამდენადაც იგი აღემატება წინა გადაფასების ზედმეტ კაპიტალს. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიცვლება, თუ შეიცვლება შეფასებებში, რომლებიც გამოიყენება აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების გამოკლებით გაყიდვის დანახარჯების დასადგენად.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულების შედარებით, აღიარებულია წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავლებში ან ხარჯებში).

**ცვეთა.** ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა გადანაწილდეს მათი ღირებულება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში:

**სასარგებლო მოხმარების ვადა, წელი**

ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5
საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა ამჟამად აქტივის რეალიზაციით, გაყიდვის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივმა უკვე მიაღწია ასაკსა და მდგომარეობას, რომელიც მოსალოდნელი იყო მისი სასარგებლო ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო ვადები გადაიხედება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

**არამატერიალური აქტივები.** კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს. შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და დანერგვისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე. კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გარე კონტრაქტორების მიერ შესრულებული პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სერვისების ხარჯებს. პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი, როგორცაა ტექნიკური მომსახურება, ირიცხება წარმოშობისას.

კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა ფუნქციონალური ვადის გარეშე ამორტიზირებულია წრფივი მეთოდით მისი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში 7 წლის განმავლობაში.

**მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადის გადასახდელების აღიარება ხდება ვალდებულებად ღირებულების განაწილებაზე და ხარჯად აღირიცხება ღირებულების გამოცხადების პერიოდში. ეს იმის მიუხედავად ხდება, თუ რომელ პერიოდზე გამოცხადდა ეს ღირებულებები და რომელ პერიოდში მოხდა მათი გადახდა. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზისებს შორის არ არსებობს ისეთი სხვაობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების გაჩენა.

**საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები** - მათი აღიარება ხდება დარიცხვისას მოგებაში ან ზარალში, აქტივის ან ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით. საპროცენტო შემოსავალსა და ხარჯში შედის დისკონტები, პრემიუმები და პროცენტიანი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებასა და დაფარვის ვადის გასვლისას დაფიქსირებული ოდენობის ნებისმიერი სხვა სხვაობა, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე

*ინს შპს - ბიზნესი*



**მენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

იანგარიშება. სესხის აღების საკომისიოები, სესხის მომსახურების საკომისიოები და სხვა საკომისიოები, რაც ითვლება სესხის მთლიანი რენტაბელობის განუყოფელ ნაწილად, ვერდიტ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, გადავადდება და ამორტიზდება საპროცენტო შემოსავლამდე ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**სხვა საკომისიო შემოსავალი და სხვა საოპერაციო ხარჯები.** მათი აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება შესაბამისი მომსახურების განწესისას.

**4. კრიტიკული საადრიცხვო შეფასებები და განსჯები ბუღალტრული პოლიტიკების გამოყენების პროცესში**

სტანდარტის ფასს 17 მიღების შედეგად, კომპანიას გაუჩნდა დამატებითი საადრიცხვო განსჯების გამოყენების აუცილებლობა და შეფასების განუსაზღვრელობის წყაროები:

**აგრეგირების დონე - საადრიცხვო განსჯა.** კომპანია პორტფელს განსაზღვრავს როგორც ისეთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი რისკები და იმართება ერთად. ერთი პროექტის ხაზის ფარგლებში მოქცეული ხელშეკრულებები არის ერთი და იმავე პორტფელში, რადგან აქვთ მსგავსი რისკები და იმართება ერთად. იმის შეფასება, თუ რომელი რისკებია მსგავსი და როგორ იმართება ხელშეკრულებები, მოითხოვს განსჯას.

**წაგებიანი ხელშეკრულებები - განუსაზღვრელობის შეფასების წყარო.** კომპანია მიიჩნევს, რომ საწყისი აღიარებისას არც ერთი ხელშეკრულება არ არის წაგებიანი, მანამ სანამ ფაქტები და გარემოებები არ მიუთითებს სხვაგვარად. ეს ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას, რაც შეიძლება განუსაზღვრელი იყოს მათი დროის, ზომის და ალბათობის გამო. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, ნებისმიერ დროს ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია, კომპანია ადგენს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების ზარალის კომპონენტს როგორც ამ ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებასთან დაკავშირებულ გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადაჭარბებას დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების მთლიანი საბალანსო ღირებულება /პირვანდელი ღირებულებასთან ფარდობასთან. შესაბამისად, სადაზღვევო პერიოდის ბოლოს სადაზღვევო ხელშეკრულებების ზარალის კომპონენტი ნულის ტოლი იქნება. როდესაც კომპანია საწყისად აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს ან როცა შემდგომში ემატება წაგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიანი ჯგუფი, და კომპანია ფლობს მოკორექტირებად სადაზღვევის ხელშეკრულებას, ის განსაზღვრავს ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივისთვის ზარალის კომპენსაციის კომპონენტს, რომელიც ასახავს აღიარებული ზარალის ანაზღაურებას.

**მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები - განუსაზღვრელობის შეფასების წყარო.** მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, კომპანია მიუკერძოებლად ითვალისწინებს მიზანშეუწონელი დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველანაირ დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას საანგარიშგებო თარიღისთვის. ეს ინფორმაცია მოიცავს ზარალებთან და სხვა ხარჯებთან დაკავშირებით როგორც შიდა ასევე გარე ისტორიულ, განახლებულ მონაცემებს, რათა ასახოს მომავალი მოვლენების შესახებ მიმდინარე მოლოდინები. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები ასახავს კომპანიის ხედვას მიმდინარე მოვლენებზე საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა უზრუნველყოს შესაბამისი საბაზრო ცვლადების შეფასებების შესაბამისობა ამ ცვლადი სიდიდეების დაკვირვებად საბაზრო ფასებთან, თუმცა აღნიშნული ფულადი ნაკადები არსებითად განუსაზღვრელია მათი ზომის, დროის მიხედვით და დაფუძნებულია ალბათობებით შეწონილი საშუალო მნიშვნელობის მოლოდინებზე.

**რისკის კორექტირება - განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები.** რისკის კორექტირება არა-ფინანსური რისკისთვის განისაზღვრება ისე, რომ გაითვალისწინოს კომპენსაცია, რომელიც კომპანიას ესაჭიროება არა-ფინანსური რისკის აღებისთვის და რისკის ის დონე, რომელსაც კომპანია არ იღებს თავის თავზე. აღნიშნული განისაზღვრება პორტფელის დონეზე და მიეკუთვნება ხელშეკრულებების ჯგუფს მათი რეზერვის ზომის შესაბამისად. კომპანია არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების სიდიდის განსაზღვრისთვის იყენებს სანდოობის ინტერვალის ტექნიკას.

კომპანია აფასებს კონტრაქტებიდან მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელი მიმდინარე ღირებულების ალბათობის განაწილებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და გამოთვლის რისკის კორექტირებას არაფინანსური რისკისთვის ნდობის ინტერვალის ტექნიკის გამოყენებით. ნდობის ინტერვალის გულისხმობს ალბათობას, რომ პოპულაციის პარამეტრი დაეცემა მნიშვნელობებს შორის გარკვეული პროპორციით. იმ სიტუაციებში, როდესაც ზემოაღნიშნული მეთოდების განაწილების დამკვებები გაურკვეველია ან დარღვეულია, ხელახალი შერჩევის მეთოდები იძლევა სანდო ინტერვალის ან პროგნოზირების ინტერვალის აგებას.

*იხს, ახსენი - თყოს*

შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

ნდობის ინტერვალის ტექნიკის გამოყენებით, რისკის კორექტირება გამოითვლება როგორც ზღვარი არასასურველი გადახრის ალბათობებით შეწონილი მოსალოდნელი მნიშვნელობიდან, არჩეული ნდობის დონის გამოყენებით. რისკის კორექტირება არის მანძილი ალბათობით შეწონილ მოსალოდნელ მნიშვნელობას (საშუალოს შეფასება მთელ განაწილებაზე) და შერჩეული ნდობის დონის მიღმა ფულადი სახსრების ნაკადების ალბათობით შეწონილ მოსალოდნელ მნიშვნელობას შორის. ჯგუფი არაფინანსურ რისკს ანგარიშობს 80%-იანი დონით.

5. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღება

მიმდინარე წლის განმავლობაში კომპანიამ გამოიყენა ფასს სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული შემდეგი შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ ძალაში შესულ პერიოდებზე. ამ შესწორებების მიღებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი ეფექტი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე ან აქ კავთებულ განმარტებებზე.

შესწორებები სტანდარტში ბასს 1 – „ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად“

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა ბასს 1 სტანდარტის 2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული შესწორებები.

ეს შესწორებები ეხება მხოლოდ ვალდებულებების წარმოდგენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარედ ან გრძელვადიანად და არა რომელიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯების ოდენობასა თუ აღიარების დროს ან ამ მუხლების შესახებ განმარტებულ ინფორმაციას.

შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებს, აკონკრეტებს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს მოლოდინი, გამოიყენებს თუ არა პირი უფლებას, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა, განმარტავს, რომ უფლებები არსებობს, თუ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დათქმები კმაყოფილდება და იმის ასახსნელად, რომ დაფარვა ნიშნავს კონტრაპენტიანის ფულის, კაპიტალის ინსტრუმენტების, სხვა აქტივების გადაცემას ან მომსახურების გაწევას, შემოაქვს დაფარვის კონკრეტული განსაზღვრება.

შესწორებები სტანდარტში ბასს 1 - გრძელვადიანი ვალდებულებები დათქმებით

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად გამოიყენა ბასს 1 სტანდარტის 2022 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული შესწორებები.

შესწორებები აკონკრეტებს, რომ პირის უფლებაზე, ვალდებულების დაფარვა გადაავადოს საანგარიშო თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვით, მოქმედებს მხოლოდ ის დათქმები, რომელთა შესრულება პირს ევალება საანგარიშო პერიოდის ბოლო დღეს ან ბოლომდე (და ამდენად, უნდა მხედველობაში იქნეს მიღებული ვალდებულების მიმდინარედ ან გრძელვადიანად კლასიფიკაციისას). ამგვარი დათქმები განსაზღვრავს, არსებობს თუ არა უფლება საანგარიშო პერიოდის ბოლოს მაშინაც კი, როდესაც დათქმის შესრულების სტატუსის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ საანგარიშო პერიოდის შემდეგ (მაგალითად, საანგარიშო დღეს ფინანსურ მდგომარეობაზე დაფუძნებული დათქმა, რომლის შესრულება ფასდება მხოლოდ საანგარიშო დღის შემდეგ).

ბასსს აგრეთვე აკონკრეტებს, რომ საანგარიშო თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვით ვალდებულების დაფარვის გადავადების უფლებაზე არ მოქმედებს ის ფაქტი, რომ პირს დათქმის შესრულება მხოლოდ საანგარიშო პერიოდის შემდეგ ევალება. თუმცა, თუ პირის უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა დამოკიდებულია საანგარიშო პერიოდის გასვლიდან თორმეტი თვის განმავლობაში დათქმების შესრულებაზე, მაშინ პირმა უნდა განმარტოს ის ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, გააცნობიერონ იმის რისკი, რომ ვალდებულებების დაფარვა სავალდებულო ხდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან

*Handwritten signature*

თორმეტი თვის განმავლობაში. ამაში შედის ინფორმაცია დათქმების (მათ შორის, დათქმების ბუნების თაობაზე და იმის შესახებ, თუ როდის ხდება სავალდებულო მათი შესრულება), შესაბამისი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებისა და ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რაც მიუთითებს, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს ამ დათქმების შესრულების სირთულე.

შესწორებები სტანდარტებში ბასს 7 „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: მიმწოდებლის ფინანსური გარიგებების განმარტებები“

ჯგუფმა მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტებში ბასს 7 „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: მიმწოდებლის ფინანსური გარიგებებით დასათარებელი განმარტებები“. ამ შესწორებებით ბასს 7 სტანდარტს ემატება განმარტება, რომელიც ამბობს, რომ პირი ვალდებულია, განმარტოს ინფორმაცია მიმწოდებლის ფინანსურ გარიგებებთან დაკავშირებით, თუ ეს ინფორმაცია ეხმარება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს იმ უფექტის შეფასებაში, რაც ამ გარიგებებს აქვს პირის ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე. გარდა ამისა, შეიცვალა ფასს 7 და მას დაემატა მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები, როგორც ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციის შესახებ ინფორმაციის განმარტების მოთხოვნის მაგალითი.

შესწორებები სტანდარტში ფასს 16 - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის შემთხვევებში

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტში ფასს 16.

ამ შესწორებით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებს, რომლებიც ფასს 15 სტანდარტით „მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი“ აკმაყოფილებს გაყიდვის კრიტერიუმებს, დაემატა შემდგომი შეფასების მოთხოვნა. ამ შესწორებებით, გამყიდველი-მოიჯარე ვალდებულია, „საიჯარო გადახდები“ ან „კორექტირებული საიჯარო გადახდები“ იჯარის დაწყების შემდეგ იმგვარად დაადგინოს, რომ მან არ აღიაროს მოგება ან ზარალი, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას.

შესწორებები არ მოქმედებს გამყიდველი-მოიჯარის მიერ აღიარებულ მოგებასა თუ ზარალზე, რომელიც უკავშირდება იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას. ამ ახალი მოთხოვნების გარეშე, გამყიდველ-მოიჯარეს შეიძლება ეღიარებინა მოგება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებაზე მხოლოდ საიჯარო ვალდებულების გადაფასების გამო, რაც ფასს 16 სტანდარტის ზოგადი მოთხოვნა იყო (ეს შეიძლება მომხდარიყო, მაგალითად, იჯარის მოდიფიკაციის ან იჯარის პირობების ცვლილების შედეგად). ეს, კერძოდ, ხდებოდა ისეთ უკუიჯარაში, რომელიც მოიცავს ცვლად საიჯარო გადახდებს, რაც ინდექსზე ან განაკვეთზე არ არის დამოკიდებული.

შესწორებების ფარგლებში, ბასსს საბჭომ აგრეთვე შეცვალა ფასს 16 სტანდარტში მოცემული საილუსტრაციო მაგალითი და დაამატა ახალი, რომელიც გვიჩვენებს აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების შემდგომ გადაფასებას გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქციაში, სადაც საიჯარო გადახდები ცვლადია და არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. საილუსტრაციო მაგალითები აგრეთვე განმარტავს, რომ ვალდებულება, რომელიც ფასს 15 სტანდარტით გაყიდვად კვალიფიცირებული გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქცია არის საიჯარო ვალდებულება.

გამყიდველი-მოიჯარე შესწორებებს იყენებს რეტროსპექტიულად, ბასს 8 სტანდარტის მიხედვით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც გაფორმდა თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ. ეს უკანასკნელი კი განიმარტება, როგორც ფასს 16 სტანდარტის გამოყენების წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისი.

*Handwritten signature*

**მნიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

**6. ახალი გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ფასს 1 „მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის განმარტების ზოგადი მოთხოვნები“	მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის განმარტება
ფასს 52 - კლიმატთან დაკავშირებული განმარტებები მდგრადობის აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (მასს) სტანდარტების შესწორებები შესწორება სტანდარტში ბასს 21	კლიმატთან დაკავშირებული განმარტებები (მასს) სტანდარტების შესწორებები, რომლებიც საერთაშორისო დონეზე გამოყენებას უწყობს ხელს ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მასში მოცემული განმარტებები
ფასს 18	შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებები
ფასს 19	

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

**7. წინა წლის ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება**

2024 წელს კომპანიის ხელმძღვანელობამ რამდენიმე ცვლილება შეიტანა დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულების ბუღალტრული დამუშავების წესში. ცვლილებები რეტროსპექტიულად აისახა და წინა წლის ფინანსური შედეგები დაკორექტირდა სტანდარტის ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკები, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება და შეცდომები“ შესაბამისად.

ქვემოთ მოცემული ცხრილები და განმარტებები მოკლედ განმარტავს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას 1-5 პუნქტებში და წინა წლის არასწორ ინტერპრეტაციას მე-6 პუნქტში, აგრეთვე კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების ეფექტს:

- 1) ფასს 17 სტანდარტით შეფასების მეთოდის ცვლილება.** კომპანიამ გადახედა არაფინანსური რისკის კორექტირების შეფასების მეთოდს და გადააფასა წინა წლის ეფექტი. ამ ცვლილების მიზეზი ისაა, რომ კომპანიის აზრით, ახალი მეთოდი გამოთვლის უფრო ეფექტურ გზას იძლევა. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოხდა სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებების შეფასება 327,987 ლარით მეტი და სადაზღვევო მომსახურების ხარჯების შეფასება 327,987 ლარით მეტი. იმავე თარიღის მდგომარეობით მოხდა გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივების შეფასება 190,028 ლარით მეტი და გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებული შედეგის შეფასება 190,028 ლარით მეტი.
- 2) წაგებიანი ხელშეკრულებები.** ფასს 17 სტანდარტის მიხედვით, პირმა, რომელზეც პრემიის განაწილების მიდგომა (PAA) ვრცელდება, უნდა დაუშვას, რომ პორტფელში წინასწარი შეფასებისას არც ერთი ხელშეკრულება წაგებიანი არ არის, თუ ამაზე რაიმე ფაქტი და გარემოება არ მიუთითებს. კომპანიამ ხელახლა შეაფასა, ხომ არ აქვთ საწყისი აღიარებით წაგებიანად არაღიარებულ ხელშეკრულებებს შემდგომში ასეთად ქცევის დიდი ალბათობა. შედეგად, ხელახალი შეფასების საფუძველზე, კომპანიამ მანამდე წაგებიანად შეფასებული კონტრაქტები ჩათვალა არაწაგებიანად. წინა წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოხდა დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებების შეფასება 249,985 ლარით მეტი და გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივების შეფასება 124,546 ლარით მეტი.
- 3) კომპანიამ შეცვალა გადაზღვევის პრემიებისა და გადაზღვევითაგან ასანაზღაურებელი თანხების განაწილების პრუზენტაცია და ეს თანხები წარმოადგინა ერთ მუხლში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი.**

*Handwritten signature in blue ink: იხსნე ანგარიშგება - თანხები*

**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

- 4) **სუბროგაციისა და აგენტის საკომისიოს რეკლასიფიკაცია.** კომპანიამ გააკეთა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაზღვევის ხელშეკრულებების ვალდებულებებიდან მისაღები სუბროგაციის რეკლასიფიკაცია სხვა აქტივებში 116,290 ლარის ოდენობით. კომპანიამ გააკეთა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადამზღვევითა და გადასახდელი სუბროგაციის რეკლასიფიკაცია სხვა ვალდებულებებიდან დაზღვევის ხელშეკრულების აქტივებში 122,792 ლარის ოდენობით. კომპანიამ გააკეთა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაზღვევის აგენტებისათვის გადასახდელი თანხების რეკლასიფიკაცია სხვა ვალდებულებებში 218,799 ლარის ოდენობით. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები გაიზარდა 195,146 ლარით, ხოლო დაზღვევის ხელშეკრულებათა ვალდებულებები შემცირდა 23,653 ლარით.
- 5) **უბედური შემთხვევის პოლისების რეკლასიფიკაცია.** კომპანიამ შეცვალა უბედური შემთხვევის პოლისების წარმოდგენის ფორმა და ეს პოლისები ავტო-პოლისებს შეუერთა (CASCO და MTPL). ამ რეკლასიფიკაციის შედეგად, წინა წლის ფინანსური ანგარიშგება შეიცვალა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები და ვალდებულებები შემცირდა 136,189 ლარით, ხოლო დაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები და ვალდებულებები შემცირდა 143,829 ლარით
- 6) **რისკის კორექტირება სიცოცხლის დაზღვევაზე.** სტანდარტი ფასს 17 კომპანიას ავალდებულებს, გამოითვალოს სადაზღვევო ხელშეკრულებების რისკის კორექცია. წინა წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიამ არასწორად აღიარა რისკის კორექტირება, რის გამოც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაზღვევის ხელშეკრულებათა ვალდებულებები შეფასდა 578,599 ლარით მეტით, ხოლო დაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები შეფასდა 400,705 ლარით მეტით.

ქართული ლარი		ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერი	გადაანგარიშება	გადაანგარიშებული 2023 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>				
დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	5	136,180	(136,180)	-
დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	1, 2, 6, 4, 5	75,333,191	(786,754)	74,546,437
სხვა აქტივები	4	185,580	116,290	301,870
<b>სულ აქტივები:</b>		<b>75,654,951</b>	<b>(806,644)</b>	<b>74,848,307</b>
<b>ვალდებულებები</b>				
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	1, 2, 6, 4, 5	77,498,241	(1,176,461)	76,321,780
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	5	167,482	(167,482)	0
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4	387,667	218,799	606,466
სხვა ვალდებულებები	4	584,053	(122,792)	461,261
<b>სულ ვალდებულებები:</b>		<b>78,637,443</b>	<b>(1,247,936)</b>	<b>77,389,507</b>
<b>კაპიტალი</b>				
გაუნაწილებელი მოგება	1, 2, 6	10,853,107	441,292	11,294,399
<b>სულ კაპიტალი:</b>		<b>16,853,107</b>	<b>441,292</b>	<b>17,294,399</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>95,490,550</b>	<b>(806,644)</b>	<b>94,683,906</b>

*ანგარიშგება - დაზღვევა*

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

ქართული ლარი	ანგარიშგება		გადაანგარიშებული	
	2023	გადაანგარიშგება	2023	
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	1, 2, 6	(113,079,989)	1,156,571	(111,923,418)
სადაზღვევო მომსახურების შედეგი ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებამდე		(94,266,590)	1,156,571	(93,110,019))
გადაზღვევის პრემიების განაწილება	3	(13,130,248)	13,130,248	-
გადამზღვევებისგან მისაღები თანხები	3	111,654,386	(111,654,386)	-
წმინდა შემოსავალი / (ხარჯი) ფლობილი	3	98,524,138	(98,524,138)	-
ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი	1, 2, 6	-	99,363,963	99,363,963
სადაზღვევო მომსახურების შედეგი		4,257,548	441,292	4,698,840
მოგება გადასახადამდე		3,672,851	441,292	4,114,143
წლიური მოგება		3,095,912	441,292	3,537,204
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,095,912	441,292	3,537,204

### 8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები	554,019	1,356,090
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(722)	(631)
<b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>553,297</b>	<b>1,355,459</b>

ფულისა და ფულის ეკვივალენტების საკრედიტო რეიტინგებია:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
BB	128,750	51,587
B+	223,479	1,166,037
B	201,068	-
ურეიტინგო	-	137,835
<b>სულ</b>	<b>553,297</b>	<b>1,355,459</b>

წლის განმავლობაში კომპანიის ფულადი ნაკადები 0.8 მილიონი ლარით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო ვადიან დეპოზიტებზე თავისუფალი ფულის განთავსებით. ამ კლების მიუხედავად, 2024 წლის განმავლობაში და წლის ბოლოს მდგომარეობით, ნაღდი ფულის მოცულობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა კომპანიისათვის კომფორტული საოპერაციო ლიკვიდობისათვის აუცილებელ თანხას.

დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, კომპანია პერიოდულად აბანდებს დაგროვილ ჭარბ ფულს მაღალი უკუგების საბანკო ვადიან დეპოზიტებში. 2024 წლის განმავლობაში ვადიან დეპოზიტებზე განთავსებული სახსრების მოცულობა 4.5 მილიონი ლარით გაიზარდა (იხ. მე-9 შენიშვნა - დეპოზიტები ბანკებში).

*ანს შტუდენტო - თაყაი*

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 9. დეპოზიტები ბანკებში

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სს „კრედო ბანკი“	14,561,435	12,451,886
სს „ფაშა-ბანკ ჯორჯია“	6,334,279	4,194,208
სს „ბაზისბანკი“	438,539	161,294
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(102,120)	(53,508)
<b>სულ დეპოზიტები ბანკებში</b>	<b>21,232,133</b>	<b>16,753,880</b>

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო დეპოზიტებზე განთავსებული მთლიანი თანხიდან 7,200,000 ლარი ეკუთვნის საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას.

ბანკებში განთავსებულ თანხებზე საკრედიტო რეიტინგებია:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
B+	436,801	160,401
B	20,795,332	-
Not Rated	-	16,593,479
<b>სულ</b>	<b>21,232,133</b>	<b>16,753,880</b>

საბანკო დეპოზიტების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. საბანკო დეპოზიტები წარმოდგენილია ქართულ ლარში, ქართულ კომერციულ ბანკებში განთავსებული თანხებით. დაკავშირებულ მხარესთან (სს „ბაზისბანკი“) განთავსებულ საბანკო დეპოზიტს ურიცხვება საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 11.4% (2023: 11.5%). იხილეთ 30-ე შენიშვნა.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დეპოზიტების დარჩენილი ვადები და საშუალო საპროცენტო განაკვეთებია:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	საშუალო %	თანხა	საშუალო %	თანხა
1-6 თვე	12.7%	2,055,634	13.0%	1,332,664
6-12 თვე	13.7%	10,204,437	13.3%	6,638,114
12-24 თვე	12.0%	8,972,062	14.0%	8,783,102
<b>სულ</b>	<b>12.9%</b>	<b>21,232,133</b>	<b>13.5%</b>	<b>16,753,880</b>

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელ კომპანიაში (სს „ბაზისბანკი“) განთავსებული დეპოზიტებიდან 402,896 ლარი გამოყენებული იყო მშობელი კომპანიისგან მიღებული საგარანტიო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად. იხილეთ 30-ე შენიშვნა.

## სს ბბ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 10. ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სს „მსო კრისტალის“ თამასუქები	632,541	-
სს „მსო სვის კაპიტალის“ თამასუქები	300,115	303,567
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(3,468)	(1,785)
<b>სულ ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში</b>	<b>929,188</b>	<b>301,782</b>

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „მსო კრისტალის“ რეიტინგი იყო B, ხოლო სს „მსო სვის კაპიტალისა“ – B- (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „სვის კაპიტალის“ რეიტინგი იყო B-).

2025 წლის 12 თებერვალს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მიკრობანკების რეგულირების წესის თანახმად, სს „კრისტალს“ მისცა მიკრობანკის ლიცენზია.

#### 11. დაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები და ვალდებულებები

ცხრილში მოცემულია მოძრაობა დაზღვევის ხელშეკრულებების აქტივებსა და ვალდებულებებში:

ქართული ლარი	ვალდებულებები დარჩენილ ვადაზე		მიღებული პრეტენზიების ვალდებულებები		სულ
	ზარალის კომპონენტის გამოკლება	ზარალის კომპონენტი **	მიღებული პრეტენზია	არაფინანსური რისკის კორექტირება	
დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	-	-	-	-	-
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	(1,261,632)	-	(1,923,321)	(128,221)	(3,313,174)
<b>31.12.2022</b>	<b>(1,261,632)</b>	<b>-</b>	<b>(1,923,321)</b>	<b>(128,221)</b>	<b>(3,313,174)</b>
შემოსავალი დაზღვევიდან	18,813,399	-	-	-	18,813,399
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	-	-	-	-
მიღებული პრეტენზიები *	-	-	(110,926,926)	(92,790)	(111,019,716)
პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	-	-	(406,081)	-	(406,081)
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - LfIC ცვლილება	-	-	264,818	81,121	345,939
ზარალი წაგებიან ხელშეკრულებებზე და ზარალის გაუქმება	-	-	-	-	-
წმინდა სავალუტო შემოსავალი / (ხარჯი)	31,935	-	-	-	31,935
<b>სულ ცვლილება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>18,845,334</b>	<b>-</b>	<b>(111,068,189)</b>	<b>(11,669)</b>	<b>(92,234,524)</b>
ფულადი ნაკადები	-	-	-	-	-
მიღებული პრემიები	(18,985,493)	-	-	-	(18,985,493)
ანაზღაურებული პრეტენზიები	-	-	38,211,411	-	38,211,411
გაწეული პირდაპირ მიკუთვნებული ხარჯები	-	-	-	-	-
<b>31.12.2023 (გადაანგარიშებული)</b>	<b>(1,401,791)</b>	<b>-</b>	<b>(74,780,099)</b>	<b>(139,890)</b>	<b>(76,321,780)</b>

ახსნა ანგარიშგება - თუქმეა



## სს ბზ დაზღვევა

### მენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

დაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	-	-	-	-	-
დაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულებები	(1,401,791)	-	(74,780,099)	(139,890)	(76,321,780)
<b>31.12.2023 (გადაანგარიშებული)</b>	<b>(1,401,791)</b>	<b>-</b>	<b>(74,780,099)</b>	<b>(139,890)</b>	<b>(76,321,780)</b>
მემოსავალი დაზღვევიდან სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	(25,683,410)	-	-	-	(25,683,410)
მიღებული პრეტენზიები *	-	-	(4,775,772)	(122,478)	(4,898,250)
პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	-	-	(490,176)	-	(490,176)
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - LfIC ცვლილება	-	-	(37,948,769)	122,324	(37,826,445)
ზარალი წაგებიან ხელშეკრულებებზე და ზარალის გაუქმება	-	-	-	-	-
წმინდა სავალუტო შემოსავალი / (ხარჯი)	11,498	-	-	-	11,498
<b>სულ ცვლილება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>(25,671,912)</b>	<b>-</b>	<b>(43,214,717)</b>	<b>(154)</b>	<b>(68,886,783)</b>
ფულადი ნაკადები					
მიღებული პრემიები	28,272,725	-	-	-	28,272,725
ანაზღაურებული პრეტენზიები	-	-	114,512,975	-	114,512,975
გაწეული პირდაპირ მიკუთვნებული ხარჯები	-	-	467,327	-	467,327
<b>31.12.2024</b>	<b>1,199,022</b>	<b>-</b>	<b>(3,014,514)</b>	<b>(140,044)</b>	<b>(1,955,536)</b>
დაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები	1,902,862	-	(1,820,822)	-	82,040
დაზღვევის ხელშეკრულებების ვალდებულებები	(703,840)	-	(1,193,692)	(140,044)	(2,037,576)

\* \*მარშან კომპანიამ აანაზღაურა 34,362,900 ლარის ოდენობის პრეტენზია ავიაციის ხელშეკრულებიდან. თუმცა, აღნიშნული პრეტენზია არა ანაზღაურებულ პრეტენზიებში შევიდა, არამედ მუხლში „ცვლილება მიღებული პრეტენზიების ვალდებულებაში“. 2023 წლის წარმოდგენილი ფორმით, ჯგუფმა გადაწყვიტა, ეს თანხა, გადაიტანოს „ანაზღაურებულ პრეტენზიებში“, აღნიშნულს მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე არ ჰქონია, რადგან ორივე ანგარიში შედის „სადაზღვევო მომსახურების ხარჯებში“. ეს შესწორება მხოლოდ წინა წლის განმარტებებს ეხება.

\*\* გარდა ამისა, 2023 წელს წარმოდგენილი, 35,666,899 ლარის ოდენობის წაგებიანი ხელშეკრულება არასწორად ჩაითვალია წაგებიანად. შედეგად, მენეჯმენტმა გადაწყვიტა, დაეკორექტირებინა წინა წლის მაჩვენებელი და გამოანგარიშებული რეზერვი გადაიტანა „ზარალის კომპონენტიდან“ „მიღებული პრეტენზიების ვალდებულებაში“. სადაზღვევო ვალდებულებების საბოლოო ნაშთზე ამას ნულოვანი ზეგავლენა ჰქონდა. ეს შესწორება მხოლოდ წინა წლის განმარტებებს ეხება.

ინიხე შენგოი - თაყაი

# სს ბზ დაზღვევა

## შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

### 12. გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები და ვალდებულებები

ცხრილში მოცემულია მოძრაობა გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივებსა და ვალდებულებებში:

ქართული ლარი	აქტივი / (ვალდებულება) მოქმედების ვადის ბოლომდე		მიღებული მოთხოვნის აქტივი / (ვალდებულება)		სულ
	ზარალი-ანაზღაურების კომპონენტის გამოკლებით	ზარალი-ანაზღაურების კომპონენტი **	გადაზღვევის წილი მიღებულ მოთხოვნაში	არაფინანსური რისკის კორექტირება	
გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები	(220,311)	-	2,605,600	76,184	2,461,473
გადაზღვევის ხელშეკრულებათა ვალდებულებები	(26,289)	-	18,942	-	(7,347)
<b>31.12.2022</b>	<b>(246,600)</b>	<b>-</b>	<b>2,624,542</b>	<b>76,184</b>	<b>2,454,126</b>
გადაზღვევის ხარჯები	(11,830,782)	-	-	-	(11,830,782)
<b>ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი</b>					
გადაზღვევის წილი მიღებულ მოთხოვნაში * წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - AfIC კორექტირება	-	-	109,811,077	53,403	109,864,480
ზარალი წაგებიან ხელშეკრულებაზე და ზარალის გაუქმება	-	-	(168,534)	(56,305)	(224,839)
წმინდა სავალუტო შემოსავალი / (ხარჯი)	(50,722)	-	(39,266)	-	(89,988)
<b>სულ ცვლილება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>(11,881,504)</b>	<b>-</b>	<b>109,603,277</b>	<b>(2,902)</b>	<b>97,718,871</b>
გადახდილი გადაზღვევის პრემიები	11,108,920	-	-	-	11,108,920
გადაზღვევის წილი გადახდილ მიღებულ მოთხოვნებში	-	-	(36,735,480)	-	(36,735,480)
გადაზღვევის წილი სუბროგაციასა და ქონების გადარჩენაში	-	-	-	-	-
<b>31.12.2023 (გადაანგარიშებული)</b>	<b>(1,019,184)</b>	<b>-</b>	<b>75,492,339</b>	<b>73,282</b>	<b>74,546,437</b>
გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები	(1,019,184)	-	75,492,339	73,282	74,546,437
გადაზღვევის ხელშეკრულებათა ვალდებულებები	-	-	-	-	-
<b>31.12.2023 (გადაანგარიშებული)</b>	<b>(1,019,184)</b>	<b>-</b>	<b>75,492,339</b>	<b>73,282</b>	<b>74,546,437</b>
გადაზღვევის ხარჯები	(17,617,233)	-	-	-	(17,617,233)
<b>ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი</b>					
გადაზღვევის წილი მიღებულ მოთხოვნაში წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - AfIC კორექტირება	-	-	2,567,344	68,697	2,636,041
ზარალის კომპონენტი წაგებიან ხელშეკრულებაში	-	-	37,999,701	(64,478)	37,935,223
წმინდა სავალუტო შემოსავალი / (ხარჯი)	(19,137)	-	-	-	(19,137)
<b>სულ ცვლილება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში</b>	<b>(17,636,370)</b>	<b>-</b>	<b>39,851,766</b>	<b>4,219</b>	<b>22,219,615</b>
გადახდილი გადაზღვევის პრემიები	16,800,633	-	-	-	16,800,633

*Handwritten signature: იხსნე ახუციანი-თყეშელაშვილი*

## სს ბბ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

გადაზღვევის წილი გადახდილ მიღებულ მოთხოვნებში	-	-	(113,662,523)	-	(113,662,523)
გადაზღვევის წილი სუბროგაციასა და ქონების გადარჩენაში	-	-	-	-	-
<b>31.12.2024</b>					
	(1,854,921)	-	2,396,861	77,501	619,441
გადაზღვევის ხელშეკრულებათა აქტივები	(1,257,532)	-	2,144,384	77,501	964,353
გადაზღვევის ხელშეკრულებათა ვალდებულებები	(597,389)	-	252,477	-	(344,912)

### 13. საინვესტიციო ქონება

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
<b>ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>1,414,970</b>	<b>1,657,459</b>
რეალიზაცია	(68,638)	(242,489)
<b>ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,346,332</b>	<b>1,414,970</b>
<b>დაგროვილი ცვეთა 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>(65,172)</b>	<b>(33,149)</b>
ცვეთის ხარჯი	(32,202)	(32,023)
<b>დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(97,374)</b>	<b>(65,172)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,248,958</b>	<b>1,349,798</b>

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებაა 1,346,141 ლარი (2023: 2,339,778 ლარი). ეს თანხა დადგინდა კომპანიის შიდა შემფასებლების მიერ საბაზრო მიდგომით ჩატარებული შეფასების საფუძველზე.

ახსნე შევკეთ - თყუარს

## სს ბზ დაზღვევა

შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

### 14. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ქართული ლარი	ავჯი და აღჭურვილობა	ავტო- სატრანსპორტ ო საშუალებები	არამატერიალუ რი აქტივები	სულ
<b>თვითღირებულება</b>				
31.12.2022	73,771	19,200	100,133	193,104
დამატება 2023 წელს	2,580	-	28,904	31,484
31.12.2023	76,351	19,200	129,037	224,588
დამატება 2024 წელს	356	-	-	356
31.12.2024	76,707	19,200	129,037	224,944
<b>დაგროვილი ცვეთა</b>				
31.12.2022	47,683	16,591	48,680	112,955
ცვეთის ხარჯი 2023 წელს	15,250	2,609	19,094	36,953
31.12.2023	62,934	19,200	67,774	149,908
ცვეთის ხარჯი 2024 წელს	8,975	-	19,409	28,384
31.12.2024	71,909	19,200	87,183	178,292
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>				
31.12.2023	13,417	-	61,263	74,680
31.12.2024	4,798	-	41,854	46,652

### 15. სხვა აქტივები

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებუ ლი)
გადარჩენილი ქონება	97,910	117,229
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები	207,708	34,413
მოთხოვნები რეგრესიდან	121,670	116,290
სავალდებულო დაზღვევის ცენტრისთვის წინასწარ გადახდილი ავანსები	23,528	23,529
გადახდილი ავანსები	66,604	10,409
სხვა აქტივები	1,771	-
<b>სულ სხვა აქტივები</b>	<b>519,191</b>	<b>301,870</b>

ახსნე აქტივები - 0242567

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 16. სხვა ფინანსური ვალდებულებები

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი
			(გადაანგარიშებული)
გადასახდელები საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიმართ	254,473		188,134
გადასახდელები პროფესიულ მომსახურებაზე	192,097		184,063
გადასახდელები აგენტების მიმართ	68,335		218,799
სხვა კრედიტორები	56,058		15,470
<b>სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>570,963</b>		<b>606,466</b>

#### 17. სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი
			(გადაანგარიშებული)
დარიცხული დაქირავებულ პირთა ანაზღაურება	548,097		391,007
გადასახდელები მოგების გადასახადზე	-		28,958
მიღებული ავანსები	170,705		21,346
სხვა ვალდებულებები	1,146		19,950
<b>სულ სხვა ვალდებულებები</b>	<b>719,948</b>		<b>461,261</b>

#### 18. კაპიტალი

	გამომწვეული აქციების რაოდენობა		ჩვეულებრივი აქციები	სულ
	2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,000,000	6,000,000	6,000,000
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,000,000	6,000,000	6,000,000	
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,000,000	6,000,000	6,000,000	

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვეულებრივი აქციების გამოცხადებული საერთო რაოდენობაა 6,000,000 (2022: 6,000,000), თითო აქციის ღირებულებაა 1 ლარი (2021: 1 ლარი თითო აქციაზე). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვეულებრივი აქციების ემიტირებული რაოდენობაა 6,000,000 (2022: 6,000,000 აქცია). ყველა ემიტირებული ჩვეულებრივი აქცია სრულად არის დაფარული. თითო ჩვეულებრივი აქცია ატარებს ერთი ხმის უფლებას.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ დრო და დრო გამოცხადებული დივიდენდები და აქციონერთა კრებაზე უფლებამოსილნი აქვთ თითო ხმა.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შემოიფარგლება ადგილობრივი მარეგულირებელი სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ კომპანიის ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით.

2024 და 2023 წლებში დივიდენდების დეკლარირება ან გადახდა არ მომხდარა.

*ახსნა* *ახსნა* - *ახსნა*

## სს ბბ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 19. შემოსავალი დაზღვევიდან

ქართული ლარი	2024	2023
Casco	3,533,582	2,190,874
სიგოცხლის	2,755,674	2,070,760
ქონების	2,184,402	850,380
საავიაციო	13,816,203	9,717,192
მესამე მხარის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	2,484,587	2,674,588
სხვა	908,962	1,309,605
<b>სულ შემოსავალი დაზღვევიდან</b>	<b>25,683,410</b>	<b>18,813,399</b>

2024 წელს დაზღვევიდან მიღებული შემოსავალი 37%-ით (6.9 მილიონი ლარი). მათ შორის, საავიაციო დაზღვევის შემოსავალი გაიზარდა 42%-ით (4.1 მილიონი ლარი), ქონების დაზღვევიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 157%-ით (1.3 მილიონი ლარი) და CASCO დაზღვევიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 61%-ით (1.3 მილიონი ლარი).

ზრდა გამოწვეულია აქტიური ბიზნეს-პროცესით, რომელმაც შედეგად მოიტანა როგორც ახალი კლიენტების ბაზის გაფართოება, აგრეთვე არსებული კლიენტების ბიზნესის მატება.

#### 20. სადაზღვევო მომსახურების ხარჯები

ქართული ლარი	2024	2023 (გადაანგარიშებული)
მიღებული მოთხოვნები - საავიაციო	-	(108,179,679)
მიღებული მოთხოვნები - საავიაციოს გამოკლებით	(4,898,250)	(2,840,037)
პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	(490,176)	(406,081)
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - LfIC-საავიაციოს კორექტირება	(38,223,966)	-
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - LfIC-საავიაციოს გამოკლებით კორექტირება	397,521	345,939
ზარალი წაგებიან ხელშეკრულებებზე და ზარალის გაუქმება	-	-
აკვიზიციის ხარჯი	(449,162)	(1,143,389)
სუბროგაცია და გადარჩენილი ქონება	196,403	299,829
<b>სულ სადაზღვევო მომსახურების ხარჯები</b>	<b>(43,467,630)</b>	<b>(111,923,418)</b>

სადაზღვევო ხარჯების მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოწვეულია 2023 წლის ავიაციის პორტფელში შემავალი 4 სადაზღვევო საქმით, რომლებზეც მთლიანი ზარალი, 108.2 მილიონი ლარის ოდენობით, აისახა 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

აღნიშნულ სადაზღვევო საქმეებში 2023 და 2024 წელს იქნა ანაზღაურებული 3 ზარალი სულ 144.6 მილიონი ლარის ოდენობით, რამაც 2024 წელს გამოიწვია დამატებით 38.2 მილიონი ლარის ოდენობის ზარალი. 2024 წლის ბოლოსთვის ბალანსის უწყისში დარჩა 1.8 მილიონი ლარის ოდენობის 1 გადაუწყვეტელი ზარალი.

აღსანიშნავია, რომ ყველა საავიაციო ხელშეკრულება წარმოადგენს ფრონტინგის კონტრაქტებს, რაც ნიშნავს, რომ რისკის 100% გადადის გადაზღვეველზე. თავად კომპანია არ იხდის დაზღვეული მომხმარებლების პრეტენზიებს. ფასს 17 სტანდარტის შესაბამისად, ეს ხარჯები წარმოდგენილია სადაზღვევო მომსახურების ხარჯების ფარგლებში. სტანდარტის მოთხოვნაა, სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებმა ერთმანეთი არ გადაფაროს და წარმოდგენილი იქნეს ინდივიდუალურად.

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 21. ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შედეგი

ქართული ლარი	2024	2023
		(გადაანგარიშებული)
გადაზღვევის ხარჯები	(17,617,233)	(11,830,782)
გადაზღვევის წილი მიღებულ პრეტენზიებში - ავიაცია	-	107,464,400
გადაზღვევის წილი მიღებულ პრეტენზიებში - ავიაციის გარეშე	2,636,041	2,400,080
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - AfIC კორექტირება - ავიაცია	38,223,966	-
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - AfIC კორექტირება - ავიაციის გარეშე	(288,743)	(224,839)
<b>სულ გადაზღვევის მომსახურების ხარჯები</b>	<b>22,954,031</b>	<b>97,808,859</b>

#### 22. უფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი

ქართული ლარი	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან	2,378,583	1,980,820
საპროცენტო შემოსავალი სავალო ფასიანი ქაღალდებიდან	74,656	42,000
<b>სულ უფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>2,453,239</b>	<b>2,022,820</b>

#### 23. ხელფასები და დაქირავებულ პირთა სხვა ბენეფიტები

ქართული ლარი	2024	2023
ხელფასები	1,423,994	968,123
პრემიები	625,917	549,453
დაზღვევა და სხვა ბენეფიტები	25,751	21,790
<b>სულ ხელფასები და დაქირავებულ პირთა სხვა ბენეფიტები</b>	<b>2,075,662</b>	<b>1,539,366</b>

*ნინო ლომიძე-თაყაიშვილი*

## სს ბზ დაზღვევა

### შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

#### 24. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	2024	2023
აუდიტი და კონსულტაცია	202,040	221,556
ზედამხედველობის საფასური	254,473	188,134
ქირა	88,948	65,940
ფოსტა, ტელეკომუნიკაცია და კომუნალურები	34,952	37,715
მარკეტინგი	51,413	33,554
პროგრამული უზრუნველყოფა	33,205	24,000
ამორტიზაცია	16,924	19,094
ცვტა	36,472	49,882
მივლინებები	21,244	15,904
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	9,654	9,446
საბანკო და სხვა საკომისიოები	12,035	6,779
სხვა ადმინისტრაციული დანახარჯები	25,600	40,731
<b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>786,960</b>	<b>712,735</b>

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად აუდიტორების / აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტორული მომსახურების საფასურმა შეადგინა 192,097 ლარი (2023: 221,556 ლარი).

#### 25. სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა

ქართული ლარი	2024	2023
საღ მმართველობის საფასური *	238,830	282,742
ქონების გადასახადის ხარჯი	13,888	13,997
სხვა საოპერაციო შემოსავალი	(87,739)	(33,526)
სხვა ხარჯები	20,567	71,063
<b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა</b>	<b>185,546</b>	<b>334,276</b>

\*საღ – სავალდებულო დაზღვევის ცენტრი

#### 26. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს შემდეგს:

ქართული ლარი	2024	2023
მიმდინარე გადასახადის დარიცხვა	-	(546,187)
გადავადებული გადასახადის დარიცხვა	-	(30,752)
<b>წლის მოგების გადასახადი</b>	<b>-</b>	<b>(576,939)</b>

ახსნე ახუციანი-თაყაიშვილი



**შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)**

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ კანონპროექტი (ასევე ცნობილი როგორც ესტონური ბიზნეს გადასახადების მოდელი), რომელსაც ძირითადად გადააქვს დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღების მომენტიდან მოგების განაწილების დრომდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის ყველა სუბიექტისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონის ძალაში შესვლა იგეგმებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან.

2018 წლის 28 დეკემბერს კანონში დამატებითი ცვლილებები შევიდა. საფინანსო ინსტიტუტების ახალ საგადასახადო სისტემაზე გადასვლა 2019 წლის 1 იანვრის ნაცვლად 2023 წლის 1 იანვრიდან იგეგმებოდა, თუმცა, 2022 წლის დეკემბერში კვლავ გადაიდო. ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული ფინანსური ინსტიტუტები არ დაექვემდებარებიან საშემოსავლო გადასახადს, რომელიც ეხება პერიოდის მოგებას (დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმების სახით განაწილებამდე) 2024 წლის 1 იანვრიდან და ამიტომ არ წარმოიქმნება გადავადებული აქტივები ან საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებები

საბოლოო ცვლილების ამოქმედების შემდეგ, კომპანიამ ხელახლა აჩვენა გადავადებული საგადასახადო აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გააუქმა გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდებისთვის და შესაბამისად აღიარა გადავადებული გადასახადის ხარჯი 2023 წლის მოგებაში. როგორც ამას მოითხოვს სტანდარტი ბასს 12 „მოგების გადასახადები“, კომპანიამ გამოიყენა გადასახადის განაკვეთი 0%-ის ოდენობით, რომელიც გამოიყენება გაუნაწილებელ მოგებაზე იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომლებიც მოსალოდნელია რეალიზებული ან დაფარული იქნეს იმ პერიოდებში, როდესაც ახალი დებულება ძალაში შედის.

*ინტე სტრუქტურ-ოფისი*

**27. კაპიტალის მართვა**

**(a) მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა**

